საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№01 (566)
20 - 26 იანვარი, 2021

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru



კაპიტოლიუმში შეჭრა და ამერიკის ელიტის პოსტსტრესული სინდრომი 16

## საქართველო კავკასიაში ფუნქციას კარგავს 4




კავკასიაში ახალი რეალობა შეიქმნა. სად არის ამ რეალობაში საქართველოს ადგილი 2-3



საქართველოს ხელისუფლების უსუსური ინილო-ბინილო ე.წ. სტრატეგიული პარტნიორების მიმართ 11



დიმიტრი ლორთქიფანიძე: საქართველოში პოლიტიკური ისლამის გავლენა დასავლური ინტერესის ნაწილია 10

## «არ არსებობს ლიბერალზე უფრო მქვინვარე მხეცი» 5



## მწუხრის ზეწარი

მეოცე საუკუნეში ევროპელ ფაშისტებს გარკვეული ერებისა და ხალხების (ებრაელების, რუსების, ბოშების, სლავების) მოსპობა თუ სურდათ, ოცდამეერთე საუკუნის ამ ფაშისტებს ადამიანის მოდგმის მოსპობა სურთ 6-7





9 ბიძინა წავიდა! წავიდა?!



გულბაათ რცხილაძე: რასაც გადაწყვეტენ ვაშინგტონი, თურქეთი და აზერბაიჯანი, საქართველოს სახელმძღვანელო პოლიტიკაც ის იქნება 8



იმგვარი მიდგომით, როგორიც ვაქცინის მიმართ გვაქვს, დასავლეთში საქართველო ბანანის რესპუბლიკა ჰგონიათ 14

გეოპოლიტიკური თამაშები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ექსპერტთა ვარაუდით, ეს არის ელემენტი „დიდი თამაშისა“, რომელსაც დიდი ბრიტანეთი რუსეთის წინააღმდეგ ეწევა. ლონდონს არ ჰყოფნის ადამიანური რესურსი, დიდ სახელმწიფოს დაუპირისპირდეს და თავისი ჯარი სადმე გაგზავნოს, მაგრამ მას აქვს ისეთი რესურსის მართვის ბერკეტები და პოტენციალი, როგორიც არის თურქეთი.**

**რუსეთთან გამოუცხადებელი ომის ხაზს დასავლეთი კვლავინდებურად სამხრეთ კავკასიაზე ავლებს და პოსტსაბჭოთა სივრცეს ანტირუსულ პლაცდარმად იყენებს.**

# რომელი წერტილები იქნება ცხელი 2021 წელს მსოფლიო რუკაზე


გასული წლის ბოლოს მსოფლიოს ყურადღების ცენტრში იყო მთიანი ყარაბაღი

## ყარაბაღის რუკა

2020 წლის ბოლოს მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში მთიანი ყარაბაღი მოექცა — სისხლისმღვრელი ომი, რუსული სამშვიდობო ძალების შეყვანა, შეჯახებები აზერბაიჯანელების ხელში გადასულ რაიონებში...

კონფლიქტი შეიძლებოდა დასრულებულად ჩათვლილიყო, მის შედეგებს მხარეები რომ დაეკმაყოფილებინა. **სომხეთი** თავს დამარცხებულად მიიჩნევს, მაგრამ არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ყარაბაღი დაკარგულია. **აზერბაიჯანმა** გამარჯვების აღლუმი ჩაატარა, მაგრამ უკმაყოფილოა მისი მოკავშირე **თურქეთი,** რომელსაც მიაჩნია, რომ შეიძლებოდა უფრო რადიკალური შედეგის მიღწევა და არ გაფორმებულიყო შეთანხმება.

**თურქეთი შევიდა რეგიონში. ბევრი ექსპერტის ვარაუდით, ეს შენელებული მოქმედების გეოპოლიტიკური ნაღმია, მიმართული რუსეთის წინააღმდეგ. ეს არის ელემენტი „დიდი თამაშისა“, რომელსაც დიდი ბრიტანეთი რუსეთის წინააღმდეგ ეწევა. ლონდონს არ ჰყოფნის ადამიანური რესურსი, დიდ სახელმწიფოს დაუპირისპირდეს და თავისი ჯარი სადმე გაგზავნოს, მაგრამ მას აქვს ისეთი რესურსის მართვის ბერკეტები და პოტენციალი, როგორიც არის თურქეთი, პლუს გავლენა იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ბრიტანეთი ოდესღაც თავისად მიიჩნევდა. ეს არის ცენტრალური აზიის, ინდოეთისა და შუა აზიის ტერიტორიები, რომლებიც რუსეთის ცენტრის ქვემოთ მდებარეობს.** სწორედ ამიტომ აამოქმედეს ძველი ინსტრუმენტები. ბრიტანულ პრესაში ახლა სულ უფრო ხშირად ჩნდება სიტყვები **„დიდი თამაში“.** თურქეთის ექსპანსიის უკან, მიუხედავად იმისა, რომ მას სუსტი ეკონომიკა აქვს, დგანან უფრო ძლიერი სახელმწიფოები, რომლებსაც მძლავრი ფინანსური რესურსი აქვთ. მათ შეუძლიათ, ეს რესურსი დანიშნულებისამებრ მიმართონ. **აქ შეიძლება გავიხსენოთ, როგორ ეხმარებოდნენ და აძლიერებდნენ ფაშისტურ გერმანიას ვაიმარის რესპუბლიკის პერიოდში (1919-1933 წწ.). გერმანიას იმხანად არანაირი რესურსი არ ჰქონდა. ევროპის სივრცეზე არიული ბატონობისა და ღირსების აღსადგენად მას არც ძალა ჰყოფნიდა და არც სახსრები, მაგრამ ყველაფერი მისცეს სხვა ქვეყნებმა და ყველასთვის ცნობილია, რომ ეს მეორე მსოფლიო ომით დასრულდა.**

ახალი ოსმალეთის იმპერიის, „დიდი თურანის“ სტრატეგია თუ სურვილი — სწორედ ეს არის პროგრამული განაცხადი, რომელიც აზრად მოუვიდათ თურქეთის გარკვეული წრეების წარმომადგენლებს და ამას დაემატა ის ინსტრუმენტები, რომლებსაც ფლობს ბრიტანეთის სამეფო და მისი მმართველი წრეები, მათ შორის ფინანსური. თურქეთი მარტო რომ გამოსულიყო, პოპულიზმი იქნებოდა, მაგრამ, რადგან ანკარა ბრიტანეთისა და სხვა ფინანსური წრეების სტრატეგიული იდეის გამტარებელია, სწორედ ეს მოთამაშეები ქმნიან ლაიტმოტივს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს თურქეთმა.

სხვათა შორის, **ყარაბაღის კონფლიქტის შეწყვეტის შემდეგ თურქეთმა დაიწყო უკრაინასთან კავშირის გაღრმავება. ვარაუდობენ, რომ ერდოღანს თვალი უჭირავს ყირიმზე და შეეცდება დონბასში სამხედრო ოპერაციის პროვოცირებას, რომელიც შეიძლება დაძაბულობის საბაბად იქცეს ყირიმის ნახევარკუნძულის გარშემო...**

რაც შეეხება **ყირიმს,** ის არამხოლოდ **ერდოღანის** ინტერესის ზონაა. იმ ნახევარკუნძულის მიმართ ინტერესს გამოხატავენ ბრიტანელებიცა და ამერიკელებიც. ერდოღანს კი მაშინაც არ უღიარებია ყირიმი რუსეთის კუთვნილებად, როდესაც მასთან ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა. ის ხშირად გამოთქვამდა საკმაოდ პროვოკაციულ მოსაზრებებს, ბოლოს კი სრულიად მოურიდებლად განაცხადა, რომ ყირიმი თანამედროვე თურქეთის ტერიტორია უნდა იყოს **(ერდოღანი ყირიმსაც კი ეპოტინება და განა საკითხავია, რას ფიქრობს და როგორ მოიქცევა ის აჭარის მიმართ, როცა წელს ყარსის ხელშეკრულების მოქმედების ვადა ამოიწურება?! — რედ.).**

თუ გავაანალიზებთ, როგორ არის დაკავშირებული უკრაინა თურქეთთან, ნათლად გამოჩნდება ბრიტანული ძაფი.

ლონდონში ჩასული ზელენსკის დაძმაკაცებამ ბრიტანეთის დაზვერვის (mi-6) ხელმძღვანელებთან და მათმა ვოიაჟებმა თურქეთის ტერიტორიაზე გააკეთა ის, რაც ვერ შეძლეს პოროშენკოს მთავრობის პერიოდში. იმხანად იყო კონტრაქტების გაფორმების მცდელობა, რათა დაეინტერესებინათ თურქეთი, დაეწყოთ იარაღის ერთობლივი წარმოება. ზელენსკის მმართველობის პერიოდში კი, როდესაც უკრაინის ეკონომიკის მაჩვენებლები დაცემულია, უცებ ყველაფერი გამოვიდა. უბრალოდ, **გაიცა ბრძანება და ორივე ქვეყანაში ეს ბრძანება შეასრულეს. უკრაინის ეკონომიკა დოტაციურია, მაგრამ თურქეთისა და სხვა საფინანსო წრეების მეშვეობით, რომლებიც დაინტერესებული არიან გლობალური სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტით, საჭირო დახმარებას მიიღებს.**


ბორის ჯონსონი და რეჯეფ თაიფ ერდოღანი

**ერდოღანი ყირიმსაც კი ეპოტინება და განა საკითხავია, რას ფიქრობს და როგორ მოიქცევა ის აჭარის მიმართ, როცა წელს ყარსის ხელშეკრულების მოქმედების ვადა ამოიწურება?!**

## „გადატრიალება დნესტრისპირეთში“

მოლდოვის ახალი პრეზიდენტიც, როგორც ჩანს, დაიწყებს ძველი მოუშუშებელი იარების გახსნას... **მაია სანდუ** დნესტრისპირეთიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანაზე ალაპარაკდა. სანდუ, სხვათა შორის, ხელისუფლების სათავეში დასავლური ტექნოლოგიების წყალობით მოვიდა — **არჩევნებში გაიმარჯვა უცხოეთში მყოფი მოლდოველების ხმების წყალობით.** დნესტრისპირეთიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის საკითხი წამოიჭრა ნატოს დონეზე, როცა **იენს სტოლტენბერგმა** რუსეთს სთხოვა, 2019 წელს დაეტოვებინა დნესტრისპირეთი, და რუსეთს გაეროს რომელიღაც რეზოლუცია შეახსენეს. თუმცა ამ თემაზე ლაპარაკს მალე დაანებეს თავი.


მაია სანდუ დნესტრისპირეთიდან რუსული სამშვიდობო ძალების გაყვანაზე ალაპარაკდა


ბრიტანეთის დაზვერვის, მი-6-ის შეფი რიჩარდ მური

**2021 წლის კონფლიქტის ყველა წერტილი მითითებულია RAND CORPORATION-ის (ამერიკელი არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც ასრულებს აშშ-ის მთავრობის, მისი შეიარაღებული ძალებისა და მათთან დაკავშირებული ორგანიზაციების შეკვეთებს — ნ.კ.) 2019 წლის დეკემბრის მოხსენებაში, იქ მკაფიოდ არის აღნიშნული სამხრეთი კავკასია, დნესტრისპირეთი, შუა აზია.** ამ მოხსენებაში უამრავი ე.წ. ქვემოხსენებაა, რომელთა ნაწილიც დახურულია.

Rand Corporation-ის მოხსენება ეძღვნება რუსეთის შეკავებასა და მის საწინააღმდეგოდ განსახორციელებელ ქმედებებს. მოხსენებაში საუბარია ეკონომიკურ ზომებზეც, რომლებიც აშშ-მა უნდა გაატაროს, ენერგეტიკის ხაზზე — „ჩრდილოეთის ნაკადზე“ და ა.შ. **RAND CORPORATION-ის მოხსენებაში ლაპარაკია გეოპოლიტიკურ შეკავებაზე და ეს არის უკრაინისთვის სამხედრო დახმარების გაწევა, სირიელი ამბოხებულების დახმარება, ბელარუსის ლიბერალიზაციის მხარდაჭერა, პროცესები სამხრეთ კავკასიაში, რუსეთის გავლენის შემცირება ცენტრალურ აზიაში, გადატრიალება დნესტრისპირეთში. გეგმებში მკაფიოდ არის მონიშნული წერტილები, რომლებშიც უნდა იმოქმედონ.**

ადვილია დნესტრისპირეთში ვითარების გამწვავება? სავარაუდოდ, დაიწყება პროვოკაციები დნესტრისპირეთში, არადა, იქ უზარმაზარი სამხედრო საწყობებია. დასავლეთის მხრიდან უკვე ისმის წინადადებები სანდუს პირით: **„მოდი, გავანადგუროთ ეს საწყობები!“. ეს მოწოდება გაისმის არა ჰუმანური მოსაზრებებით, არამედ იმისთვის, რომ გამოირიცხოს სხვა არგუმენტები და რუსეთს უთხრან: „ან მათ გაანადგურებს, ან რაღაც მოხდება“. Rend Corporation-ის გეგმა სახელწოდებით „გადატრიალება დნესტრისპირეთში“ ტყუილუბრალოდ არ შექმნილა.**

## ბელარუსის საშინაო პრობლემები

ამ მოხსენებაში ბელარუსიც არის მოხსენიებული. იქ საპროტესტო აქციების მონაწილეებს დაუჭირენ მხარს. **ბელარუსში ჯერ კიდევ სრულად ვერ შეაფასეს ამ საპროტესტო მოძრაობის მასშტაბი, თუმცა ბოლო ხანს უკვე დაიწყეს ლაპარაკი, რომ სამხრეთის, ჩრდილოეთისა და დასავლეთის საზღვრები სერიოზულად არის მისახედი, ანუ საზღვრები უკრაინასთან, პოლონეთსა და ბალტიისპირეთთან.** ბელარუსმა ამ საკითხებს დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს იმიტომ, რომ უკრაინაში მომზადებული დივერსიული ჯგუფების შეჭრა ბელარუსში ტერორისტული აქტების მოსაწყობად, ყველაზე მოსალოდნელი სცენარია მოქმედი ხელისუფლების პროვოცირებისთვის.

## ურჩი შუა აზია

2021 წელს დღის წესრიგში დადგება ჩრდილოეთის ზღვის გზისა და არქტიკის საკითხები. იქნება პროვოკაციები ნატოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან. მაგალითად, **ბერინგის სრუტე კიდევ ერთი ზონაა პროვოკაციების მოსაწყობად. ამერიკელები იქ ტყუილუბ-** ▶

გეოპოლიტიკური თამაშები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსეთმა გადაკეტა მთელი ახლო აღმოსავლეთი, გადაკეტა ევრაზიის აღმოსავლეთი ნაწილიდან დასავლეთისკენ მიმავალი ყველა სახმელეთო გზა და პირიქით. ასე რომ, ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანიდან ინდოეთის ოკეანემდე ყველაფერს რუსეთი აკონტროლებს.**

◀**რალოდ არ აპირებენ საავიაციო დაჯგუფების გაძლიერებას და 54 ერთეული F-35-ის გაგზავნას.** ეს არის პროვოკაცია შორეულ აღმოსავლეთში. რუსები ჩინეთის სახალხო არმიასთან ერთად ტყუილუბრალოდ არ პატრულირებდნენ ამ სივრცეში. **იაპონელები კი განგაშს ტეხენ კურილიის კუნძულების გამო, რომ ეს კუნძულები კბილებამდე შეიარაღებულ რაიონად იქცა — რუსეთი გაფრთხილებებიდან კონკრეტულ საქმეებზე გადავიდა.**

ამასთანავე, არის სტრატეგიული ამოცანა — შემცირდეს რუსეთის გავლენა ცენტრალურ აზიაში, მათ შორის ავღანეთში, პაკისტანში, ინდოეთში. ეს კვლავ გაგრძელდება იმიტომ, რომ **საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში არის გარკვეული რაოდენობა ადამიანებისა, რომლებსაც მზერა თურქეთისკენ აქვთ მიპყრობილი. ბევრი ახალგაზრდა, რომლებმაც განათლება თურქული გრანტით მიიღეს, თავის მომავალს თურქეთს უკავშირებს. ასეა ყაზახეთში, ყირგიზეთსა და ტაჯიკეთში. ლაპარაკი აღარ არის თურქმენეთსა და აზერბაიჯანზე. ეს ქვეყნები თურქეთისკენ იყურებიან. სწორედ მათზეა გათვლილი ერდოღანის ეპატაჟები.** აღსანიშნავია, რომ ადამიანები, რომლებმაც განათლება თურქეთში მიიღეს და თურქეთში გაიარეს სტაჟირება, ზემოაღნიშნული რესპუბლიკების სახელისუფლო სტრუქტურებში სულ უფრო მაღალ თანამდებობებს იკავებენ. ასეთი ტენდენცია, კარგა ხანია, შეინიშნება — დაახლოებით 2010 წლიდან. ამ ქვეყნებში რუსეთის გავლენის შესამცირებლად მოძრაობა მანამდე გაგრძელდება, სანამ ეს პროთურქული შემადგენელი ძალას არ მოიკრებს და რუსეთს დაუფარავად არ დაუპირისპირდება.

**მასალა მომზადებულია მცირე შემოკლებით სამხედრო ექსპერტ ალექსეი ლეონკოვის ინტერვიუს მიხედვით, რომელიც გამოქვეყნებულია ვებგვერდ kp.ru-ზე.**
**მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

# როგორ გადაუკეტა «დაშლის პირას მყოფმა» რუსეთმა აღმოსავლეთისკენ მიმავალი გზები ევროპას




**ეს შეიძლება ბევრს არ შეუნიშნავს, მაგრამ ჯერ კიდევ 2014 წელს ევროპას აღმოსავლეთისკენ მიმავალი ბევრი გზა ჰქონდა თავისი მუდმივი კონკურენტის — რუსეთის, გვერდის ავლით, მაგრამ დღეს, ევრაზიისა და აფრიკის რუკას თუ დავხედავთ, შევამჩნევთ, რომ დასავლეთიდან აზიისკენ მიმავალი ყველა გზა და ბილიკიც კი გადაკეტილია. და ვინ გააკეთა ეს? — რუსეთმა, რომელიც, ყველა პროგნოზის მიხედვით, უკვე დიდი ხნის დაშლილი უნდა იყოს.**

ბოლო 7 წლის განმავლობაში იმდენს ლაპარაკობდნენ რუსეთის მომავალ დაშლაზე, რომ ზოგმა ეს მართლა დაიჯერა. **რუსეთის დაშლას პატარა სახელმწიფოებად მოუთმენლად ელოდებიან, როგორც რუსი ლიბერალები, ისე უკრაინელი ნაციონალისტები და ევროპელი ექსპერტები, ხოლო როგორ ელიან ამას ამერიკელი პოლიტიკოსები, რთული წარმოსადგენი არ არის.**

სინამდვილეში როგორ არის საქმე?

შვიდი წელი არც ისე მცირე დროა და ამ პერიოდში ბევრი რამ მოხდა, მაგრამ რუსეთის დაშლა ჰორიზონტზე არ ჩანს. მეტიც — რუსეთი სულ უფრო ძლიერდება და, უწინარესად, კონტროლს აწესებს მის გარშემო არსებულ სივრცეზე.

განა ეს შესამჩნევი არ არის?

* დავიწყოთ ყირიმითა და უკრაინით. **და ამას სხვა რა უნდა უწოდო, სამხრეთ-დასავლეთ კორდონზე კონტროლის დაწესების გარდა? ყირიმის დაბრუნებით რუსეთმა შავ ზღვაზე გზა გადაუკეტა ნატოს და ეკონომიკურად დაბლოკა ნაციონალისტების მიერ მართული უკრაინა.** ამით გადაუწურა ყველა იმედი დასავლეთს, რომ უკრაინას სატრანზიტო ტერიტორიად გამოიყენებდა. ე.ი., უკრაინა იმ მჭიდიდან ამოვარდა, რომლის გამოყენებასაც ცდილობდნენ ევროპელები და ამერიკელები. ახლა კი საქმე აქვთ რუსეთთან. ვერც ერთი სატრანსპორტო მაგისტრალი დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ რუსეთის გარეშე ვერ იმუშავებს.

* 2015 წელს რუსეთმა გზა გადაუკეტა ევროპას აღმოსავლეთისკენ სამხრეთის რეგიონში — სირიაში. და ამჟამად რუსეთის თანხმობის გარეშე საუდის არაბეთსაც კი ვერ ექნება ურთიერთობა ევროპასთან. **რუსეთმა გადაკეტა მთელი ახლო აღმოსავლეთი, გადაკეტა ევრაზიის აღმოსავლეთი ნაწილიდან დასავლეთისკენ მიმავალი ყველა სახმელეთო გზა და პირიქით. ასე რომ, ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანიდან ინდოეთის ოკეანემდე ყველაფერს რუსეთი აკონტროლებს.**

გსურთ, ნავთობით ივაჭროთ ევროპასთან? დატვირთეთ ძვირად ღირებულ ტანკერებზე, იაფი ნავთობსადენები კი დაივიწყეთ! აღმოსავლეთი დასავლეთისგან მოწყვეტილია ხმელეთიდან და ჰაერიდან. და ვინ გააკეთა ეს? — რუსეთმა, რომელიც იშლება... ბლოკირების პროცესს კი მხოლოდ ორიოდე წელიწადი დასჭირდა.

* ამით საქმე არ დასრულებულა. ევროპას პატარა ხვრელები კიდევ ჰქონდა და მათ გამოყენებას აპირებდა. მაგალითად, **აფრიკის გავლით,** მაგრამ რუსეთმა აფრიკაშიც იმუშავა — შევიდა ჩრდილოეთ აფრიკაში, ცენტრალურში, აღმოსავლეთშიც.

* რუსეთმა ნელ-ნელა დაიწყო ხმელთაშუა ზღვის გაკონტროლება, თანაც იმ გზებით, რომელთა მეშვეობითაც ევროპა ნავთობისა და ბუნებრივი აირის გადაზიდვას აპირებდა აფრიკიდან.

* ცოტა ხნის წინათ კი რუსეთმა წითელი ზღვის გადაკეტვაც დაიწყო, რამდენადაც დღეს წარმოებს ნავთობის გადაზიდვა სპარსეთის ყურიდან. ამჟამად რუსეთს ორი სამხედრო ბაზა აქვს სუეცის არხის ორივე ნაპირზე — სუდანსა და სირიაში. შემდეგი, ალბათ, ეგვიპტე იქნება და სუეცი საგულდაგულოდ ჩაიკეტება. ვისგან? — რუსეთისგან, რომელიც დღე-დღეზე უნდა დაიშალოს.

*** ბოლო ღია გზა დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ ეს არის გზა საქართველოს, აზერბაიჯანისა და კასპიის ზღვის გავლით შუა აზიაში, მაგრამ დღეს რუსეთის ჯარები სწორედ აზერბაიჯანში დგანან. ამას ვინ იფიქრებდა ერთი წლის წინათ? არავინ. სავარაუდოდ, 1-2 წლის შემდეგ აზერბაიჯანი უფლებას კასპიის ზღვის თავის ნაწილზე რუსეთს დაუთმობს და ამით დასავლეთის ოცნება, დაუკავშირდეს აღმოსავლეთს, საბოლოოდ დასრულდება.** ევროპა უკვე იზოლირებულია აღმოსავლეთისგან და, თუ მასთან ურთიერთობას მოისურვებს, ეს მხოლოდ რუსეთის მეშვეობით მოხდება.

**წარმოიდგინეთ, თუკი რუსეთმა თავისთვის ცუდ პერიოდში ასეთ შედეგებს მიაღწია, როგორ გადაუგრეხს ის ხელებს დასავლეთს თავის საუკეთესო პერიოდში, რომელიც ცუდის შემდეგ აუცილებლად დადგება.**

თუმცა, რუსეთი ხომ უნდა დაიშალოს. ჰოდა, ელოდოს, ვისაც ჭკუა არ აქვს, მაგრამ სამმეტრიანი ენა კი აქვს გადმოგდებული.

საქართველოს ხელისუფლება კი ისევ მართლა დაშლის პირას მყოფი ამერიკა-ევროპის შემყურეა.

**zen.yandex.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

# რუსეთი კავკასიაში ახალ რეალობას ქმნის და სომხეთს სატრანსპორტო ბლოკადისგან ათავისუფლებს



**2021 წლის 11 იანვარს მოსკოვში გაიმართა რუსეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტების შეხვედრა ყარაბაღის საკითხზე.**

მოლაპარაკებებზე **ვლადიმერ პუტინმა ილჰამ ალიევსა** და **ნიკოლ ფაშინიანს** ახალი რეალობის გათვალისწინებით დიდი სატრანსპორტო ჰაბის შექმნა შესთავაზა ამიერკავკასიისა და მცირე აზიისთვის. ლაპარაკი იყო ნახიჩევანისა და მთიანი ყარაბაღისკენ მიმავალი ბლოკირებული სატრანსპორტო მაგისტრალების ამუშავებაზე. შედეგად აზერბაიჯანი მიიღებს პირდაპირ სარკინიგზო და საავტომობილო კავშირს ნახიჩევანთან, შემდეგ — თურქეთთან, სომხეთი კი აზერბაიჯანის ტერიტორიის გავლით დაუკავშირდება რუსეთსა და ირანს. ამით სომხეთი თავს დააღწევს 30-წლიან სატრანსპორტო ბლოკადას.

ამასთანავე, იგეგმება მძლავრი სატრანსპორტო დერეფნის შექმნა მოსკოვსა და ბაქოს შორის, სანქტ-პეტერბურგიდან აზერბაიჯანისა და ირანის გავლით ინდოეთის ოკეანის სანაპირომდე.

**tsargrad.TV-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**



თვალსაწიერი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თქვენ გსურთ, ჩემგან მოისმინოთ ფუნქციადაკარგული, სტაგნაციაში მყოფი, მარაზმამდე მისული ჩვენი ქვეყნის გამოსავალი რაშია, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერაფერს გეტყვით, გარდა იმისა, რომ ჩვენ ვერც სხვის შეცდომებზე ვისწავლეთ რამე და ვერც საკუთარზე. ვფიქრობ, ღმერთი არ გაგვწირავს... ვიმედოვნებ, რომ უფალი ჩაერევა და რუსეთის პრეზიდენტი არ გააკეთებს იმას, რაც ალიევს სურს, არ მოხდება იმ მარშრუტების რეალიზება, რომლებიც დაიგეგმა.**



სოსო ცინცაძე:

# თვალნათლივ ჩანს, რომ საქართველო კავკასიაში ფუნქციას კარგავს

**სანამ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების მაღალი ეშელონების წარმომადგენლები სამთავრობო სხდომაზე პირბადის ტარების წესებზე საუბრობენ, ამიერკავკასიაში უმნიშვნელოვანესი პროცესები იწყება საქართველოს მონაწილეობის გარეშე. ამა წლის 11 იანვარს აზერბაიჯანის, სომხეთისა და რუსეთის ლიდერებმა მოსკოვში გამართულ შეხვედრაზე მთიანი ყარაბაღის განვითარების შესახებ ერთობლივი განცხადება მიიღეს. დოკუმენტს ხელს აწერენ აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი, სომხეთის პრემიერმინისტრი ნიკოლ ფაშინიანი და რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი. დოკუმენტის მიხედვით, მთიანი ყარაბაღის ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად რუსეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის პრემიერების ხელმძღვანელობით 2021 წლის იანვრის ბოლომდე შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის პრიორიტეტი საავტომობილო და სარკინიგზო მიმოსვლა იქნება. 2021 წლის მარტამდე სამუშაო ჯგუფი დასამტკიცებლად წარადგენს იმ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის აღდგენისა და აღჭურვის ღონისძიებების სიასა და განხორციელების გრაფიკს, რომლებიც აუცილებელია აზერბაიჯანისა და სომხეთის გავლით საერთაშორისო გადაზიდვების უსაფრთხოების ორგანიზებისა და ტრანზიტისთვის. საქართველო ლიდერისა და სატრანზიტო გზის ფუნქციას კარგავს კავკასიაში... ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე:**

— მადლობა თქვენს გაზეთს იმისთვის, რომ სწორედ ამ მნიშვნელოვან საკითხზე მიკავშირდებით, დანარჩენ ჟურნალისტებს მხოლოდ პარლამენტში **ელისაშვილის** შესვლა-არშესვლის საკითხი ადარდებთ...

**საქართველოს, საბედნიეროდ, ჯერ, ასე ვთქვათ, გადაწყვეტილად არაფერი დაუკარგავს, რადგან ის, რაც პუტინმა, ფაშინიანმა და ალიევმა დაგეგმეს, მხოლოდ გეგმაა, რომელიც უდავოდ ანტიქართულია, მაგრამ ამ გეგმას განხორციელება სჭირდება. სიმართლე გითხრათ, უკვე ძალიან ცუდია, რომ მსგავსი გეგმა პირადად ალიევს მოუვიდა თავში და ამის პასუხი ჩვენს უნიათო საგარეო საქმეთა სამინისტროს უნდა მოვთხოვოთ. ჩვენი სამი მეზობელი ქვეყნის ლიდერების შეხვედრაზე რაც ითქვა, ეს მხოლოდ გეგმაა, რომლის განხორციელებასაც, სულ ცოტა, 40 მილიარდი დოლარი სჭირდება,** ამ თანხის მოძიება გაჭირდება. ამ თანხის მოძიება სჭირდება მთავარ ფიგურას — რუსეთს, რომელსაც, ისედაც ბევრი პრობლემა აქვს, მას დამოკლეს მახვილივით ჰკიდია თავზე დაუმთავრებელი პროექტი „ჩრდილოეთ ნაკადი-2“. მიუხედავად პრობლემებისა, მიუხედავად რუსეთის მოუცლელობისა, **საქართველო იმის იმედად არ უნდა დარჩეს, რომ აზერბაიჯანი, სომხეთი და რუსეთი 40 მილიარდს ვერ იშოვნიან...**

აზერბაიჯანმა „სამხრეთის გაზის დერეფანი“ აამუშავა. ეს პროექტი ხელს არ აძლევს რუსეთს, წინააღმდეგობა ძალიან ბევრია, ვფიქრობ, მოლაპარაკება, რომელიც გაიმართა სამ სახელმწიფოს შორის, სადაც არ დომინირებს საქართველო, ვერ შედგება, თუმცა, ამ „ვერ შედგებას“ იმედზე არ უნდა იყოს ჩვენი ქვეყანა და როგორმე, რამენაირად უნდა ჩაერთოს პროცესში და შეაჩეროს, ამას კი სერიოზული დიპლომატიური სამსახური და ძალისხმევა სჭირდება. რაც მთავარია, საქართველო რუსეთთან „ბუტიაობას“ უნდა მორჩეს.

**საქართველომ უნდა აამუშაოს დიპლომატია, რომელიც უზუსტესი მეცნიერებაა. საქართველოს სჭირდება მაღალკვალიფიციური ელჩები, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანას არ აქვს ამის ფუფუნება, ჩვენთან არ არის დიპლომატიური სასწავლებლები. ყველა დიპლომატიური სკოლა და სასწავლებელი დაიხურა. დაიხურა ჩემი დაარსებული სასწავლებელიც, რომელმაც ქვეყანას 15 მაღალკვალიფიციური დიპლომატი გამოუზარდა.** ჩვენმა ამჟამინდელმა პრეზიდენტმა, როდესაც საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, საჭიროდ არ ჩათვალა მსგავსი სასწავლებლის არსებობა და დახურა, უფრო მეტიც, მან ჩვენი კურსდამთავრებული 25 დიპლომატი დაითხოვა, გაყარა სამინისტროდან. მას შემდეგ საქართველოში მოკვდა ეს სფერო. **სალომე ზურაბიშვილმა** თანამდებობიდან გაათავისუფლა **ალექსანდრე ჩიკვაიძე,** ყველაზე კარგი დიპლომატი, და სამწუხაროდ, ამ ამბავს გადაჰყვა კიდეც ეს პატრიოტი ქართველი კაცი, მას გული გაუსკდა.

**— თქვენ იმედს იტოვებთ, რომ პროექტი ვერ განხორციელდება, მაგრამ, თუ განხორციელდება, საქართველო კავკასიაში ფუნქციას კარგავს...**

— ჩვენი ქვეყანა კავკასიაში პოლიტიკურ ამინდს ქმნიდა, მაშინაც კი, როდესაც დამოუკიდებელი არ იყო. რუსეთის მთავარმართებლებიც თბილისში ისხდნენ. რუსები გიჟები კი არ იყვნენ, ჩვენს ქვეყანას ამხელა მნიშვნელობას რომ ანიჭებდნენ — საქართველო მართლაც იყო ძლიერი, გეოპოლიტიკურად საჭირო და დიპლომატიური ქვეყანა.

**საქართველოს როლის დაკნინება კავკასიაში უმცროსი ბუშის სტუმრობის შემდეგ დაიწყო. მაშინ განაცხადა მან, რომ „საქართველო დემოკრატიის შუქურაა ამიერკავკასიაში“, მაგრამ სწორედ ამ სიტყვების შემდეგ მოხდა ისე, რომ ფუნქცია ნელ-ნელა დავკარგეთ. მართალი თქვა ყოფილმა პრეზიდენტმა მარგველაშვილმა, როდესაც განაცხადა, საქართველო რადარებიდან გაქრაო. დიახ, გაქრა, გაქრა მას შემდეგ, რაც 2012 წელს ხელისუფლებამ განაცხადა: „საქართველო არ უნდა იყოს რუსეთ-ამერიკის ურთიერთობის ხელისშემშლელი“. ამ სიტყვების შინაარსი დღემდე ვერ გავიგე. თუმცა, თვალნათლივ ჩანს, რომ ჩვენი ქვეყანა კავკასიაში ფუნქციას კარგავს.** საქართველომ ვერ მოახერხა რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება. **ზურაბ აბაშიძეს** არანაირი უფლება არ აქვს. ის, ფაქტობრივად, უფუნქციოა და დარწმუნებული ვარ, ის ჩვენი მთავრობის თავმჯდომარესაც კი ვერ ხვდება სტაბილურად. არადა, სულ ეს ერთი ადამიანია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში ჩართული.

**— იყო საუბრები აფხაზეთში რკინიგზის აღდგენაზე, რომელსაც შეეძლო ურთიერთობის რაღაც ძაფები გაება ჩვენსა და რუსეთს შორის, ჩვენსა და აფხაზეთს შორის, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ ამისთვის არაფერი არ გააკეთა...**

— აფხაზეთში რკინიგზის აღდგენა საჭიროც იყო და აუცილებელიც, მაგრამ მანამდე აუცილებელი და საჭიროა, დაელაპარაკო რუსეთსაც და აფხაზეთსაც, **ჩვენ უნდა ვიცოდეთ პირობები და ამისთვის დიალოგია საჭირო. საქართველოდან რუსეთში ხელისუფლების ნაცვლად „პატრიოტთა ალიანსი“ ჩადიოდა და, სამწუხაროდ, მათ მხოლოდ ზიანი მოუტანეს ურთიერთობების აღდგენის საკითხს, რადგან გარდა იმისა, რომ მათ მოსკოვში არაფერი ესაქმებოდათ, იქ არ საუბრობდნენ, სადაც საჭირო იყო. დსთ-ის კომიტეტის წევრებთან საუბრობდნენ, კომიტეტის, რომლის წევრიც არ არის საქართველო. თუკი ვინმეს სურს, დაელაპარაკოს რუსეთს საქართველოზე, უნდა დაელაპარაკოს საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტს და საგარეო საქმეთა სამინისტროს, სხვაგვარად ვერაფერს მივაღწევთ. „პატრიოტებმა“, სამწუხაროდ, ბევრი რამ გააფუჭეს.**

დიდი ქვეყანა პატარა ქვეყნების ინტერესების სრულად გამტარებელი არასოდეს იქნება, შესაბამისად, რუსეთიც ვერ იქნება ჩვენი სრულყოფილი პარტნიორი. მაგალითად, აზერბაიჯანს რუსეთში ლობი არ ჰყავს, სომხეთისგან განსხვავებით, მაგრამ აქვს ძალა, ჰყავს დიპლომატები, პროფესიონალები, პატრიოტები... საქართველოს ხელისუფლებაში კი დილეტანტების არმიაა თავმოყრილი.

ჩვენი საუბრის თემა არ არის, მაგრამ მაინც ვიტყვი: მოქმედი პოლიტიკოსი არ შეიძლება იყოს მეცენატი, მაგრამ ივანიშვილი ყველაფერი იყო, როგორ გამოუვიდა ყველაფერი ერთად, ეს სხვა საკითხია...

**— ქვეყანაში არ არის აკადემიური წრეები, არ გვყავს პოლიტიკოსები, დიპლომატები და ამასობაში ყარსის ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა... ხომ არ არის დაკავშირებული ჩოხატაურში რელიგიურ ნიადაგზე განვითარებული მოვლენები ყარსის ხელშეკრულებასთან?**

**— გურიაში მომხდარი ამბავი ძალიან სახიფათოა. ყარსის ხელშეკრულების პროლონგაცია ისე მოხდება, რომ, სამწუხაროდ, ამას ჩვენი ქვეყანა ვერ გაიგებს, ჩვენ ვერ გავიგებთ, რა შეიცვლება ხელშეკრულების პუნქტებში და აქაც ის პრობლემაა, რომ სპეციალისტები არ გვყავს, რასაც მოჰყვება საქართველოს დაკნინება.**

> **«გურიაში მომხდარი ამბავი ძალიან საშიშია. ყარსის ხელშეკრულების პროლონგაცია ისე მოხდება, რომ, სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანა ვერ გაიგებს, ჩვენ ვერ გავიგებთ, რა შეიცვლება ხელშეკრულების პუნქტებში»**

**— სადაა ჩვენი ქვეყნის ხსნა და გამოსავალი?**

— საქართველო სტაგნაციაშია, უძრაობაში. ერთი შეხედვით, თითქოს დუღს ქვეყანაში პოლიტიკური ცხოვრება, მაგრამ რეალურად ეს ასე არაა, რადგან ყველა ფიქრობს, რომ მნიშვნელოვანია ელისაშვილის შესვლა პარლამენტში, რათა მან „აიძულოს“ მმართველ გუნდს რაღაცის გაკეთება.

**თქვენ გსურთ, ჩემგან მოისმინოთ ფუნქციადაკარგული, სტაგნაციაში მყოფი, მარაზმამდე მისული ჩვენი ქვეყნის გამოსავალი რაშია, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერაფერს გეტყვით, გარდა იმისა, რომ ჩვენ ვერც სხვის შეცდომებზე ვისწავლეთ რამე და ვერც საკუთარზე. ვფიქრობ, ღმერთი არ გაგვწირავს... ვიმედოვნებ, რომ უფალი ჩაერევა და რუსეთის პრეზიდენტი არ გააკეთებს იმას, რაც ალიევს სურს, არ მოხდება იმ მარშრუტების რეალიზება, რომლებიც დაიგეგმა. რუსეთის, თურქეთისა და აზერბაიჯანის ინტერესები ერთმანეთს არასოდეს დაემთხვევა, მაგრამ მათ საერთო ენა მაინც გამონახეს, ჩვენგან განსხვავებით.** ნონსენსია, 3-მილიონიანი ქვეყანა გაებუტოს მეზობელ 140-მილიონიან ქვეყანას. გაბუტვა კი არა, დიპლომატიის ამუშავებაა საჭირო, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რუსეთის პრეზიდენტის დიდი სურვილია, კარგი ურთიერთობები ჰქონდეს მეზობლებთან.

**— ხელისუფლება დიდ იმედს ამყარებს 2024 წელიწადზე. ისინი ამბობენ, რომ ევროკავშირის წევრობაზე განაცხადს შეიტანენ და წევრობასაც მიაღწევენ...**

— ვერაფერს ვერ მიაღწევენ, პერსპექტივა ნულია. ზღაპარია ეს ყველაფერი. ღატაკი ქვეყანა არავის სჭირდება. ქვეყანა, რომელიც ტურიზმზე აკეთებს გათვლას, ევროკავშირის წევრი ვერ გახდება. ამის მწარე გამოცდილება მათ მიიღეს საბერძნეთის დეფოლტისას. საქართველოს მომავალი ბუნდოვანია. ყარსის ხელშეკრულების ვადის ამოწურვა და კავკასიის ქვეყნების ერთიანობა საქართველოს გარეშე სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის ჩვენს ქვეყანას.

გურიაში მომხდარზე გეტყვით, რომ კადრების, დიპლომატების, არაპროფესიონალების გამო ხდება ყველაფერი...

ჩემი დიპლომატიური სასწავლებლიდან სულ რამდენიმე სტუდენტი გაირიცხა, ერთ-ერთი სწორედ უნიჭობისა და უვიცობის გამო. ახლახან შევიტყვე, რომ სწორედ ის არის დღეს რელიგიის საკითხთა ხელმძღვანელი, გვარად ვაშაყმაძე. მსგავსი ადამიანების ხელისუფლებაში და საკვანძო თანამდებობებზე ყოფნა დაღუპავს ამ ქვეყანას, თუ უკვე დაღუპულები არ ვართ. რელიგიურ ნიადაგზე დაწყებული კონფლიქტი ძალიან საშიშია და მას ჭკვიანი ადამიანი უნდა აგვარებდეს.

> **«ჩემი დიპლომატიური სასწავლებლიდან სულ რამდენიმე სტუდენტი გაირიცხა, ერთ-ერთი სწორედ უნიჭობისა და უვიცობის გამო. ახლახან შევიტყვე, რომ სწორედ ის არის დღეს რელიგიის საკითხთა ხელმძღვანელი, გვარად ვაშაყმაძე. მსგავსი ადამიანების ხელისუფლებაში და საკვანძო თანამდებობებზე ყოფნა დაღუპავს ამ ქვეყანას, თუ უკვე დაღუპულები არ ვართ. რელიგიურ ნიადაგზე დაწყებული კონფლიქტი ძალიან საშიშია და მას ჭკვიანი ადამიანი უნდა აგვარებდეს»**

საშიშია ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა და, როდესაც ადამიანებს არ ძალუძთ პრობლემის მოგვარება, უფალი ჩაერევა ხოლმე. ჩვენ **ტალეირანები** არ გვყავს ქვეყანაში, ამიტომ მხოლოდ უფლის იმედად ვართ.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**„არ არსებობს ლიბერალზე უფრო მძვინვარე მხეცი“, — ჭეშმარიტად ბრძანა არქიმანდრიტმა რაფაელმა (კარელინი) და ის, რაც ხდება დასავლეთში, კონკრეტულად აშშ-ში, ამ სიმხეცის ნათელი დასტურია. აშშ-ის სპეცსამსახურებმა ნამდვილი ნადირობა გააჩაღეს ე.წ. ტრამპისტებზე (ასეთი ტერმინიც გაჩნდა), რომლებსაც სამსახურებიდან ათავისუფლებენ და დისკრიმინაციის წნეხში ატარებენ.**



ავი მესაიფი

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «არ არსებობს ლიბერალზე უფრო მძვინვარე მხეცი»

## ამერიკელები პავლიკ მოროზოვები ყოფილან

**ლამის ერთი თვე გასულა მას შემდეგ, რაც მკითხველმა „საქართველო და მსოფლიოს“ 2020 წლის ბოლო ნომერი იხილა და ამიტომ გაზეთის „მკეთებელი“ კოლექტივი ამ ხნის განმავლობაში მომხდარი მოვლენების პასიური დამკვირვებლის როლში აღმოჩნდა. აქედან გამომდინარე, თქვენს მონა-მორჩილს ისღა დამრჩენოდა, რომ ამ ხნის განმავლობაში მასმედიაში ნანახ-მოსმენილის ძირითადი აზრი, გნებავთ, ლაიტმოტივი, კომპიუტერის მეხსიერების თაროზე (თუ ასე თქმა შეიძლება) შემომედო, რათა „არდადეგების“ შემდგომ უფრო ვრცელი, გონებაში გააზრებული ანალიზის სახით მიმეწოდებინა მკითხველისთვის...**



**იქიდან გამომდინარე, რომ აშშ-ის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ისედაც საკმარისზე მეტი ქალი კონგრესმენია და თანაც სულ მალე აშშ-ის ისტორიაში პირველად ვიცეპრეზიდენტის პოსტზე ქალბატონ კამალა ჰარისს დაამტკიცებენ, შაპიტოს ცირკი, რომელსაც ნელ-ნელა, მაგრამ შეუქცევადად ემსგავსება აშშ-ის კონგრესი და საერთოდ მთელი აშშ, საინტერესო სანახაობას გვპირდება**

როდესაც მასმედიას ვახსენებ, ქართულ მასმედიას არ ვგულისხმობ. უფრო მეტიც, ქართულ ტელევიზიებსა და პრესას, შესაბამისად, თითქმის არც ვუყურებ და არც ვკითხულობ! „თითქმის“ იმას ნიშნავს, რომ, ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, ხანდახან ქართულ მედიასაც იძულებით გადავავლებ ხოლმე თვალს. მედიას, რომელიც ხანდახან კი არა, როგორც წესი, ყოველთვის წაგებულია სხვა ქვეყნების მასმედიებთან შედარებისას. როდესაც ვამბობ სხვა ქვეყნების მასმედიას, ანგლოსაქსების მიერ გაკონტროლებულ მასმედიას ვგულისხმობ, რადგან „პრადვინუტი“ ქართველებივით ინგლისურად ვერ ვჟღურტულებ და ამიტომ ვაშინგტონ, ნიუ-იორკ და სხვა „პოსტები“ ჩემთვის, რომ იტყვიან, ჩინურია. სამაგიეროდ ქართულზე არანაკლებ რუსულ ენას ვფლობ და მისი საშუალებით კარგად ვიცი, რა ხდება როგორც კრემლის მიერ გაკონტროლებულ მასმედიაში, ასევე ანგლოსაქსების ტელევიზია-გაზეთებშიც და, შესაბამისად, მათ ქვეყნებშიც...

ზემოთქმულიდან გამომდინარე (და იქიდანაც, რასაც ქვემოთ ვიტყვი), უფრო შორსაც წავალ და თამამად განვაცხადებ, რომ ყველაზე თავისუფალი რუსეთის მასმედიაა და, აქედან გამომდინარე (იქიდანაც, რაც დღეს აშშ-ში ხდება), მსოფლიოს ერთ-ერთი დემოკრატიული ქვეყანა რუსეთის იმპერიაა. რა თქმა უნდა, იმის გათვალისწინებითა და დათქმით, რომ ამქვეყნად ყველაფერი შედარებითია — ვისაც რუსეთის ტელევიზიის პოლიტიკური თოკ-შოუ „საღამო ვლადიმერ სოლოვიოვთან ერთად“ ერთხელ მაინც უნახავს, ჩემს მოსაზრებას ნამდვილად დაეთანხმება. იქ ერთმანეთის გვერდიგვერდ დგანან რუსი პოლიტოლოგ-ექსპერტები და მათი დასავლელი (წაიკითხე აშშ) კოლეგები, რომლებიც შეუზღუდავად კამათობენ, დავობენ, ერთმანეთის მსოფლმხედველობის პროპაგანდასაც ეწევიან — ასეთი რამ ხომ შეუძლებელია ანგლოსაქსების მიერ გაკონტროლებულ ამერიკულ ტელევიზიებში? აღარაფერს ვიტყვი აშშ-ის სატელიტ ქვეყნებზე ევროპაში, აგრეთვე, პოსტსაბჭოთა უკრაინასა და საქართველოზე... მაგრამ „თავისუფალი საქართველოს“ მასმედიაზე არაფერი ვთქვათ?

**როდესაც ამერიკაში ცნობილი მოვლენები ვითარდებოდა, რომლებმაც უკვე შეცვალა მსოფლიო (ერთი თვისწინანდელ დროებას ვგულისხმობ), ქართული მედია, ძირითადად, იმ „უმნიშვნელოვანესი“ საკითხით იყო დაკავებული — ვინ შევიდოდა და ვინ არა საქართველოს ფარჩაკების პარლამენტში.**

ამ უაზრო იწილო-ბიწილოს დროს რუსული მედიის საშუალებით შევიტყვე, რომ მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანები, რომელთა საერთო კაპიტალი 2 ტრილიონი დოლარია და მათ კომპანიებში 200 მილიონი ადამიანი მუშაობს, კლუბში გაერთიანდნენ. ამ 27 რჩეულ უმდიდრეს პირს თვით რომის პაპი ფრანცისკე მეთაურობს და ამ გაერთიანებას („საბჭო ინკლუზიური კაპიტალიზმისთვის“) კაპიტალიზმის მცველებს უწოდებენ.

ამასთანავე, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მეთაურებმა უკვე მიმართეს მსხვილ კომპანიებს, კოვიდპანდემიის ხმაურის ფონზე განახორციელონ მსოფლიო ეკონომიკის გადატვირთვა, შეცვალონ ჩვენი ცხოვრების ტრადიციული წესები, რაც იმას ნიშნავს, რომ, როგორც თავადვე განაცხადეს (დააანონსეს), ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყონ.

ეკონომიკა, რომ იტყვიან, ჩემი სუსტი წერტილია და ამიტომ რას ნიშნავს „მსოფლიო ეკონომიკის გადატვირთვა“ და თანაც „კოვიდპანდემიის ხმაურის ფონზე“, ბოლომდე ვერ გამიგია, მაგრამ, რაც შეეხება „ყველაფრის თავიდან დაწყებას“, ამ, ერთი შეხედვით უწყინარ ფაზაში სად არის „ძაღლის თავი დამარხული“, ანუ რა საფრთხის შემცველი შეიძლება აღმოჩნდეს უმდიდრესი ლიბერასტების მიერ მსოფლიოს დე ფაქტო მმართველობა, ნათლად ვხედავ. და, რასაც ვერ ვხედავ, გენეტიკურად ვგრძნობ. ხმამაღალ ნათქვამად თუ არ ჩამითვლით, იმ გენებით ვგრძნობ, რომლებითაც გმირ წინაპართა ხსოვნა, სამშობლოს სიყვარული მემკვიდრეობით გადმომეცა...

ამერიკის კონგრესმა უნდა განიხილოს წარმომადგენელთა პალატის მიერ თავის რეგლამენტში შესწორების შეტანის წინადადება (როგორც ერთ-ერთი „უმნიშვნელოვანესი“). ამ კანონპროექტით უნდა აიკრძალოს გენდერული შინაარსის შემცველი სიტყვების გამოყენება, ე.ი., „კაცი“ და „ქალი“. მათ მაგივრად უნდა იხმარონ „დელეგატი“ ან „წარმომადგენელი“. ამერიკელი კანონმდებლები, წარმომადგენელთა პალატის ხელმძღვანელ **ნენსი პელოსის** ინიციატივით, უფრო შორს წასვლასაც აპირებენ... ტრადიციული „მამისა“ და „დედის“, აგრეთვე, „და-ძმის“ ნაცვლად, განზრახულია მათი ჩანაცვლება, შესაბამისად, „მშობლებითა“ და „ნათესავით“.

**იქიდან გამომდინარე, რომ აშშ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ისედაც საკმარისზე მეტი ქალი კონგრესმენია და თანაც სულ მალე აშშ-ის ისტორიაში პირველად ვიცეპრეზიდენტის პოსტზე ქალბატონ კამალა ჰარისს დაამტკიცებენ, შაპიტოს ცირკი, რომელსაც ნელ-ნელა, მაგრამ შეუქცევადად ემსგავსება აშშ-ის კონგრესი და საერთოდ მთელი აშშ, საინტერესო სანახაობას გვპირდება.**

თუმცა რაღა გვპირდება?! **შაპიტოს ცირკის ბოლო განყოფილება იმით დაიწყო, რომ აშშ-ის ჯერ კიდევ მოქმედ პრეზიდენტს ხალხთან კომუნიკაციის ყველანაირი საშუალება მოუსპეს (ტელევიზიებით დაწყებული და „ტვიტერით“ თუ სხვა სოციალური ქსელებით დამთავრებული) მას შემდეგ, რაც დონალდ ტრამპის მცირერიცხოვანმა (?) მომხრეებმა აშშ-ის დემოკრატიის ტაძარი, გნებავთ, სიმბოლო, შტურმით აიღეს და იქაურობა დაარბიეს.**

ეს ყველაფერი დონალდ ტრამპის წინააღმდეგ მიმართულ კარგად დადგმულ პროვოკაციას ჰგავდა, რათა მისთვის მომავალში ყოველგვარი პოლიტიკური საქმიანობა აეკრძალათ, რასაც ნაწილობრივ მიაღწიეს კიდეც — კონგრესმენებმა დონალდ ტრამპს იმპიჩმენტი გამოუცხადეს და ახლა ჯერი აშშ-ის სენატზეა, რომლის მიერ აშშ-ის პრეზიდენტის იმპიჩმენტის დამტკიცება ჯერჯერობით სათუო საქმედ ჩანს.

ზემოთ ვახსენე ქართული მედიის ყურადღების მიღმა დარჩენილი კაპიტალიზმის დამცველთა კლუბი რომის პაპის მეთაურობით. ამ კლუბს ე.წ. მსოფლიო მთავრობაც შეიძლება ვუწოდოთ. მთავრობა, რომლის არსებობას ბევრი დღესაც უარყოფს და მსგავს მოსაზრებას ე.წ. შეთქმულების თეორიად მიიჩნევს. მილიარდერების მიერ კაპიტალიზმის დამცველთა კლუბის დაარსება ნიღბის ჩამოხსნას ნიშნავს და დონალდ ტრამპის თავზე დატეხილი უბედურება სწორედ ამ ძალების შემოქმედებაა.

**„არ არსებობს ლიბერალზე უფრო მძვინვარე მხეცი“,** — ჭეშმარიტად ბრძანა არქიმანდრიტმა **რაფაელმა (კარელინი) და ის, რაც ხდება დასავლეთში,** კონკრეტულად აშშ-ში, ამ სიმხეცის ნათელი დასტურია. აშშ-ის სპეცსამსახურებმა ნამდვილი ნადირობა გააჩაღეს ე.წ. ტრამპისტებზე (ასეთი ტერმინიც გაჩნდა), რომლებსაც სამსახურებიდან ათავისუფლებენ და დისკრიმინაციის წნეხში ატარებენ.

აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა პირდაპირ განაცხადა: **„ჩვენ კარგი მახსოვრობა და გრძელი ხელები გვაქვს. როცა იქნება, ყველას სათითაოდ მოგაკითხავთ“.** ასეთი რამ 1930-იანი წლების „ენ-კა-ვედეს“ წარმომადგენლებაც კი არ უთქვამთ. უფრო მეტიც — გფბ-ის მაღალჩინოსნის ზემოხსენებული „როცა იქნება“-ს რაც შეიძლება სწრაფად აღსასრულებლად აშშ-ის მთავრობამ ფულადი ჯილდო დააწესა მათთვის, ვინც კაპიტოლიუმის შტურმის მონაწილეებს ამოიცნობს და, საერთოდ, ტრამპისტების გამოვლენაში დაეხმარება სპეცსამსახურებს... ამ ე.წ. ჩაშვებით ფულის მშოვნელთა რაოდენობამ 100 ათასს გადააჭარბა — შვილმა დედა „ჩაუშვა“, დამ — ძმა, მეზობელმა — მეზობელი და ა.შ.

ამერიკელები პავლიკ მოროზოვები ყოფილან. არ ვიცი, რა მოხდება 20 იანვარს ჯო ბაიდენის ინაუგურაციისას. არადა, ამ „საზეიმო“ ცერემონიის დასაცავად კაპიტოლიუმიდან 1 კილომეტრის რადიუსში რკინის ღობე აღმართეს და 35 ათასი გვარდიელია მობილიზებული, მაგრამ ერთი რამ ახლავე შეიძლება ითქვას — დონალდ ტრამპი, რომელიც წინა არჩევნებში ვაშინგტონის ჭაობის ამოშრობას დაჰპირდა საკუთარ ამომრჩევლებს, იმავე ჭაობმა თვითონ ჩაითრია...

მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ აშშ-სა და მის სატელიტ ქვეყნებში ანგლოსაქსების ლიბერალური დიქტატურა დამყარდა, დიქტატურა, რომელიც წალეკვით ემუქრება ქრისტიანულ ფესვებზე აღმოცენებულ კულტურულ კაცობრიობას.

ამ დიქტატურის ტაიფუნის ერთადერთი შემაკავებელი ძალა მხოლოდ ერთმორწმუნე რუსეთია და, რა სამწუხაროა, რომ საქართველოს ხელისუფლება, მიუხედავად აშკარა საფრთხისა, მაინც ჯიუტად დგას ლიბერასტული დასავლეთის, ჩვენი „სტრატეგიული მოკავშირე“ აშშ-ის პოლიტიკურ ფარვატერში...

**დავით მხეიძე**

**აშშ-ის მთავრობამ ფულადი ჯილდო დააწესა მათთვის, ვინც კაპიტოლიუმის შტურმის მონაწილეებს ამოიცნობს და, საერთოდ, ტრამპისტების გამოვლენაში დაეხმარება სპეცსამსახურებს... ამ ე.წ. ჩაშვებით ფულის მშოვნელთა რაოდენობამ 100 ათასს გადააჭარბა — შვილმა დედა «ჩაუშვა», დამ — ძმა, მეზობელმა — მეზობელი და ა.შ.**

პროცესების ანალიზი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როგორ შეიძლება, სახელმწიფო დემოკრატიული განვითარების გზას ადგეს, სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნის აუცილებლობას ქადაგებდეს და სახელმწიფო ჰერალდიკა რელიგიური სიმბოლოებით ჰქონდეს დახუნძლული?! კლერიკალურ და თეოკრატიულ საზოგადოებას თუ ვუყურით საფუძველს, ეს დეკლარირებული უნდა გქონდეს, ხოლო დემოკრატიის გზით თუ ვაპირებთ განვითარებას, ეს სულ სხვა რამეა და, ასეთ შემთხვევაში, პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში რელიგიური მენტალიტეტითა და რუდიმენტებით არ უნდა ვხელმძღვანელობდეთ.**

# «ოქროს კვეთა»



**ვალერი კვარაცხელიას სატელევიზიო-საავტორო პროგრამის საგაზეთო ვერსია**

**ოცდამეთხუთმეტე გადაცემა**

# მწუხრის ზეწარი

**ვალერი კვარაცხელია:** — გამარჯობა, ძვირფასო ტელემაყურებელო. ეთერშია „ოქროს კვეთა“, რომელსაც, როგორც ყოველთვის, გაგიძღვებით მე — ვალერი კვარაცხელია.

14 იანვარი სახელმწიფო დროშის დღე არისო, — გვამცნეს ტელეარხებმა და მართლმადიდებელი სამყაროსთვის ახალი წლის დადგომის დღეს თავიანთ ეკრანებზე ხუთჯვრიანი დროშები აფრიალეს.

**როგორია ამ დროშის ისტორია? 2002 წელს ახალგამომცხვარი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელსაც არც მთლად დემოკრატიული სახელი „ნაციონალური მოძრაობა“ ერქვა, თბილისის საკრებულოში უმრავლესობით შევიდა და მისი ლიდერი მიხეილ სააკაშვილი თბილისელებს საკრებულოს თავმჯდომარედ მოგვევლინა. ეს ამბავი განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენად არავის ჩაუთვლია, მაგრამ ხალხის გამოფხიზლება მაშინ დაიწყო, როდესაც სააკაშვილმა თბილისის საკრებულოს შენობის სახურავზე არსებულ მაღალ კოშკზე მოფრიალე სახელმწიფო დროშა ჩამოაგდო და თბილისის თავზე, ყოველგვარი იურიდიული საფუძვლის გარეშე, საკუთარი პარტიული დროშა აღმართა.** ამ ფაქტს უკვე ხმაური და მღელვარება არა მხოლოდ ხალხში, არამედ ხელისუფლებაშიც მოჰყვა. პარლამენტის წევრმა, აკადემიკოსმა **გურამ შარაძემ** სასამართლოში სარჩელი შეიტანა და, მთაწმინდის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველზე, 2002 წლის 27 აგვისტოს, 10 საათსა და 15 წუთზე იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებლო სამსახურმა მერიის შენობიდან სააკაშვილის პარტიული ხუთჯვრიანი დროშა ჩამოხსნა.

**გურამ შარაძე, საქართველოს პარლამენტის წევრი:** — როგორც იქნა, დავამხეთ სააკაშვილის ანტიმართლმადიდებლური, ანტისახელმწიფოებრივი, ანტიქართული დროშა, რომელიც სრულიად უკანონოდ იყო აღმართული თბილისის საკრებულოს შენობაზე.

**ვალერი კვარაცხელია:** — ყველას ეგონა, რომ ამით დასრულდა სააკაშვილის ხუთჯვრიანი დროშის ეპოპეა, მაგრამ, როგორც ზღაპრებში ხდება, რომ ურჩხულის მოჭრილი თავებიდან ახალ-ახალი თავები ამოიზრდება, დაახლოებით საათის შემდეგ, თბილისის საკრებულოს შენობაზე კვლავ აფრიალდა ხუთჯვრიანი დროშა.

**გურამ შარაძე იუსტიციის სამინისტროში შეიჭრა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება მოითხოვა, მაგრამ მას აუხსნეს, რომ აღსრულება ერთჯერადი აქტია, რომელიც უკვე განხორციელდა. ამის შემდეგ საკრებულოს შენობაზე ხელახლა თუ აღმართეს დროშა, ამ აქტის კანონიერების შესახებ სასამართლოში ახალი სარჩელი უნდა შევიდეს, სასამართლომ ახალი გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს და მხოლოდ ამას უნდა მოჰყვეს ახალი აღსრულებაო.** შარაძე მიხვდა, რომ იურისპრუდენციის ლაბირინთებიდან ამჟამად იგი სამართლიან შედეგს ვერ მიიღებდა. მან ხელი ჩაიქნია და იუსტიციის სამინისტრო დატოვა, თუმცა ფარხმალი არ დაუყრია. იგი საკრებულოს შენობაში შევიდა და ისე მოახერხა, რომ, საღამოს, შენობის დაკეტვის დროს შიგნით დარჩა. მარტო დარჩენილმა, შენობის სახურავზე მდებარე კოშკში შეღწევა შეძლო, საიდანაც სააკაშვილის პარტიული დროშა ჩამოხსნა და ძირს მოისროლა. დილით კი საკრებულოში მოსულ ხალხს შეერია და შენობიდან გარეთ გამოვიდა. არც ამ თავგამოდებამ უშველა საქმეს. საკრებულოს თავზე ცოტა ხანში კვლავ აფრიალდა სააკაშვილის დროშა. **2004 წელს კი ძალადობითა და სახელმწიფო გადატრიალების გზით უკვე საქართველოს ხელისუფლებაში მოსულმა სააკაშვილმა თავისი ხუთჯვრიანი დროშა საქართველოს სახელმწიფო დროშად აკურთხა. 2012 წელს ჯერ კიდევ პრეზიდენტმა სააკაშვილმა 14 იანვარი საქართველოს სახელმწიფო დროშის დღედ გამოაცხადა, რითაც არა სახელმწიფო დროშის, არამედ მისი პარტიული დროშის დაცვის გარანტიები შექმნა.**



მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ხელისუფლებაში მოსულ „ქართულ ოცნებაში“ არავის უფიქრია, რომ სააკაშვილის მიერ თავსმოხვეული დროშა შესაცვლელია, რადგან ამ დროშასთანაა დაკავშირებული უახლესი ისტორიის მრავალი მარცხიც, სირცხვილიც და დამცირებაც.

* სწორედ ამ დროშას ამოფარებულმა სააკაშვილმა ჩაიდინა უგუნური სამხედრო ავანტიურა, რომელსაც საქართველოს ტერიტორიების დაკარგვა მოჰყვა;
* სწორედ ამ დროშას ამოფარებულმა სააკაშვილმა დაამყარა უსასტიკესი რეჟიმი, რომელმაც ჯერ საპყრობილეები გაავსო პატიმრებით, შემდეგ კი პატიმართა წამება-გაუპატიურების შემზარავი ფაქტებით ისტორიულად ცნობილ რეჟიმებს გადააჭარბა;
* სწორედ ამ დროშას ამოფარებულმა სააკაშვილმა შეჰქმნა შიშის, უნდობლობის, ფარული მოსმენებისა და დასმენების ყოვლად არაჯანსაღი ვითარება;
* სწორედ ამ დროშას ამოფარებულმა სააკაშვილმა ჩაატარა პოლიტიკური მკვლელობების (მათ შორის, აკადემიკოს გურამ შარაძის) მთელი სერია;
* ხელისუფლებიდან გაპანღურების მერეც სწორედ ამ დროშით უკარგავს იგი მოსვენებას ქართველ ხალხს და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ საქართველოში ჯანსაღი პოლიტიკური ცხოვრების ნაცვლად მუდმივი რევანშის ატმოსფერო სუფევდეს.

2003 წლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, როდესაც კანცელარიის შენობას მთელ სიგრძე-სიგანეზე სააკაშვილის ხუთჯვრიანი დროშა ჩამოაფარეს, ამ მოვლენისადმი მიძღვნილი ჩემი სტატია ილია ჭავჭავაძის სიტყვებით დავასათაურე: „სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი მწუხრის ზეწარი გადაეფარა...“ (ჟურნალი „ხალხი“, 2003, №11). **მწუხრის ზეწარი, რომელიც საქართველოს სააკაშვილმა და მისმა ჯალათურმა ხროვამ აშშ-ის დავალებითა და მფარველობით გადააფარა, მეთვრამეტე წელიწადია, სიბნელეში ძირავს ხალხსაც და ქვეყანასაც. ბოლო პერიოდში საქართველოში რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირების პირველი ყლორტებიც ვიხილეთ. არ ვამტკიცებ, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს დროშაა დამნაშავე, მაგრამ, საერთოდ, მრავალკონფესიური სახელმწიფოს ჰერალდიკაში რელიგიური სიმბოლოების გამოყენება სახიფათოც რომ არ იყოს, უბრალოდ, არაკორექტული და უხერხულია.** როგორ შეიძლება, სახელმწიფო დემოკრატიული განვითარების გზას ადგეს, სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნის აუცილებლობას ქადაგებდეს და სახელმწიფო ჰერალდიკა რელიგიური სიმბოლოებით ჰქონდეს დახუნძლული?! კლერიკალურ და თეოკრატიულ საზოგადოებას თუ ვუყურით საფუძველს, ეს დეკლარირებული უნდა გვქონდეს, ხოლო დემოკრატიის გზით თუ ვაპირებთ განვითარებას, ეს სულ სხვა რამეა და, ასეთ შემთხვევაში, პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში რელიგიური მენტალიტეტითა და რუდიმენტებით არ უნდა ვხელმძღვანელობდეთ. ეს ის ანა-ბანაა, რომელიც, ალბათ, ვიცით, მაგრამ, სამწუხაროდ, გვეშლება ხოლმე. **როდესაც დემოკრატიაზე ხმის ჩახლეჩვამდე გაჰყვირი, იმაზეც უნდა იფიქრო, რომ დემოკრატიას შენი ისტორია, წარსული და ტრადიციები ფეხებზე ჰკიდია. სადაც დემოკრატიაა, იქ რელიგიური, ეთნიკური, სექსუალური და ათასი ჯურის სხვა უმცირესობანი საზოგადოებისა და კანონისგან თანაბარ მოპყრობას ითხოვენ. თქვენ წარმოიდგინეთ, ნარკოტიკულ საშუალებათა დეკრიმინალიზაციასა და ლეგალიზაციასაც კი გამოუჩნდნენ მომხრეები.** ეს რეალობაა, რომელსაც ვერსად გაექცევი. დემოკრატიას თუ აცხადებ, დემოკრატიით სპეკულანტები, პოლიტიკური მეძავები და პარაზიტული ელემენტები მუდმივად იქნებიან, ეს დემოკრატიის თანმხლები პროცესია. მათ არსებობას თუ ვერ ურიგდები, მაშინ მათ კი არ უნდა ებრძოლო, პირველ რიგში, აკვიატებულ დასავლურ დემოკრატიაზე უნდა თქვა უარი...

საქართველოსთვის ამ უკიდურესად მძიმე ვითარებაში, მაშინ, როდესაც პანდემია მძვინვარებს, მსოფლიოში კი ისეთი ცვლილებები ხორციელდება, რომლებიც ჩვენზე გარდაუვალ უარყოფით გავლენას იქონიებს (ერთი მხრივ, მხედველობაში მაქვს აშშ-ის ხელისუფლებაში ლიბერალების რევანში, მეორე მხრივ კი, ამიერკავკასიაში მიმდინარე უაღრესად რთული გეოპოლიტიკური ცვლილებები), მმართველი პარტიის ლიდერი ბიძინა ივანიშვილი სრულიად მოულოდნელსა და უცნაურ განცხადებას აკეთებს — ▶

**დიდი ილია მწუხრის ზეწარზე როდესაც საუბრობდა, საქართველოს გულისხმობდა. დღეს მწუხრის ზეწარი მსოფლიოს გადაეფარა. ძალა, რომელმაც აშშ-ში ამ ქვეყანაშივე გამოგონილი «ფერადი რევოლუცია» თუ სახელმწიფო გადატრიალება განახორციელა, მსოფლიო რევანშს გეგმავს. ეს სწორედ ის ძალაა, რომელმაც 2003 წელს ჩვენთან განხორციელებულ სახელმწიფო გადატრიალებას «ვარდების რევოლუცია» უწოდა და საქართველოში ლიბერალური (თანამედროვე ფაშისტური) ძალების გაბატონების დასტურად სააკაშვილს თბილისის თავზე ხუთჯვრიანი დროშა აღამართვინა**

**იგი იმ ახალ რეალობას გაექცა, რომლის მიხედვითაც, ყარაბაღის მოვლენების შემდეგ რუსეთი მყარად შემოვიდა ამიერკავკასიაში. ამ ახალმა რეალობამ ის შედეგი მოიტანა, რომ სარკინიგზო მიმოსვლა რუსეთ-აზერბაიჯან-თურქეთს შორის და რუსეთ-აზერბაიჯან-ირანს შორის ამიერიდან სომხეთის გავლით განხორციელდება. ეს კი რასაც ნიშნავს, ხვდებით, ალბათ — „დათა თუთაშხიაში“ ერთი დიდებული პასაჟი რომ არის, აი, იმას: „ფუნქცია დავკარგეთ!“**

პროცესების ანალიზი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ პოლიტიკიდან მივდივარ.

**ბიძინა ივანიშვილი:** — ვთვლი, რომ ჩემი მისია შესრულებულია. მივიღე გადაწყვეტილება, საბოლოოდ დავტოვო პოლიტიკა და სრულიად ჩამოვცილდე მართვის სადავეებს. მე ვტოვებ როგორც პარტიის თავმჯდომარის პოსტს, ისე საკუთრივ პარტიასაც და ჩემს 2011 წლამდელ ცხოვრების წესს ვუბრუნდები.

**ვალერი კვარაცხელია:** — **საინტერესოა, საქართველოში რამდენი ადამიანი აღმოჩნდება ისეთი, რომელიც მართლა დაიჯერებს, რომ ბიძინა ივანიშვილმა ის მისია, რომელიც 2012 წელს თავის თავზე აიღო, ამოწურა, ხალხისთვის მიცემული ყველა დაპირება შეასრულა და ამიტომ წავიდა პოლიტიკიდან. აღარც მინდა გავიხსენო ხალხისთვის უფასო ფულის, ანუ უფასო კრედიტების დაპირებისა და მერე მისი გაწბილების ისტორია; აღარც ენერგომატარებლების ფასების განახევრების შესახებ ნათქვამი მინდა გავიხსენო; არც თითოეული სოფლისთვის მილიონების გამოყოფასთან დაკავშირებით გაცემული წინასაარჩევნო დაპირების გახსენება მინდა; არც ამ ნათქვამის გახსენება მინდა:**

**ბიძინა ივანიშვილი:** — რაც შეეხება ეკონომიკას, პირველი წელიწადი იქნება რთული, მეორე წელიწადი იქნება საგრძნობლად უკეთესი; მესამე წელს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უკეთესობას საკუთარ თავსა და საკუთარ ჯიბეზე იგრძნობს; მეოთხე წელიწადი იქნება ძალიან კარგი.

**ვალერი კვარაცხელია:** — არ მსიამოვნებს ამ დაპირებების გახსენება, მაგრამ ეს კაცი ახლაც იმგვარ განცხადებას აკეთებს, რომ სხვა გამოსავალს არ მიტოვებს. **მეოთხე წელიწადი იქნება ძალიან კარგიო, ხელისუფლებაში ივანიშვილის მოსვლიდან ახლა მეცხრე წელიწადია, მაგრამ ის „ძალიან კარგი მეოთხე წელიწადი“ ჯერაც არ დამდგარა, თუმცა... თვითონ სულაც არ ფიქრობს ასე.**

**ბიძინა ივანიშვილი:** — პოლიტიკიდან მივდივარ ამაყი, გამარჯვებული და ხალხის მადლიერი. ხალხმა შეძლო იმ ძალისხმევის დანახვა, რაც მხოლოდ ქვეყნისა და სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე გავწიე.

**ვალერი კვარაცხელია:** — ბატონ ივანიშვილს მისი პირველი წერილიდან, რომლითაც 1991 წელს ქართველ ხალხს მიმართა, ციტატები მოჰყავს იმის საილუსტრაციოდ, თუ რა პროგრამით მოდიოდა ხელისუფლებაში და მართლაც გამარჯვებული კაცის იერით გვეუბნება, — ეს ყველაფერი ხომ გავაკეთეო. ვნახოთ, რომელი ძველი დაპირებების ციტირებას ახდენს ბატონი ივანიშვილი ამ ახალ წერილში.

**ბიძინა ივანიშვილი:** — პერსპექტიული გავხადოთ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე ქართული სახელმწიფოს იურისდიქციის აღდგენა; დავიწყოთ რუსეთთან ურთიერთობის დალაგება.

**ვალერი კვარაცხელია:** — როგორ ფიქრობთ, ძვირფასო მაყურებელო, აი, ეს ორი პუნქტი ბიძინა ივანიშვილის წინასაარჩევნო დაპირებიდან შესრულებულია? **ივანიშვილის მმართველობის რვაწლიან პერიოდში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ქართული სახელმწიფოს იურისდიქციის აღდგენა პერსპექტიული გახდა ან, საერთოდ, დაიძრა მკვდარი წერტილიდან?** ამ შეკითხვას მე არ გავცემ პასუხს, თვითონ გაეცით. რუსეთთან „ურთიერთობის დალაგების“ (ივანიშვილის ტერმინია) მიმართულებით ამ რვა წელწადში ნაბიჯი გადაიდგა წინ? ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემაც თქვენზე იყოს, პატივცემულო მაყურებელო, და მხოლოდ ახლა, როდესაც თქვენ, თქვენთვის, უკვე გაეცით პასუხი ჩემ მიერ დასმულ შეკითხვებს, მოგასმენინებთ ბიძინა ივანიშვილის შეფასებას საკუთარი ღვაწლისა. საინტერესოა, დაემთხვევა თუ არა ივანიშვილის შეფასება თქვენეულ შეფასებებს. ინებეთ:

**ბიძინა ივანიშვილი:** — ჩემ მიერ დეკლარირებული თითქმის ყველა მიზანი სტრატეგიულ დონეზე მიღწეულია. ახლა, როცა მმართველობის ორი ვადაა გასული, შედეგების შეჯამების დროს ხალხისთვის თვალის გასწორების უფლება ჩვენს ხელისუფლებას ნამდვილად აქვს!

**ვალერი კვარაცხელია:** — საკუთარი ღვაწლის ივანიშვილისეული შეფასება თქვენეული შეფასებისგან დიამეტრულად განსხვავებულია, ხომ? **ივანიშვილის მიერ მოყვანილმა და მისმა ხელქვეითმა პრეზიდენტებმა და პრემიერმინისტრებმა რვა წლის განმავლობაში ერთი შეხვედრაც კი ვერ მოახერხეს რუსეთის ხელისუფლებასთან, როცა რუსეთიდან შეხვედრაზე მზაობის შესახებ უმაღლესი დონიდან მოდიოდა გზავნილები. სხვა რა გზა არსებობდა (ან მომავალში რა გზა იარსებებს) საქართველოს ტერიტორიული გამთლიანებისა?! ევროპაში სირბილი, ნატოსთან და აშშ-თან ვითომ პარტნიორული ღლაბუცი ხომ უქმად დროს კარგვა იყო, რამაც უფრო გაართულა ურთიერთობა რუსებთანაც, აფხაზებთანაც და ოსებთანაც.** ივანიშვილმა კი, როგორც დაცინვა და მასხრად აგდება, ეს წინადადება დაგვიტოვა მის ისტორიულ უსტარში: **„ჩემ მიერ დეკლარირებული თითქმის ყველა მიზანი, სტრატეგიულ დონეზე, მიღწეულია!“** ივანიშვილი იმიტომ კი არ წავიდა, რომ, როგორც თვითონ ამბობს, ყველაფერი გააკეთა და მისია ამოწურა, პირიქით, იგი მწვავე რეალობას გაექცა. გაექცა იურიდიულად, პასუხისმგებლობის მოსახსნელად, თუმცა, წასვლის შემდეგაც იმად დარჩა, რაც აქამდე იყო — არაფორმალურ მმართველად. **იგი იმ ახალ რეალობას გაექცა, რომლის მიხედვითაც, ყარაბაღის მოვლენების შემდეგ რუსეთი მყარად შემოვიდა ამიერკავკასიაში. ამ ახალმა რეალობამ ის შედეგი მოიტანა, რომ სარკინიგზო მიმოსვლა რუსეთ-აზერბაიჯან-თურქეთს შორის და რუსეთ-აზერბაიჯან-ირანს შორის ამიერიდან სომხეთის გავლით განხორციელდება.** ეს კი რასაც ნიშნავს, ხვდებით, ალბათ — „დათა თუთაშხიაში“ ერთი დიდებული პასაჟი რომ არის, აი, იმას: **„ფუნქცია დავკარგეთ!“**

ეს უბრალო რამ არ გეგონოთ. **დამოუკიდებლობისკენ ლტოლვის მთელი ფილოსოფია იმაზე გვქონდა აგებული, რომ ევროპასა და აზიას შორის სატრანზიტო დერეფნის ფუნქცია გვქონოდა. ახლა კი, ამიერკავკასიის ამ ახალ რეალობაში, როდესაც რეგიონში რუსეთის გავლენა ძლიერდება და, შესაბამისად, დასავლეთის გავლენა შემცირდება, ჩვენ საერთაშორისო გეოპოლიტიკურ ფუნქციას ვკარგავთ და, ფეხბურთის ენით რომ ვთქვათ, თამაშგარეშე მდგომარეობაში ვრჩებით.** ეს კატასტროფის მომასწავებელია. აი, ამ მოვლენის შედეგებს გაექცა ივანიშვილი. სამწუხაროდ, მხოლოდ ეს არ არის. აშშ-ში ე.წ. ლიბერალურმა ძალებმა, პრაქტიკულად, სახელმწიფო გადატრიალება მოაწყვეს. **დაპირისპირება, რომელმაც აშშ-ის მოსახლეობა ორ ნაწილად გახლიჩა, ტრამპსა და ბაიდენს შორის დაპირისპირება კი არ არის, აშშ-სა და ტრანსნაციონალურ კომპანიებს შორის დაპირისპირებაა, ანუ ტრადიციულ ამერიკასა და ახალ, გლობალურ, ციფრულ, ზეკაპიტალისტურ ამერიკას შორის დაპირისპირება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ამერიკასა და ანტიამერიკას შორის დაპირისპირებაა.** ეს ამერიკასა და იმ ფარულ ძალებს შორის ღია დაპირისპირებაა, რომლებიც აქამდე კულისებიდან მართავდნენ ამერიკას, ახლა კი კულისებიდან ებრძვიან მას, ვინაიდან ამერიკაში ტრამპმა ამერიკული, სახელმწიფოებრივი სული გამოაღვიძა, რომელიც ეწინააღმდეგება, როგორც მე ვუწოდე, ანტიამერიკას, რომლის წარმომადგენლებისთვისაც აშშ სამშობლო კი არ არის, ოფისია მხოლოდ. მათთვის დედამიწაც და, თუ გნებავთ, მთელი სამყაროც ოფისია. ეს იმიტომ ხდება, რომ მათ კაპიტალის სიყვარულმა ყველა სხვა სიყვარული დააკარგვინა და ყველა სხვა ღირებულების მიმართ სიძულვილით აღძრა. **ეს ის ძალაა, რომელსაც სამშობლო არ გააჩნია. ეს ის ძალაა, რომლის ბოროტების მასშტაბებს ძალაუფლების ხელში აღებისთანავე მიღებული პირველი გადაწყვეტილება გვიჩვენებს. მათ აკრძალეს სიტყვები: დედა და მამა; ბებია და ბაბუა; ქალიშვილი და ვაჟიშვილი; და-ძმა; ცოლი და ქმარი და ა.შ. ეს არის თანამედროვე ფაშიზმი. მეოცე საუკუნეში ევროპელ ფაშისტებს გარკვეული ერებისა და ხალხების (ებრაელების, რუსების, ბოშების, სლავების) მოსპობა თუ სურდათ, ოცდამეერთე საუკუნის ამ ფაშისტებს ადამიანის მოდგმის მოსპობა სურთ.** ევროპელი ფაშისტები თავიანთი მიზნის მიღწევას საკონცენტრაციო ბანაკებითა და გაზის კამერებით თუ აპირებდნენ, თანამედროვე ამერიკელი ფაშისტები სქესის მოსპობით, მდედრისა და მამრის აკრძალვითა და განადგურებით გეგმავენ. **ეს ის ძალაა, რომელიც აშშ-ის პრეზიდენტებს თოჯინებივით ათამაშებს; ეს ის ძალაა, რომელსაც შეუძლია, აშშ-ის მოქმედ პრეზიდენტს არჩევნები გაუყალბოს, შემდეგ კი მედიასივრციდან და სოციალური ქსელებიდან განდევნოს, ანუ სიტყვის თავისუფლება წაართვას, საბანკო ანგარიშები დაუხუროს და ასე, ხელის ერთი აქნევით, არარაობად აქციოს. აი, ეს ძალა (ანტიამერიკა) უპირისპირდება ამერიკასა და ამერიკელ ხალხს.**

რას ნიშნავს ან საიდან მოდის ეს ყველაფერი?

ეს იმას ნიშნავს, რომ აშშ-ში გასკდა ის, რაც არ შეიძლებოდა, არ გამსკდარიყო. **აშშ იხრჩობა კაპიტალიზმის უმაღლესი და უკანასკნელი სტადიისთვის (იმპერიალიზმი) დამახასიათებელ წინააღმდეგობებში. ეს არ არის ცალ-ცალკე აღებული პოლიტიკური, იდეოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური, საფინანსო, რასობრივი, რელიგიური ან საარჩევნო კრიზისი. ეს ყოველივე ერთად აღებულის კრიზისია. ეს გლობალური უზნეობის, ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრის ნებადართულობის კრიზისია, დაკანონებული უსამართლობის კრიზისია, ანუ სისტემური კრიზისი.** მომავალში ჩვენ ამ საკითხებს უფრო ღრმად შევეხებით, დღეს კი იმით შემოვიფარგლოთ, რომ ეს სიტუაცია ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მგონია ივანიშვილის გაქცევისა.

**ივანიშვილი მიხვდა, რომ ამიერკავკასიაში რუსული გავლენების გაძლიერებისა და აშშ-ში ლიბერალური, ანუ თანამედროვე ფაშისტური იდეოლოგიის გაბატონების ფონზე საქართველოში ძლიერი პოლიტიკური რყევები ახლოვდება. მან ამ რყევების ეპიცენტრში ყოფნა არ მოისურვა. იგი გარდაუვალ ეპოქალურ ძვრებს გაექცა, თქვენ წარმოიდგინეთ, საკუთარ კაპიტალსა და საკუთარ მდგომარეობას გაექცა, ვინაიდან შესაძლებელია, სწორედ ეს კაპიტალი და მდგომარეობა აღმოჩენილიყო ის ხაფანგი, რომელზეც იგი დაეცემოდა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ივანიშვილი რუსეთსა და ამერიკას შორის არჩევანის გაკეთებას გაექცა, რომლის წინაშეც, პოლიტიკაში დარჩენის შემთხვევაში, აუცილებლად აღმოჩნდებოდა.** ივანიშვილი რვა წელიწადი გაურბოდა ამ არჩევანს, ერთ დათმობას ერთ მხარეს თუ გააკეთებდა, მეორე დათმობას მეორე მხარეს გადაუგდებდა. **რუსეთთან დიალოგის რაღაც „ლიპა“ ფორმატი (აბაშიძე-კარასინის) თუ შექმნა, იმავე წუთს ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას მოაწერა ხელი; ანაკლიის პორტის მშენებლობა თუ ჩააგდო, აშშ მაშინვე სტრატეგიულ პარტნიორად გამოაცხადა და ა.შ. ახლა კი იგრძნო, რომ ამ ახალ რეალობაში ეს მეთოდი ველარ იმუშავებს. სულ მალე საკითხი მთელი სიმწვავით დადგება — ან აქეთ, ან იქით. აი, რას გაექცა ივანიშვილი, იგი ამ მტანჯველ არჩევანს, მასზე ფიქრსა და შეცდომის დაშვების შემთხვევაში გარდაუვალი დასჯის შიშს გაექცა.** ბიბლიური მოსეს ისტორიის ერთი ეპიზოდი ასეთია: „ფარაონმა შეიტყო, რომ მოსეს ძალიან უყვარს ებრაელები, რომელთა ამოწყვეტასაც თვითონ ცდილობდა. ესარჩლება მათ, ხელს უმართავს. ეგვიპტელები კი, როგორც მჩაგვრელნი, სძულს და ყოველთვის ისრაელის მხარე უკავია. შეიტყო ეს და მოინდომა მოსეს დასჯა სიკვდილით. მოსემ ეს რომ გაიგო, ადგა და ეგვიპტიდან გაიქცა“.

დიდი ილია მწუხრის ზეწარზე როდესაც საუბრობდა, საქართველოს გულისხმობდა. დღეს მწუხრის ზეწარი მსოფლიოს გადაეფარა. ძალა, რომელმაც აშშ-ში ამ ქვეყანაშივე გამოგონილი „ფერადი რევოლუცია“ თუ სახელმწიფო გადატრიალება განახორციელა, მსოფლიო რევანშს გეგმავს. ეს სწორედ ის ძალაა, რომელმაც 2003 წელს განხორციელებულ სახელმწიფო გადატრიალებას „ვარდების რევოლუცია“ უწოდა და საქართველოში ლიბერალური (თანამედროვე ფაშისტური) ძალების გაბატონების დასტურად სააკაშვილს თბილისის თავზე ხუთჯვრიანი დროშა აღამართვინა.

ასეთი იყო დღეს „ოქროს კვეთა“, მომავალ შეხვედრამდე.

**P. S. „ოქროს კვეთა“, როგორც სატელევიზიო გადაცემის საგაზეთო ვერსია, ამ გამოშვებით არსებობას წყვეტს. მადლობა გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“, რომელიც მკითხველებთან მისვლის საშუალებას მაძლევდა, და მადლობა მკითხველებს, რომელთა მხარდაჭერას მუდმივად ვგრძნობდი.**

**ეს არ ნიშნავს, რომ მე მივდივარ გაზეთიდან. მომდევნო ნომრიდან თქვენ საშუალება გექნებათ, იხილოთ ჩემი ახალი, უკვე საგაზეთო ფორმატის, საავტორო პუბლიკაციები. პრობლემებში ჩაძირულ და გაუბედურებულ ამ ჩვენს სამშობლოში სალაპარაკოს რა გამოლევს, მთავარია, ერთმანეთთან საუბრის, ერთმანეთის მოსმენისა და გაგების კულტურა შეგვრჩეს, რომლის მწვავე უკმარისობა, დიდი ხანია, გვაწუხებს.**

**ვალერი კვარაცხელია**

> **ივანიშვილი მიხვდა, რომ ამიერკავკასიაში რუსული გავლენების გაძლიერებისა და აშშ-ში ლიბერალური, ანუ თანამედროვე ფაშისტური იდეოლოგიის გაბატონების ფონზე საქართველოში ძლიერი პოლიტიკური რყევები ახლოვდება. მან ამ რყევების ეპიცენტრში ყოფნა არ მოისურვა. იგი გარდაუვალ ეპოქალურ ძვრებს გაექცა, თქვენ წარმოიდგინეთ, საკუთარ კაპიტალსა და საკუთარ მდგომარეობას გაექცა, ვინაიდან შესაძლებელია, სწორედ ეს კაპიტალი და მდგომარეობა აღმოჩენილიყო ის ხაფანგი, რომელზეც იგი დაეცემოდა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ივანიშვილი რუსეთსა და ამერიკას შორის არჩევანის გაკეთებას გაექცა, რომლის წინაშეც, პოლიტიკაში დარჩენის შემთხვევაში, აუცილებლად აღმოჩნდებოდა**



ჩაქუჩი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ამ ხელისუფლებაზე, სიმართლე გითხრათ, საერთოდ, ლაპარაკიც არ მინდა, იმიტომ, რომ, რასაც ვხედავთ და ვისმენთ, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, არის სრული კრეტინიზმი. ხომ ხედავთ, გახარია სად შეტენეს, პარტიის ყრილობაზე სიტყვა არ ათქმევინეს... ეს ადამიანი ჩვეულებრივი პრიმიტიული კარიერისტია, რომელმაც ვერაფერს მიაღწია, და ახლა ლამის თეთრი ხალათი ჩაიცვას, ვითომ კორონავირუსს წარმატებით უმკლავდება... აი, ასეთები არიან და ამის იქით ვერ მიდიან“.**



# გულბაათ რცხილაძე: რასაც გადაწყვეტენ ვაშინგტონი, თურქეთი და აზერბაიჯანი, საქართველოს სახელმძღვანელო პოლიტიკაც ის იქნება

**რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში ვლადიმერ პუტინს, ილჰამ ალიევსა და ნიკოლ ფაშინიანს შორის 11 იანვარს გამართული სამმხრივი შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც მიღწეული იქნა შეთანხმება აზერბაიჯანის გავლით სომხეთის რუსეთთან დამაკავშირებელი ახალი სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობაზე, ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ერთ-ერთ განსახილველ და საკამათო საკითხად რჩება. მსჯელობენ, ძირითადად, იმაზე, რას შეცვლის რეგიონში აღნიშნული პროექტი და რა პოზიციებს დაიკავებენ სახელმწიფოები ახალი დღის წესრიგის პირობებში. ექსპერტებისა თუ პოლიტიკოსების დიდი ნაწილი ერთ რამეზე თანხმდება: ახალი რკინიგზა, რომელიც, ერთი მხრივ, სომხეთს რუსეთთან, ხოლო, მეორე მხრივ, აზერბაიჯანს თურქეთთან დააკავშირებს, საქართველოს სატრანზიტო ფუნქციასა და პოტენციალს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს. მეტიც, მათივე (ექსპერტების) მოსაზრებით, საქართველო, შესაძლოა, ერთგვარ ეკონომიკურ ბლოკადაშიც მოექცეს, რაც, ბუნებრივია, მნიშვნელოვნად შეასუსტებს მის პოზიციებს როგორც რეგიონში, ისე საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე.**

**რას შეცვლის საქართველოსთვის ეს შეთანხმება და რა გეოპოლიტიკურ კორექტივებს შეიტანს ის რეგიონის დღის წესრიგში — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი გულბაათ რცხილაძე.**



**«არანაირი საზოგადოება საქართველოში არ არსებობს. აქ ყველა შემძვრალია თავის სოროში და მორჩა. სამწუხაროდ, ეს უკვე არის ტერიტორია, რომელიც დაღუპულია და, როგორც ჩანს, არაფერი ეშველება. არ ეშველება იმიტომ, რომ, როგორც გითხარით, საქართველო არის სრულად დესუვერენიზებული»**

**— ბატონო გულბაათ, სომხეთს, აზერბაიჯანსა და რუსეთს შორის მიღწეული სამმხრივი შეთანხმება, რომლის თანახმად, აზერბაიჯანის გავლით სომხეთის რუსეთთან დამაკავშირებელი, ხოლო სომხეთის გავლით აზერბაიჯანის თურქეთთან დამაკავშირებელი ახალი რკინიგზა უნდა გაკეთდეს, საქართველოში აქტიური განხილვის საგანია. ხელისუფლება თითქოს არ იმჩნევს, მაგრამ ბევრი საუბრობს, რომ ქვეყანა სატრანზიტო ფუნქციას კარგავს... რა იცვლება ჩვენთვის რეალურად?**

— ეს ახალი სატრანზიტო დერეფანი შორეული პერსპექტივაა და ამ საკითხზე განცხადებები უფრო ვითარების განმუხტვას ემსახურება ყარაბაღის ომის შემდეგ. ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით ეს ყველაფერი ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს. რაც შეეხება საქართველოს და კონკრეტულად იმ მოსაზრებას, რომ შესაძლოა, სატრანზიტო ფუნქცია დავკარგოთ, დავიწყოთ იმით, რომ **საქართველო თავისი არასწორი და აბსოლუტურად არაადეკვატური მიდგომებით საკუთარ თავს ებრძვის, ვინაიდან იმ დროს, როცა ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისია და პორტებში ტვირთბრუნვა ისედაც შემცირებული, ხელი შეუწყო თურქული რკინიგზის მშენებლობას, თანაც უარს ამბობს, განიხილოს აფხაზეთისა და როკის გვირაბის გავლით კომუნიკაციების განახლება რუსეთთან.** თურქეთსა და აზერბაიჯანს საქართველოს გავლით უკვე აქვთ ერთმანეთთან ყველანაირი კომუნიკაცია, ამიტომ, წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით, მათ დიდად არ სჭირდებათ, სომხეთის გავლით იაროს ტვირთებმა. საერთოდ, საქართველო, როგორც სატრანზიტო ქვეყანა, მათთვის ყველანაირად ხელსაყრელია, იმიტომ, რომ თურქეთმაც და აზერბაიჯანმაც ძალიან კარგად იციან, რომ საქართველოს მთავრობა არასოდეს არ შეეწინააღმდეგება ამ კომუნიკაციას და არ წამოაყენებს ახალ პირობებს, განსხვავებით სომხეთისგან, რომელიც ამ თვალსაზრისით უფრო არასაიმედო პარტნიორი შეიძლება იყოს. აი ეს არის რეალობა, ამიტომ შეფასებები, თითქოს სომხეთი ახალ სატრანზიტო ფუნქციას იძენს და ამის გამო რეგიონში ეკონომიკური დღის წესრიგი ძირეულად იცვლება, ცოტა არარეალური მგონია. აქ, უბრალოდ, ერთი რამ არის: აზერბაიჯანი დაინტერესებულია, ჰქონდეს ჰუმანიტარული დერეფანი, პირდაპირი მისასვლელი ნახჩევანთან, ხოლო სომხეთს, რომელსაც უკვე მხოლოდ ანკლავიღა აქვს აზერბაიჯანში ყარაბაღის სახით, სჭირდება კომუნიკაცია სტეფანაკერტთან. აი, ეს გაცვლა ხდება რეალურად, მაგრამ კიდევ ვიმეორებ: ეს ვერ იქნება დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის გზა, რომელმაც შეიძლება კონკურენცია გაუწიოს საქართველოზე გამავალ სატრანზიტო კომუნიკაციებს.

**— თუმცა აქ, ალბათ, მნიშვნელოვანი მომენტია ისიც, რომ აზერბაიჯანთან დამატებითი კომუნიკაციების არსებობით თურქეთიცაა დაინტერესებული. ეს ხომ აშკარაა?**

— რა თქმა უნდა, თურქეთს ეს ინტერესი აქვს და ამაში გასაკვირიც არაფერია, იმიტომ, რომ ამით ის იძენს კიდევ ერთ ბერკეტს რეგიონში. აქ რუსეთის პოზიციაც საინტერესოა, რომელიც, ფაქტობრივად, უარს ამბობს საქართველოში გავლენის მოპოვებაზე და რაღაც შემოვლითი გზებით ცდილობს აზერბაიჯანთან და სომხეთთან რაღაც უაცნაური ოთხკუთხედი გააკეთოს. ვფიქრობ, ეს არ არის მაინცდამაინც კარგი ცხოვრებით განპირობებული...

რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, **საქართველო, რა თქმა უნდა, არ არის სუვერენული სახელმწიფო და მას არ აქვს გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების საშუალება, ვინაიდან ეს ყველაფერი დელეგირებული აქვს ვაშინგტონსა და ანკარას, თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ ჩვენი სუვერენიტეტის მცირე ნაწილი ბაქოსაც აქვს წაღებული.** გამომდინარე აქედან, ნებისმიერ კონტექსტში, ნებისმიერ გეოპოლიტიკურ კონიუნქტურაში ჩვენ ვართ მხოლოდ განსახილველი საკითხი და შეთანხმების ობიექტი დიდ სახელმწიფოებს შორის; კიდევ უფრო მარტივად რომ ვთქვათ, **რასაც გადაწყვეტენ ვაშინგტონი, თურქეთი და აზერბაიჯანი, საქართველოს სახელმძღვანელო პოლიტიკაც ის იქნება. აი, ეს არის ჩვენი სამწუხარო რეალობა, რომელიც, ალბათ, სიახლე არავისთვისაა.**

**— დიდ სახელმწიფოებს შორის შეთანხმება ახსენეთ, როგორ ფიქრობთ, ის გარემოება, რომ დღევანდელ ვითარებაში რუსეთი, ფაქტობრივად, არ ცდილობს საქართველოში გავლენის მოპოვებას, რაც, ობიექტური თვალსაზრისით, მის ინტერესებს, ალბათ, არ შეესაბამება, რამე შეთანხმებაზეც შეიძლება, მეტყველებდეს?**

— ყოველ შემთხვევაში ერთი რამ უკვე ნათლად იკვეთება: რუსეთის ინტერესი სომხეთისა და აზერბაიჯანის მიმართ გაიზარდა და ეს სავსებით ლოგიკურია. მეტსაც გეტყვით, ვფიქრობ, რომ ის, რაც ბოლო პერიოდში მოხდა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, **ალიევს** წინასწარ ჰქონდა მოსკოვთან შეთანხმებული. ამ შეთანხმების შესახებ, ალბათ, **ფაშინიანმაც** იცოდა და დიდი შანსია, რომ ის ამ გარიგების ნაწილი იყო. ანუ, რეალურად მოხდა ის, რომ სომხეთს უნდა ჩამორთმეოდა იმ ტერიტორიებზე კონტროლი, რომლებიც არ შედიოდა ყარაბაღის ავტონომიაში და პლუს ქალაქი შუშა — ისტორიულად აზერბაიჯანული ქალაქი. ეს ყველაფერი დაუბრუნეს ალიევს. სხვათა შორის, პუტინმა ოქტომბრის ბოლოს, თუ არ ვცდები, 27 ოქტომბერს, ვალდაის სადისკუსიო კლუბის წევრებთან დიალოგის ფარგლებში განაცხადა, რომ 30 წელიწადია, აზერბაიჯანი ელოდება იმ ტერიტორიების დაბრუნებას, რომლებიც არ შედის ყარაბაღის შემადგენლობაში... ეს იყო პირდაპირ, ყოველგვარი დიპლომატიური მიკიბვ-მოკიბვის გარეშე გაკეთებული განცხადება, რომლითაც პრაქტიკულად მწვანე შუქი აუნთო ბაქოს კონკრეტული მოქმედებებისთვის. რა თქმა უნდა, ეს არ იყო სპონტანური განცხადება, შეთანხმება უკვე არსებობდა.

რაც შეეხება შედეგებს, რა თქმა უნდა, შეთანხმებითა და ომის დასრულებით ყარაბაღში კავკასიური თამაში არ დასრულებულა. ჩვენ უკვე ვხედავთ საკმაოდ პრეტენზიულ თურქეთს და მის პრეზიდენტ **ერდოღანს,** რომელმაც პირდაპირ განაცხადა ამ დღეებში: ჩვენ უნდა მივაღწიოთ ისეთ შეთანხმებას ყარაბაღში, რომ მის სომხურ მოსახლეობას არ სჭირდებოდეს სამშვიდობოებისგან ფიზიკური დაცვა... ე.ი., უსაფრთხოების გარანტიებს ჩვენ მივცემთ და არანაირი რუსი სამშვიდობოები იქ არ იქნებიან საჭიროო. რუსეთი ამას რომ წაუყრუებს, ვითომ ვერ ხედავს და ა.შ., ეს არ არის მისთვის კარგი, იმიტომ, რომ რუსეთს, მისი სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებლად სჭირდება კონტროლი კავკასიაზე; მათ შორის სტრატეგიული კონტროლი საქართველოზეც, რაც საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგო სულაც არ არის.

**— მოდი, მკითხველს უფრო კონკრეტულად განვუმარტოთ, რას გულისხმობს ან შეიძლება გულისხმობდეს სტრატეგიული კონტროლი.**

— სტრატეგიული კონტროლი, პირველ რიგში, ნიშნავს იმას, რომ საქართველო იყოს რუსეთის გეოპოლიტიკურ ორბიტაზე; რომ საქართველო არ იყოს რუსეთის მოწინააღმდეგე, არ იყოს აქ ნატოს შემომყვანი, არ იყოს ამერიკის სტრატეგიული ინტერესების გამტარებელი რეგიონში; არ დააფუძნოს აქ ამერიკული სამხედრო ბაზები და ა.შ. აი, ეს აინტერესებს რუსეთს, თორემ ასი წელი მას არ დააინტერესებს, ვინ რამდენი კვოტით შევა აქ პარლამენტში, რომელ კანონს მიიღებენ, როგორ გავაუმჯობესოთ, მაგალითად, ტრანსგენდერების უფლებები და ა.შ.

რაც შეეხება საქართველოს პოზიციას ამ ყველაფერზე, ჩვენ ვამბობთ, რომ ეს არის დამოუკიდებლობის დაკარგვა, უარის თქმა სუვერენიტეტზე, დემოკრატიაზე, ნათელ მომავალზე, „ისტორიულ არჩევანზე“ და კიდევ რა ვიცი, რამდენ „კარგ“ რამეზე. არადა ის, რასაც ვხედავთ დღევანდელ ქართულ პოლიტიკურ ლანდშაფტზე, თურმე ნამდვილი დამოუკიდებლობა ყოფილა.

**— თუმცა აქ, ალბათ, ცალკე საკითხია, ემთხვევა თუ არა ეს ყველაფერი საზოგადოების რეალურ განწყობებს.**

— მოდი, პირდაპირ ვთქვათ: არანაირი საზოგადოება საქართველოში არ არსებობს. აქ ყველა შემძვრალია თავის სოროში და მორჩა. სამწუხაროდ, ეს უკვე არის ტერიტორია, რომელიც დაღუპულია და, როგორც ჩანს, ამას არაფერი ეშველება. არ ეშველება იმიტომ, რომ, როგორც გითხარით, საქართველო არის სრულად დესუვერენიზებული. რაც შეეხება გამოსავალს იდეაში, გეოპოლიტიკური ლოგიკა გვკარნახობს, რომ საქართველო, რუსეთი და სომხეთი უნდა თანამშრომლობდნენ აქტიურად; უნდა თანამშრომლობდნენ არა მხოლოდ ეკონომიკური მიმართულებებით, პოლიტიკურად და, რაც მთავარია, უსაფრთხოების თვალსაზრისით. ანუ, უნდა იყოს მათ შორის კოორდინაცია და პარალელურად, რა თქმა უნდა, დიალოგი როგორც თურქეთთან, ისე აზერბაიჯანთან...

**— როგორ ფიქრობთ, ამ ხელისუფლების პირობებში ეს შესაძლებელია?**

— ამ ხელისუფლებაზე, სიმართლე გითხრათ, საერთოდ, ლაპარაკიც არ მინდა, იმიტომ, რომ, რასაც ვხედავთ და ვისმენთ, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, სრული კრეტინიზმია. **ხომ ხედავთ, გახარიას პარტიის ყრილობაზე სიტყვა არ ათქმევინეს...** ამის იქით ვერ მიდიან, მორჩა; ასე რომ, რა შესაძლებლობებზე ვლაპარაკობთ... ამ პოლიტიკით და ამას უკვე პოლიტიკაც აღარ ჰქვია, რა თქმა უნდა, პერსპექტივა ნულია, ამ რეალობას რა მოაქვს და რას მოიტანს მომავალში, უკვე ნათელია...

**ესაუბრა ჯაბა ჟვანია**

ქვეყნის 30-წლიანი დაღმასვლის შემდეგ სრულიად საქართველოს მოსახლეობა, რომელიც ისეა გზააბნეული, რომ ვერ გაურჩევია სიკეთე ბოროტებისგან, სამართალი უსამართლობისგან, მტერი მოყვრისგან და ასე შემდეგ, მხოლოდ ერთ საკითხშია ერთსულოვანი — ქვეყანაში ძირეული ცვლილებებია საჭირო.

ცვლილებების აუცილებლობა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბიძინა წავიდა! წავიდა?!

## გამოვფხიზლდეთ, თორემ ბიძინას მსგავსი წამსვლელ-მომსვლელი არ დაილევა. სხვა ჩვენს საკეთილდღეოდ არავის მოიყვანს, ის ჩვენ უნდა მოვიყვანოთ!


დავით სუხიაშვილი

**ვნახოთ. მანამდე და უწინარესად კი, მინდა, შობა-ახალი წლის დღესასწაული მივულოცო ჩვენი ერისა და ქვეყნის კეთილისმსურველ და კეთილისმყოფელ საქართველოს ყველა მოქალაქეს. ჯანმრთელობა, სულიერი სიმხნევე, სიკეთის ქმნა და მომავლის რწმენა იყოს თქვენი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი!**

ივანიშვილის პოლიტიკიდან „წასვლის“ საახალწლო სიურპრიზი, რომელიც ასე დრამატულად გვაცნობეს სახელისუფლო საინფორმაციო საშუალებებმა, ქვეყანაზე გავლენას არ იქონიებს არც პოლიტიკურად და არც ეკონომიკურად. იგი მხოლოდ ყვითელი მედიისთვის იქნება ნოყიერი საკვები და საზოგადოებასაც არ მოაკლდება ახალ-ახალი სენსაციური ამბები.

ივანიშვილი პოლიტიკაში თავისი ნებით არც მოსულა და არც მიდის. მან ამ ეტაპზე გადადგა ის ნაბიჯი, რომელიც დაგეგმა ხელისუფლებაში მისმა მიმყვანმა ძალამ.

როგორც საინფორმაციო საშუალებებმა გვაცნობეს, ივანიშვილმა თავის თხუთმეტგვერდიან წერილში ვრცლად ისაუბრა რვა წლის განმავლობაში „ქართული ოცნების“ მიერ ქვეყნის დემოკრატიზაციის გზაზე მიღწეულ წარმატებებზე. ერთგან გაკვრით ახსენა დაუძლეველი სიღარიბე და უმუშევრობაც.

საერთოდ, **სახელმწიფო და მთავრობა იმისთვის არსებობს, რომ უზრუნველყოს ყველა მოქალაქისთვის კანონის უზენაესობა და ეკონომიკური კეთილდღეობა. თუ ხელისუფლებაში ყოფნის რვა წლის განმავლობაში მთავრობამ ვერ მოახერხა მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება, მაშინ გაუგებარია, რა მიღწევებზე საუბრობს ივანიშვილი.**

ერთადერთი „წარმატება“, რომელიც ივანიშვილს არ უხსენებია და მართლაც დიდი წარმატებაა იმ ძალისთვის, რომელსაც ამჟამად ჩვენი ხელისუფლება და ე.წ. ოპოზიცია სხვადასხვა ამპლუაში წარმოადგენენ, არის უნაკლოდ შესრულება მისი დაპირებისა „შუა უნდა გაიკრიფოს“.

ამ დაპირებამ მთელი ერი აღაფრთოვანა და ბრძოლის ჟინი ჩაუნერგა, რადგან შუაში ყველა უალტერნატივოდ გულისხმობდა „ნაციონალურ მოძრაობას“ თავისი სატელიტებით. ბიძინა კი... **ბიძინა, როგორც დრომ გვიჩვენა, შუის გარკეფვაში ეროვნული სულისკვეთების, პატრიოტული სახელმწიფოებრივი ძალის ჩანასახშივე განადგურებას გულისხმობდა. ჩვენდა სამწუხაროდ, ივანიშვილმა ეს დაპირება ისე მაღალ დონეზე და პროფესიონალურად შეასრულა, ისე უხმაუროდ გაკრიფა, რომ იქ თითქოს არც არავინ ყოფილა, ყოველ შემთხვევაში მათი ხმა და პროტესტი არავის სმენია.**

ახლა კი მოკლედ იმაზე, სად და რატომ წავიდა ბიძინა: **გლობალისტურ-ლიბერალური პოლიტიკური ძალა, რომელიც ამჟამად სრულად აკონტროლებს ჩვენს არა მხოლოდ პოლიტიკურ ცხოვრებას, არამედ ხელისუფლების ყველა შტოს და ასევე არასამთავრობო სექტორს, საქართველოში დღეს არ შემოსულა. მისმა გავლენამ თავი იჩინა გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან, როდესაც შეძლეს გავლენის აგენტების ჩანერგვა პარტიულ საბჭოთა და სამართალდამცველ სტრუქტურებში. ისინი ყოველთვის, ყველა ეტაპზე მოქმედებდნენ შესაძლებლობების ფარგლებში.** თუმცა, აღნიშნული ცალკე საუბრის თემაა.

ჩვენთან ყველა ცვლილება განხორციელდა ამ გლობალისტური ძალის მიერ დაწერილი სცენარით. ამ ცვლილებების



**დღეს საზოგადოებაში დომინირებს აზრი, რომ ცვლილებებია საჭირო და ეს არის ის ნოყიერი ნიადაგი, რომელზეც უნდა აღმოცენდეს არსებული ლიბერალური პოლიტიკური ძალის საპირწონე, მისგან იდეოლოგიურად, რადიკალურად განსხვავებული მეორე პოლიტიკური ძალა**

ანატომიის ანალიზის საფუძველზე ვფიქრობ, რომ **ივანიშვილის წასვლა განაპირობა შექმნილმა პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა მოცემულობამ. კერძოდ, 30-წლიანი ეკონომიკური სტაგნაციის შედეგად მოსახლეობა სიღარიბის იმ დონეზეა დასული, რომ მეტის ატანა უკვე შეუძლებელია. კარს მომდგარი ეკონომიკური კრიზისი, რომლის აცილებაც შეუძლებელია, სავარაუდოდ, გამოიწვევს მოსახლეობის უკმაყოფილებასა და პროტესტს. იმის გათვლა, რა ფორმისა და მასშტაბის იქნება პროტესტი, შეუძლებელია. არ არის გამორიცხული, დღის წესრიგში დადგეს ხელისუფლების შეცვლის საკითხი.** „ნაციონალური მოძრაობით“ ან მისი განაყოფებით ჩანაცვლება შეუძლებელია (ტესტირება რამდენჯერმე ჩაატარეს) — ამას ხალხი არ დაუშვებს. პოლიტიკური ასპარეზი „ოცნებისა“ და „ნაცმოძრაობის“ ერთობლივი ძალისხმევის შედეგად გაკრეფილია.



არსებობს ალბათობა, რომ საყოველთაო უკმაყოფილების ფონზე სტიქიურად ჩამოყალიბდეს ეროვნულ-პატრიოტული პოლიტიკური ძალა და მოვიდეს ხელისუფლებაში. სიტუაციის არაორდინარული განვითარების ამ ან სხვა მსგავსი სცენარის თავიდან ასაცილებლად, სავარაუდოდ, მიიღეს გადაწყვეტილება ივანიშვილის აქტიური პოლიტიკური პროცესებიდან დროებით გარიდების შესახებ. სიტუაციის გამწვავების შემთხვევაში ყველაფერი დაბრალდება ხელისუფლებას (აღმსრულებელ მენეჯერებს) და საჭირო მომენტში კვლავ აქტიურ პოლიტიკურ ასპარეზზე დააბრუნებენ „პირუთვნელ“ ბიძინას, რომელსაც, თითქოსდა პოლიტიკიდან „ჩამოშორებულს“, არ ხელეწიფებოდა პროცესებზე ზეგავლენის მოხდენა.

აღნიშნულ წერილში, **ივანიშვილის მიერ „გაკრეფილი შუის“ არმოხსენიება განპირობებულია იმით, რომ იგი დარწმუნებულია შუის (ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პოლიტიკური სუბიექტების) არამხოლოდ გაკრეფვაში, არამედ მათი სახსენებლის გაქრობაშიც კი. ცდებით, ბატონო ბიძინა!**

ქვეყნის 30-წლიანი დაღმასვლის შემდეგ სრულიად საქართველოს მოსახლეობა, რომელიც ისეა გზააბნეული, რომ ვერ გაურჩევია სიკეთე ბოროტებისგან, სამართალი უსამართლობისგან, მტერი მოყვრისგან და ასე შემდეგ, მხოლოდ ერთ საკითხშია ერთსულოვანი — **ქვეყანაში ძირეული ცვლილებებია საჭირო.**

დიახ, დღეს საზოგადოებაში დომინირებს აზრი, რომ ცვლილებებია საჭირო და ეს არის ის ნოყიერი ნიადაგი, რომელზეც უნდა აღმოცენდეს არსებული ლიბერალური პოლიტიკური ძალის საპირწონე, მისგან იდეოლოგიურად, რადიკალურად განსხვავებული მეორე პოლიტიკური ძალა.

გამოვფხიზლდეთ, თორემ **ბიძინას მსგავსი წამსვლელ-მომსვლელი არ დაილევა. სხვა ჩვენს საკეთილდღეოდ არავის მოიყვანს, ის ჩვენ უნდა მოვიყვანოთ!**

**დავით სუხიაშვილი**

**არსებობს ალბათობა, რომ საყოველთაო უკმაყოფილების ფონზე სტიქიურად ჩამოყალიბდეს ეროვნულ-პატრიოტული პოლიტიკური ძალა და მოვიდეს ხელისუფლებაში. სიტუაციის არაორდინარული განვითარების ამ ან სხვა მსგავსი სცენარის თავიდან ასაცილებლად, სავარაუდოდ, მიიღეს გადაწყვეტილება ივანიშვილის აქტიური პოლიტიკური პროცესებიდან დროებით გარიდების შესახებ. სიტუაციის გამწვავების შემთხვევაში ყველაფერი დაბრალდება ხელისუფლებას (აღმსრულებელ მენეჯერებს) და საჭირო მომენტში კვლავ აქტიურ პოლიტიკურ ასპარეზზე დააბრუნებენ «პირუთვნელ» ბიძინას, რომელსაც, თითქოსდა პოლიტიკიდან «ჩამოშორებულს», არ ხელეწიფებოდა პროცესებზე ზეგავლენა**

პოზიცია

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„როგორ ხდება საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს მოქალაქე ახალგაზრდების მასობრივად გადაბირება ისე, რომ ეს ადამიანები პრაქტიკულად შეუმჩნევლად გაედინებიან თურქეთის რესპუბლიკაში, იქიდან გადადიან იორდანიასა და ეგვიპტეში, იქ ამზადებენ, შემდეგ კი ხდებიან ჩვეულებრივი ტერორისტები?!“**



### დიმიტრი ლორთქიფანიძე:

# საქართველოში პოლიტიკური ისლამის გავლენა დასავლური ინტერესის ნაწილია

**ამ დღეებში ჩოხატაურის რაიონის სოფელ ბუკნარში განვითარებული ხმაურიანი მოვლენები (რომლებიც უკვე რელიგიური ნიშნით დაპირისპირებას გასცდა და, გარკვეულწილად, პოლიტიკური შეფერილობაც მიიღო) საზოგადოებაში კვლავ აქტიური განხილვისა და მსჯელობის საგანია. მედიასა თუ სოციალურ ქსელებში ბევრი იწერება, რომ გარკვეული ძალები ხელოვნურად ქმნიან დაძაბულობას. მეტიც, მოსაზრებებს შორის, რომლებსაც პოლიტიკურად აქტიური ადამიანების ერთი ნაწილი საჯაროდ გამოთქვამს, არის შეფასებებიც, რომ რეგიონში (და არა მხოლოდ ერთ კონკრეტულ რეგიონში) ახალი მეჩეთების მშენებლობის მოთხოვნით მუსლიმანების გააქტიურება, შესაძლოა, თურქეთიდან იყოს ინსპირირებული. ამ მოსაზრებას ბევრი ემიჯნება და მას ქვეყნისთვის სახიფათო პოლიტიკურ გზავნილად მიიჩნევს, თუმცა ე.წ. პროდასავლური ოპოზიცია ყველაფერში ისევ ხელისუფლების ბრალს ხედავს და თვლის, რომ მმართველი გუნდი უძლურია არსებული გამოწვევის წინაშე და თურმე, ნებსით თუ უნებლიეთ, ერთადერთი ქვეყნის — რუსეთისა და მისი პოლიტიკური ხელმძღვანელობის ამოცანებს ასრულებს...**
**რა პროცესები მიდის დღეს გურიის რეგიონში, არის თუ არა ადგილობრივ მოსახლეობაში დაპირისპირება ვინმეს ან გარკვეული ძალების მიერ ხელოვნურად ინსპირირებული და ადეკვატურია თუ არა ხელისუფლება ამ ყველაფრის მიმართ, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე.**

## «თუ დავაკვირდებით ამ მოვლენების ანატომიას, დავრწმუნდებით, რომ ყველაფერს აქვს ხელოვნური საფუძველი»

**— ბატონო დიმიტრი, რამდენიმე დღის წინათ სოფელ ბუკნარში ადგილობრივებს შორის მომხდარი დაპირისპირება როგორც პოლიტიკურ სპექტრში, ისე საზოგადოებაში კვლავ განხილვის საგანია. უამრავი განცხადება კეთდება... ისმის მოსაზრებაც, რომ ამ ყველაფერს, შესაძლოა, გარკვეული გარე ძალები მართავდნენ, ალბათ, თურქეთზე მიანიშნებენ... რა ხდება რეალურად და რა საფრთხეებს შეიძლება ქმნიდეს ეს პროცესები საქართველოსთვის?**

— დავიწყოთ იმით, რომ რელიგიური საკითხების პოლიტიზაცია თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური ტრენდის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, რომელიც დღეს უკვე, ფაქტობრივად, არავის უკვირს. ეს არის ერთგვარი „აპრობირებული“ მეთოდი, რომელსაც უამრავი ქვეყნის მაგალითი ცხადყოფს. საქართველოც ამ ქვეყნების რიგებშია. პირიქით, თქვენ ხედავთ, რომ აქ ისლამის პოლიტიზაციის მცდელობები პერიოდულად ხდება და შემიძლია, ამის კონკრეტული ფაქტებიც მოვიყვანო...

**— მაგალითად?**

— გავიხსენოთ ქობულეთის ინციდენტი, როდესაც მედრესეს შესასვლელში ღორის თავი დაკიდეს, ანალოგიური ინციდენტი სოფელ ჭელაშიც მოხდა, რომლის შედეგად ადგილობრივ მუსლიმ მოსახლეობასა და ქრისტიანებს შორის უკიდურესად დაიძაბა ვითარება; გაიხსენეთ ის პრობლემები, რომლებიც იყო ბოლნისისა და მარნეულის რაიონებში, პანკისის ხეობაში და ა.შ. თუ გავაანალიზებთ ამ მოვლენების ანატომიას, დავრწმუნდებით, რომ ყველაფერს აქვს ხელოვნური საფუძველი. ეს რომ ხელოვნურად მართული პროცესია, რომელშიც დიდძალი ფული იხარჯება, როგორც პროექტში, შემიძლია, ერთი ფაქტით ავხსნა. ყველას გვახსოვს პერიოდი, როდესაც „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში გამოჩნდნენ ქართველი მუსლიმები. ეს იყო 2015-2016 წლები. ზუსტად იმხანად ინტერნეტსივრცეში გაჩნდა ვიდეო, რომელშიც აქედან წასული მოქალაქე **თამაზ ჭალალიძე** პირდაპირ იმუქრებოდა „მუსულმანების მტრების“ მიმართ შურისძიებით. ვისაც არ ახსოვს, შევახსენებ, რომ თამაზ ჭალალიძე იყო ახალგაზრდა კაცი, რომელიც გადაიბირეს გარკვეულმა სპეცსამსახურებმა, გადაიყვანეს ეგვიპტეში, სადაც გაიარა სპეციალური მომზადება, შემდეგ კი აღმოჩნდა ტერორისტულ დაჯგუფებაში. აი, ამ ადამიანმა შემდგომ უკვე საქართველოს გამოუცხადა ომი და განაცხადა, რომ არსებობს რაღაც სია იმ ხალხისა, ვინც მუსლიმანებს ავიწროებს აქ და ისინი უმკაცრესად დაისჯებოდნენ. ჭალალიძე ცოცხალი აღარ არის, ის ერთ-ერთი სპეცოპერაციის დროს დაიღუპა, რაც ძალიან სამწუხაროა, რადგან მიმაჩნია, რომ ეს ადამიანი მსხვერპლია, მაგრამ, **საუბედუროდ, ჩვენ გვყავს ახალი ჭალალიძეები. ვგულისხმობ იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ასევე გადაიბირეს გარკვეულმა სპეცსამსახურებმა;** და აი, ზუსტად ეს გადაბირების პროცესია ის მთავარი საკითხი, რომელზეც ყველამ ერთად, მათ შორის მედიამაც და არა მხოლოდ მედიამ, საჯაროდ უნდა ვისაუბროთ... **როგორ ხდება საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს მოქალაქე ახალგაზრდების მასობრივად გადაბირება ისე, რომ ეს ადამიანები პრაქტიკულად შეუმჩნევლად გაედინებიან თურქეთის რესპუბლიკაში, იქიდან გადადიან იორდანიასა და ეგვიპტეში, იქ ამზადებენ, შემდეგ კი ხდებიან ჩვეულებრივი ტერორისტები?!**

**— დასაწყისში რამდენიმეჯერ აღნიშნეთ, რომ საქართველოში ისლამის პოლიტიზებას გარკვეული ძალები ცდილობენ. თქვენი აზრით, რომელი ძალები დგანან ამ ყველაფრის უკან?**

— პირველ რიგში, ალბათ, ის ძალები, რომლებმაც თავის დროზე შექმნეს „ისლამური სახელმწიფო“, როგორც ინსტრუმენტი ახლო აღმოსავლეთში გავლენის სფეროების გასაფართოებლად. ეს არის ანგლოსაქსური პოლიტიკის ფარგლებში განხორციელებული მოქმედებების მთელი სერია, რომელიც გარკვეულ მიზნებსა და ამოცანებს ემსახურებოდა, მათ შორის კავკასიის რეგიონშიც. სხვათა შორის, **ახმედ ჩატაევის თავისუფალი გადაადგილება თურქეთიდან საქართველოში და მის მიერ აქ დაგეგმილი ტერორისტული აქტების სერია ამის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა, თუმცა ახლა ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს. მოკლედ, მიმაჩნია, რომ საქართველოში პოლიტიკური ისლამის გავლენა და დაჯგუფებების არსებობა დასავლური ინტერესის შემადგენელი ნაწილია, ვინაიდან ნებისმიერ წამს მათი გააქტიურებაა შესაძლებელი და, თუ ეს მოხდება, ღმერთმა ნუ ქნას, რა თქმა უნდა, თორემ ის სამოქალაქო დაპირისპირების შეუქცევად პროცესს გამოიწვევს...**

**— თქვენი აზრით, ეს დაპირისპირება რა შემთხვევაში შეიძლება ვინმეს დასჭირდეს?**

— დღემდე ჩვენ არაერთხელ ვნახეთ რევოლუციის მოწყობის მცდელობა, არაერთხელ ვნახეთ საზოგადოებაში გარკვეული შუღლისა და დაპირისპირების გაჩენისკენ მიმართული პროვოკაციული ქმედებებიც, რაც, საბედნიეროდ, ძალიან იაფფასიანი პოლიტიკური ტრიუკი აღმოჩნდა... რელიგიურ ნიადაგზე დაძაბულობის მომატება და შემდეგ უკვე ღია კონფლიქტიც შეიძლება ზუსტად ამგვარი ბერკეტი იყოს... რაც შეეხება კონკრეტულად ბუკნარში განვითარებულ მოვლენებს, ვფიქრობ, ამ ყველაფრით კიდევ ერთხელ ნათლად გამოჩნდა, რომ ის, რაც ვერ მოხერხდა არჩევნების შემდეგ, ხელისუფლების რევოლუციური გზით დამხობას ვგულისხმობ, გარკვეულმა ძალებმა ახლა შესაძლებლად მიიჩნიეს. აი, ამიტომ ცდილობდნენ, აემოქმედებინათ ის ნაღმები, რომლებიც, ჩვენდა სამწუხაროდ, არსებობს, თუმცა, მადლობა ღმერთს, ჯერჯერობით ვერ ახერხებენ. სხვათა შორის, **თავის დროზე მსგავსი ნაღმების ამოქმედების მცდელობა იყო პანკისის ხეობაშიც, როცა ვითომ ჰესის მშენებლობის გასაპროტესტებლად გამოსული „მშვიდობიანი“ მოსახლეობა სამართალდამცველებს დაუპირისპირდა და ვნახეთ ე.წ. მოლოტოვის კოქტეილებით შეიარაღებული დემონსტრანტები...**

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ხელისუფლება ადეკვატურია ამ საკითხების მიმართ?**

— **სანამ შეკითხვაზე გიპასუხებთ, მინდა, საზოგადოებას შევახსენო, რომ სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში ბოლნისის რაიონის სოფელ ფახრალოში კანონდარღვევით ააშენეს მეჩეთი. მშენებლობის ნებართვა არ გაცემულა. იცით, ვინ იყო მაშინ გუბერნატორი? — დავით კირკიტაძე, კაცი, რომელიც დაინტერესებული იყო ასეთი უკანონო მშენებლობებით. საერთოდ, ეს ადამიანი წლების განმავლობაში წმინდა პოლიტიკური, ელექტორალური მიზნებისთვის ახდენდა მუსულმანური საკულტო ნაგებობების მშენებლობის წახალისებას. ეს ყველამ იცის, მაგრამ ვინმემ მოსთხოვა პასუხი?!** აი, აქ ჩანს, ადეკვატურია თუ არა ამ საკითხების მიმართ დღევანდელი ხელისუფლება... რაც შეეხება საფრთხეებს, ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: ეს პროცესები თავიდან ბოლომდე არის მართული და მეტიც, სალაფიტურ-სუნიტური ვაჰაბიზმის პროპაგანდის მიზნით კახეთში, ქვემო ქართლსა და გურია-აჭარაში საკმაოდ სერიოზული ფინანსების აკუმულირება ხდება. ამ საკითხზე უნდა გასაჯაროვდეს სუს-ის მასალები...

> «სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში ბოლნისის რაიონის სოფელ ფახრალოში კანონდარღვევით ააშენეს მეჩეთი. მშენებლობის ნებართვა არ გაცემულა. იცით, ვინ იყო მაშინ გუბერნატორი? — დავით კირკიტაძე, კაცი, რომელიც დაინტერესებული იყო ასეთი უკანონო მშენებლობებით. საერთოდ, ეს ადამიანი წლების განმავლობაში წმინდა პოლიტიკური, ელექტორალური მიზნებისთვის ახდენდა მუსულმანური საკულტო ნაგებობების მშენებლობის წახალისებას»

**— არსებობს მოსაზრება, რომ ამ ყველაფრის უკან თურქეთი დგას. როგორ ფიქრობთ, ეს რეალურია? და, საერთოდ, რა ინტერესები შეიძლება ჰქონდეს თურქეთს საქართველოს მიმართ დღევანდელ ვითარებაში იმის გათვალისწინებით, რომ წელს ყარსის ხელშეკრულებას ვადა გასდის?**

— თურქეთი რელიგიურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ექსპანსიას რომ ახორციელებს საქართველოში, არახალი ამბავია. ამას მრავალი წელია, ვხედავთ და პროცესი დღესაც გრძელდება. თუმცა **პრობლემა არა იმდენად მეზობელი ქვეყნის იმპერიალისტური პოლიტიკაა, რომელსაც ღრმა ისტორიული ფესვები აქვს, არამედ პრობლემა აქ, ჩვენსავე პოლიტიკურ სისტემაში არსებული მოღალატეობრივი მიდგომებია, რომლებიც საერთოდ გამორიცხავს საქართველოს ეროვნულ ინტერესებს. მხედველობაში მაქვს ის მაამებლური, ვასალური პოლიტიკა, რომელსაც ჩვენი ხელისუფალნი, წინაც და დღევანდელიც, ერთმანეთზე უფრო „შესაშური“ წარმატებით ატარებდნენ...**

**— რაში გამოიხატება დღეს ეს ყველაფერი?**

— ერთ ფაქტს გეტყვით: მაგალითად, ტყიბულის რაიონის **სოფელ ხრესილში, სადაც ხრესილის ცნობილი ბრძოლის პატივსაცემად აღმართული ობელისკი დგას, 2009 წლამდე სტელაზე იყო წარწერა, რომ 1757 წელს მეფე სოლომონ პირველმა დაამარცხა თურქები. 2009 წლის შემდეგ ეს წარწერა წაშალეს და დღეს წერია, რომ სოლომონ პირველმა დაამარცხა მტერი. წარმოიდგინეთ, იმის გამო, რომ აამონ თურქეთს, წარწერა გადააკეთეს და საერთოდ, საქართველოს ისტორიიდან ნელ-ნელა ამოშანთეს ჩვენი მეზობლის, როგორც ისტორიული დამპყრობლის, უარყოფით კონტექსტში ხსენება.**

რაც შეეხება ისევ ხელისუფლების პოლიტიკას და იმას, თუ რამდენად ადეკვატურია ამ ხელისუფლების მიდგომები, სამწუხაროდ, რამე საიმედოს თქმა არ შემიძლია, იმიტომ რომ, საქართველოს მთავრობას დღეს, ფაქტობრივად, პოლიტიკა არ გააჩნია. რასაც ის აკეთებს, არის აბსოლუტურად გაუაზრებელი, გაუთვლელი და გაუანალიზებელი მოქმედება, რომელიც, ჩვენდა საუბედუროდ, ხვალ-ზეგ კიდევ უფრო მძიმე რეალობაში ჩაგვაგდებს. აი, ეს არის ის, რაც, მოგვწონს თუ არა, გვაქვს და, ალბათ, მომავალშიც გვექნება, ამიტომ, რა თქმა უნდა, სანამ ეს ხელმძღვანელობა გვეყოლება, შეფასებები იქნება იგივე. საქართველო მუდმივი, შეუქცევადი უკუსვლის გზაზეა, ახალ-ახალი საფრთხეებითა და გამოწვევებით, რომელთა გადაჭრის პერსპექტივაც ჯერჯერობით არ ჩანს...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

მას, ვინც მიწას გვედავება სტრატეგიულ პარტნიორებს ვუწოდებთ, ერთადერთ მტრად კი რუსეთი გვყავს გამოცხადებული. რუსეთია ოკუპანტი და აზერბაიჯანი არა? და მერე რა, თუ იმავე აზერბაიჯანმა გარეჯის მიმდებარედ ახალი ყაზარმა ააშენა, ჯარი ჩააყენა და იმ ტერიტორიაზე, რომელზეც ცოტა ხნის წინათ თავისუფლად დავდიოდით, ახლა აღარ გვიშვებენ?! ეს, ოკუპაცია კი არა, თურმე სტრატეგიული პარტნიორობაა.

მეზობელი ქარისათ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საქართველოს ხელისუფლების უსუსური ინილო-ბინილო ე.წ. სტრატეგიული პარტნიორების მიმართ

## რის ეშინია საქართველოს ხელისუფლებას?

**გასული კვირა გურიის ლამაზ სოფელ ბუკნარში არეულობით დაიწყო. დაიწყო და გაგრძელდა კიდეც, მაგრამ საბოლოოდ ადგილობრივი მუსლიმი თემი და ქრისტიანები შერიგდნენ, ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და მუსლიმებმა 15 იანვარს პარასკევის ლოცვაც მშვიდობიანად აღავლინეს. ამის შემდეგ „რადიო თავისუფლების“ ქართულმა ბიურომ უკმაყოფილება გამოთქვა: ლოცვა კი აღავლინეს, მაგრამ ჩვეულებრივ სახლში და არა მეჩეთში, რადგან მეჩეთის აშენების უფლებას ხელისუფლება არ აძლევთო.**

მოდი, შევთანხმდეთ, რომ საქართველოში მცხოვრებ მუსლიმანებთან, იმ ადამიანებთან, რომლებთან ერთადაც საუკუნეები მოვდივართ, პრეტენზია არავის აქვს. პირიქით, სახელმწიფო ცდილობს, მათი უფრო მეტი ინტეგრაცია მოხდეს, ქართული ენის შემსწავლელ პროგრამებს ახორციელებს, უფასოდ ამზადებს არა მხოლოდ ახალგაზრდებს, არამედ ხანში შესულებსაც, მათ, ვისაც სურვილი აქვთ. საქართველოში მცხოვრები მუსლიმები დასაქმებულნი არიან სახელმწიფო სამსახურში, აქვთ საკუთრება, ბიზნესი, ურთიერთობები საზღვრებს გარეთ მყოფ ნათესავებთან, მოკლედ, არაფერში არ არიან შეზღუდულნი. ამასთანავე, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მთელი ქვეყნის მასშტაბით დიდი თუ მცირე ზომის 50-მდე მეჩეთი აშენდა და, რაღა თქმა უნდა, არც იქ ლოცვის პრობლემა აქვს ვინმეს. სადაც მეჩეთი არ არის, იქ სპეციალურად სალოცავად გამოყოფილ სახლში იკრიბებიან და ლოცულობენ მორწმუნენი, ზუსტად ისე, როგორც ბუკნარის შემთხვევაში. სხვათა შორის, **ბევრ სოფელში არც მართლმადიდებლური ტაძარი დგას და სოფლის მცხოვრებნი ან გვერდით სოფელში დადიან წირვაზე დასასწრებად, ან მუნიციპალურ ცენტრში და ამას ყოველგვარი ხმაურისა და ყვირილის გარეშე აკეთებენ.**

და მაინც, რა მოხდა ბუკნარში? **ვიღაცამ (არავინ იცის ვინ) თქვა, რომ სოფელში მეჩეთის აშენება იგეგმებოდა, ადგილობრივებმა გააპროტესტეს, მერე მუსლიმებმაც ამოიღეს ხმა და საბოლოოდ დაპირისპირება ლამის ხელჩართულ ჩხუბამდე მივიდა. ბოლოს კი გაირკვა, რომ არც ვინმე აპირებს რამის აშენებას, არც ასეთი რამ თქმულა და თემა ვიღაცამ, უბრალოდ, კარგად გამოიყენა: საჭირო მომენტში საჭირო ადგილზე თქვა პროვოკაციული ტყუილი, რამაც ყველაფერი თავდაყირა დააყენა...**

ტელევიზია ბუკნარში მიმდინარე მოვლენებს აქტიურად აშუქებდა და, როცა იქ სრულიად საქართველოს მუფთი ჩავიდა და ადგილობრივების დაშოშმინება სცადა, მაშინვე შეუძახეს: აქამდე სად იყავი, რა იცი, რას ვფიქრობთ, რა გვინდა, ეგებ ბათუმში მეჩეთის დადგმა გვსურს და ამოგვიდექი მხარშიო. იყო ეს ცხელ გულზე ნათქვამი თუ კარგად გამიზნული ფრაზა, ძნელი სათქმელია, მაგრამ...

კიდევ ვიმეორებთ: **დამოუკიდებელ საქართველოში ათეულობით მეჩეთი აშენდა. დამოუკიდებელი აზერბაიჯანის პირობებში კი, ჩვენი მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე არც ერთი ეკლესია არ აშენებულა. აშენებას ვინ ჩივის, რაც დგას, იმასაც წვიმა, თოვლი და ქარი აფუჭებს, იმიტომ, რომ ზოგს სახურავი არ აქვს, ზოგს — კარი და აი, კარი რომელსაც არ აქვს, იქ საქონელიც ეფარება ხოლმე დარსა თუ ავდარში. არადა, საინგილო ქართველებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონია, აზერბაიჯანის რეგიონი, ზუსტად ისე, როგორც ქვემო ქართლია აზერბაიჯანელებით დასახლებული და აქ ანალოგიური პრობლემა, წლებია, არ ყოფილა.**

საქართველოში მუსლიმებს აქვთ მეჩეთები, რომლებსაც უვლიან, ლოცულობენ, არემონტებენ და ეს ნორმალურია, ლოგიკურია. სამაგიეროდ, ალოგიკურია ის, რაც საინგილოში ხდება. ხომ ყველასთვის ცნობილი ფაქტია, რომ აზერბაიჯანში ახალშობილებს დაბადების მოწმობაში ქართულ სახელებს არ უწერენ. დიახ, ოფიციალურად, დოკუმენტურად იქ ბავშვს ვერც გიორგის დაარქმევ, ვერც დავითს, მარიამს, ნინოს... მუსლიმური სახელი უნდა ჩაიწეროს დაბადების მოწმობაში და შემდეგ, როცა ახალშობილს ქრისტიანულად მონათლავენ, მაშინ ურჩევენ მშობლები ქართულ სახელებს, რომელსაც შემდეგ ეძახიან, მაგრამ ოფიციალურად, საბუთებით, აზერბაიჯანული სახელები ჰქვიათ. **ერთი შემთხვევა მაინც გაგიგიათ საქართველოში, რომ ვინმეს სახელის გამო პრობლემა შექმნოდეს და საჯარო რეესტრს რეგისტრაციაში არ გაეტარებინოს?** არა და არც იქნება, იმიტომ, რომ ასე ხდება ცივილიზებულ სამყაროში; ასე ხდება, როცა სტუმართმოყვარე ხარ და პატივს სცემ იმ ადამიანებს, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ჩვენ გვერდით ცხოვრობენ.

ცხოვრების დონით თუ ვიმსჯელებთ, ცივილიზაცია უფრო მეტად თუ არა, ნაკლებად არ არის შესული აზერბაიჯანში და მათაც ძალიან კარგად იციან, რომ ეს არასწორია, მაგრამ მაინც ასე იქცევიან. ასე იქცევიან ერთადერთი მიზეზის გამო — **ადრე თუ გვიან, ჯერ ერთს, შემდეგ მეორეს, მესამეს მობეზრდება ასე ცხოვრება, დატოვებს იმ სახელს, რომელიც საბუთშია და ნელ-ნელა ქართული კვალი წაიშლება ძირძველ მიწაზე. მერე არც ეკლესიების საბოლოოდ დანგრევას გააპროტესტებს ვინმე და ყველაფერთან ერთად ის საამოდ მოსასმენი ენაც გაქრება, რომლითაც ინგილოები დღემდე საუბრობენ.**

საჯარო სამსახურებზე ვთქვათ. ინგილოები ამბობენ, რომ საჯარო სამსახურში დამლაგებლადაც ვერ იწყებენ მუშაობას. მათ ამის უფლება, უბრალოდ, არ აქვთ და არც ოცნებობენ. ისინი ან მცირე ბიზნესს მისდევენ, ან მესაქონლეობას ეწევიან, რათა როგორმე თავი ირჩინონ. **იმის გაფიქრებაც კი, რომ აზერბაიჯანის მეჯლისში, შესაძლოა, ქართველი მოხვდეს და საკანონმდებლო საქმიანობაში მონაწილეობა მიიღოს, უბრალოდ სასაცილოა.** ცალკე თემაა მამაოები, რომლებიც საინგილოში ნახევრადჩამოშლილ ეკლესიებში ატარებენ წირვას. საპატრიარქო საქართველოდან უშვებს სასულიერო პირებს, მაგრამ აზერბაიჯანის საგარეო უწყება მხოლოდ 3-თვიან ვიზას იძლევა, შემდეგ მღვდელს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ცხოვრების უფლება აღარ აქვს. გამოდის, რომ ადგილობრივი მრევლი შეეჩვევა მოძღვარს, მზად არის აღსარების საიდუმლო გაანდოს და... ახალი ჩადის, რომელმაც ასევე ახალი გამოცდა უნდა ჩააბაროს, ახლიდან მოიპოვოს ადგილობრივთა ნდობა.

ჰოდა, ყველაზე საინტერესო, იცით, რა არის? **რატომ არ სთხოვს საქართველოს ხელისუფლება სტრატეგიულ პარტნიორ აზერბაიჯანს, რომ ზუსტად იმავე პირობებში იყვნენ იქ მცხოვრები ქრისტიანები, როგორშიც აქ არიან მუსლიმები?** იმას ხომ არ ვამბობთ, რომ მათ აქ მდგომარეობა უნდა გავუუარესოთ და ამით ვივაჭროთ?! არა, პირიქით, სამაგალითოდ უნდა გვქონდეს ეს ურთიერთობა, ამ ურთიერთობაზე უნდა ავაგებინოთ იქაური ურთიერთობა. მაგრამ არა, ქართული სახელმწიფო ხმას არ იღებს და აგერ, **დავითგარეჯის საქმეც ისე დაკონსერვდა, კარგა ხანს არავის გაახსენდება. ისევ ვერ ადის მრევლი სალოცავად სადავო ტერიტორიაზე, ისევ დანის პირზე დადიან ბერები და ვითომ ყველაფერი რიგზეა, ვითომ არაფერი ხდება, ხმას არავინ არ იღებს.** მაგრამ რიგითი მოქალაქე თუ ავიდა და ეს ყველაფერი გააპროტესტა, პროვოკატორად მონათლავენ, შუღლის გაღვივებაში დაადანაშაულებენ. არადა, ჩვენ, რიგით მოქალაქეებს, მხოლოდ ლოცვა გვსურს და ლოცვა იქ, სადაც საუკუნეებია ქართველი ბერები ლოცულობენ.

არ გამოვა ასე ურთიერთობა მეზობლებთან. **თუ სტრატეგიულ პარტნიორს ვეძახით და ერთმანეთის ქებით ლიდერებს ენა ელლებათ, მაშინ უნდა დასხდნენ და იმ პირობებზე დაილაპარაკონ, რომლებიც ერთნაირი უნდა იყოს აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველებისა და აქ მცხოვრები მუსლიმებისთვის.** იგივე უნდა გაკეთდეს თურქეთის მიმართაც. არავისთვის არის საიდუმლო, რომ ბოლო წლების განმავლობაში თურქ მაღალჩინოსნებს „წამოსცდებათ“ ხოლმე, რომ აჭარის ტერიტორიების დიდი ნაწილი მათი იყო, რომ ბათუმი მალე ისევ მათი გახდება და ამაზეც, მწვავე რეაქციის ნაცვლად, ჩვენი ხელისუფლება დიპლომატიურ ინილო-ბინილოს ამჯობინებს. ეს კი რეალურად, დიპლომატიის კი არა, შიშის გამოხატულებაა, დათმობის მზადყოფნის გამოხატულებაა და ამის ბრალია, **ვისაც არ ეზარება, ყველა მიწას რომ გვედავება.** ჰო, ამ ამბავში მთავარი არის ის, რომ **მას, ვინც მიწას გვედავება, სტრატეგიულ პარტნიორებს ვუწოდებთ, ერთადერთ მტრად კი რუსეთი გვყავს გამოცხადებული. რუსეთია ოკუპანტი და აზერბაიჯანი არა? და მერე რა, თუ იმავე აზერბაიჯანმა გარეჯის მიმდებარედ ახალი ყაზარმა ააშენა, ჯარი ჩააყენა და იმ ტერიტორიაზე, რომელზეც ცოტა ხნის წინათ თავისუფლად დავდიოდით, ახლა აღარ გვიშვებენ. ეს ოკუპაცია კი არა, ეს თურმე სტრატეგიული პარტნიორობაა.**

თუ ასე გაგრძელდება, შორს არ არის ის დრო, როცა ხელისუფლებას არავინ არაფერს შეეკითხება, არც საერთაშორისო ასპარეზზე გაითვალისწინებენ და ქართული პასპორტი მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე უსუსური საბუთი იქნება; საბუთი ქვეყნის მოქალაქისა, რომელიც შეგიძლია მარტივად დაჩაგრო და დამამცირებელ პირობებში ამყოფო.

ჩვენ, რიგითი ადამიანები — მართლმადიდებლები და მუსლიმები, ისევ გავაგრძელებთ საქართველოში მეგობრობას, ისევ გავტეხთ პურს და ყველს ერთ მაგიდაზე, მაგრამ მარტო ამით საქართველო მეზობლებს პოლიტიკას ვერ შეაცვლევინებს.



**დამოუკიდებელ საქართველოში ათეულობით მეჩეთი აშენდა. დამოუკიდებელ აზერბაიჯანში კი, ჩვენი მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე, არც ერთი ეკლესია არ აშენებულა. აშენებას ვინ ჩივის, რაც დგას, იმასაც წვიმა, თოვლი და ქარი აფუჭებს, იმიტომ, რომ ზოგს სახურავი არ აქვს, ზოგს — კარი და აი, კარი რომელსაც არ აქვს, იქ საქონელიც ეფარება ხოლმე დარსა თუ ავდარში. არადა, საინგილო ქართველებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონია, აზერბაიჯანის რეგიონი, ზუსტად ისე, როგორც ქვემო ქართლია აზერბაიჯანელებით დასახლებული და აქ ანალოგიური პრობლემა, წლებია, არ ყოფილა**



ბუკნარში აქციაზე ბიბლიითა და ყურანით

**ბესო ბარბაქაძე**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ბოკერიასა და ყველას, ვინც ბოლო ოც წელზე მეტია, ქართულ პოლიტიკაში წყალს ნაყავს, უნდა ესმოდეს, რომ მათი დრო დამთავრდა, მათი პოლიტიკური გზა მცდარია. ვიცი, იტყვიან, — რუსულ გზას „აწვებაო“. არა, ბატონებო, მხოლოდ რუსულ გზაზე არ არის საუბარი. როდესაც პოლიტიკურ არსენალში მხოლოდ ანტირუსული რიტორიკა გაქვს და სხვა არაფერი, სჯობს, წახვიდე და გზა სხვა თაობას დაუთმო. ისინი უკეთ გაერკვევიან, რა არის დღეს პრიორიტეტი საქართველოსთვის, მით უმეტეს იმ ახალ გეოპოლიტიკურ რეალობაში, რომელიც არათუ 20 წლის განმავლობაში, არამედ ყოველდღიურად იცვლება ჩვენ თვალწინ.**

# უსტალინოდ დარჩენილი საქართველო

**„ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის“, — მოთქვამდა რუსეთში საქართველოსთვის კალამ და ხმალშემართული დავით გურამიშვილი, საქართველოდან კი სიმონ ჩიქოვანი ანუგეშებდა: „შენ რუსი შეგხვდა ნამდვილი, ვახტანგს რომ შეხვდა, ის არა“. მეც ბედმა გამიღიმა და გასული წლის 21 დეკემბერს კარგი რუსი შემახვედრა ბედმა — მიშას რომ შეხვდა, ის არა. ეს კარგი რუსი პოსტსაბჭოთა სივრცესა და მსოფლიო ჟურნალისტურ წრეებში ჟურნალისტიკის მეტრად აღიარებული მაქსიმ შევჩენკოა.**

## როდესაც პოლიტიკურ არსენალში მხოლოდ ანტირუსული რიტორიკა გაქვს და სხვა არაფერი, სჯობს, წახვიდე და გზა სხვას დაუთმო

**მაქსიმ შევჩენკომ** ფართოდ გახელილი თვალებით დაათვალიერა ჩემ მიერ დაარსებული მე-20 საუკუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი — ალაყაფის კარით დაწყებული, **ლავრენტი ბერიას** უბის წიგნაკით დამთავრებული. სანამ მუზეუმში შევიდოდით, სტუმრის ყურადღება ეზოს სკვერში მდგარმა სტალინის უნიკალურმა ქანდაკებამ მიიპყრო და მიახლოებისთანავე წარმოთქვა მოქანდაკის გვარი — **ტომსკი.** სტუმარმა დაწვრილებით იცოდა ძეგლის ისტორია. მუზეუმით აღფრთოვანება სტუმარს მოსკოვამდე გაჰყვა და იქ საქვეყნოდ განაცხადა საქართველოსა და ქართული ოჯახის შესახებ.

**მე-20 საუკუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ძირითად დარბაზში სტალინთან დაკავშირებული მასალები და ნივთებია გამოფენილი, რომელთა სანახავადაც, შევჩენკოს მიერ საქვეყნოდ (ინტერნეტით) წარდგენის შემდეგ, უამრავმა ადამიანმა გამოთქვა სურვილი, მოენახულებინა აღნიშნული მუზეუმი; 1000-ზე მეტმა მომხმარებელმა კი პირადი აზრი გამოთქვა საქართველოსა და სტალინის თბილისურ მუზეუმზე.** 27 უარყოფითი პოსტიდან, 18 საშუალო სიძულვილის ენაზე იყო დაწერილი (ძირითადად, ჩეჩნური და ინგუშური გვარებით), 5 კი — მშობლიური საქართველოდან მწარე სიძულვილის ფონზე. მთავარი კი იყო ის, რომ ამ გამოხმაურებებში სოციალური ქსელების რუს მომხმარებელთა უმრავლესობა განსაკუთრებული სიყვარულით მოიხსენიებდა საქართველოსა და ქართველ ხალხს, ბევრი მათგანი კი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის დღევანდელი დაძაბული ურთიერთობა არ არის კარგი, როგორც ქართველი, ასევე რუსი ხალხისთვის. რა თქმა უნდა, იყო კრიტიკული მოსაზრებებიც, გაუაზრებელი წინადადებებიც, მაგრამ, როგორც წესი, ასეთი მოსაზრების ავტორთა უმრავლესობას ქართველები წარმოადგენდნენ.

შემდგომ **დაიწყო ქართული მედიის წარმომადგენელთა ისტერიკაც, რომლებმაც ჟურნალისტ შევჩენკოს ვიზიტში აღმოაჩინეს ანტისახელმწიფოებრივი ქმედებაც — საზღვრის უკანონო გადმოკვეთით დაწყებული, ურთულესი კონსპიროლოგიური კომბინაციებით დამთავრებული. პირველობას ამ ინფორმაციების გავრცელებაში ერთმანეთს არ უთმობდნენ ე.წ. ოპოზიციური ტელევიზიები და, რაც მთავარია, ამ ინფორმაციულ ნიაღვარში უაპელაციოდ გამრიეს მეც და ჩემ მიერ ზემოხსენებული ვიზიტიც — აქაოდა, შევჩენკო გრიშა ონიანის მიერ დაარსებულ სტალინის მუზეუმს სტუმრობდაო. აი, ესეც შენი მეხუთე კოლონა!**

ახლა, როდესაც ამ ამბავმა ჩაიარა და თითქოს ემოციებიც დაცხრა, ვფიქრობ, დადგა დრო, ვუპასუხო ამ უსუსური ბრალდებებისა და საინფორმაციო ტალახის ავტორებს, რომ ჩემ მიერ დაარსებული ცენტრი არა მხოლოდ სტალინის მუზეუმია (სტალინის სახელმწიფო მუზეუმი, კიდევ კარგი, არსებობს გორში), არამედ ეს არის ცენტრი, რომლის მიზანია, მეცნიერულად შეისწავლოს ის საუკუნე, რომელზეც **გალაკტიონი** წერდა: **„სხვა მეოცე საუკუნე არასოდეს არ ყოფილა“,** დიახ, შეისწავლოს XX საუკუნე, როგორც უდიდესი ტექნიკური, ეკონომიკური თუ კულტურული პროგრესის, ხალხთა შორის მეგობრობის უპრეცედენტო მაგალითისა და ამ ხალხებს შორის ქართველებისა და საქართველოს განსაკუთრებული როლის საუკუნე; და, **თუ XX საუკუნეზე უნდა ვილაპარაკოთ, როგორ შეიძლება, ეს საუკუნე წარმოვიდგინოთ სტალინის გარეშე, რომელიც სათავეში ედგა კაცობრიობის ყველა იმ უდიდეს მიღწევას, რომლებიც გასული საუკუნის ისტორიის კუთვნილება არიან და, რამდენიც უნდა ეცადონ მისი ისტორიიდან ამოშლა, არათუ ამოშლიან, მომავალში კიდევ უფრო ფართო აღიარებას ჰპოვებს მსოფლიო ხალხებს შორის.** აი, სწორედ ასე უნდა განვიხილოთ შევჩენკოს ვიზიტი ამ სამეცნიერო ცენტრში. მიმაჩნია, რომ ეს არ იყო ვიწრო ინტერესების შეხვედრა, რადგან XX საუკუნისა და სტალინის ფენომენის შესწავლა ისეთივე აქტუალურია რუსი ხალხისთვის, როგორც ამერიკელი, ინგლისელი, ჩინელი და ბევრი სხვა ხალხისთვის (მაგ.: წიგნების გამოცემა, სტალინის ძეგლების დადგმა, მისი ხსოვნის უკვდავყოფა).



გრიგოლ ონიანი და მაქსიმ შევჩენკო

**მე-20 საუკუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ძირითად დარბაზში სტალინთან დაკავშირებული მასალები და ნივთებია გამოფენილი, რომელთა სანახავადაც, შევჩენკოს მიერ საქვეყნოდ (ინტერნეტით) წარდგენის შემდეგ, უამრავმა ადამიანმა გამოთქვა სურვილი, მოენახულებინა აღნიშნული მუზეუმი. 1000-ზე მეტმა მომხმარებელმა კი პირადი აზრი გამოთქვა საქართველოსა და სტალინის თბილისურ მუზეუმზე**

### ვითარება ამ მხრივ საქართველოში

ბოლო პერიოდში საქართველოში განვითარებულმა ანტირუსულმა და ანტისტალინურმა ისტერიკამ ისეთი მასშტაბი მიიღო, რომ მისი ავტორები და შემოქმედნი (ვაიჟურნალისტები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ნულპროცენტიანი რეიტინგის მქონე პოლიტიკური პარტიები, მათ აყოლილი ე.წ. ლიბერალური ინტელიგენციის ხელმოცარული წარმომადგენლები) ვერ ვხდებიან, როგორ შეჰყავთ ჩიხში ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტა, როგორიცაა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, სიდუხჭირის დაძლევა, ქვეყნის წინაშე მდგომი მთელი რიგი კულტურული თუ სოციალური პრობლემების მოგვარება.

ანტირუსული ისტერიკით შეპყრობილმა ამ აგრესიულმა უმცირესობამ იმდენი მოახერხა, რომ დააშინა ობიექტურად მოაზროვნე საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი, ხოლო კონფორმისტული პოლიტიკოსების ის ნაწილი, რომელიც სულ ახლო წარსულში ჯერ კიდევ ცდილობდა, ხმა ამოეღო უაზრო ანტირუსული რიტორიკისა თუ სამაჩაბლოსთან (ანუ საკუთარი ქვეყნის საზღვართან) შარვლების ჩახდის სამარცხვინო აქციის წინააღმდეგ, ახლა უნისონში გაჰყვირის, — რუსეთი ოკუპანტიაო, და ხმას არავინ იღებს — საიდან იღებდა სათავეს ეს ოკუპაცია, როგორ ხდებოდა წაგებული ომის მოგებულად გამოცხადება და რა შედეგები შეიძლება მას მოჰყოლოდა. ამ სტატიაში არ მაქვს მიზნად დასახული, დაწვრილებით ავხსნა ყველა შედეგი, რომლებიც უკვე მოჰყვა ამ უაზრო ქმედებებს. მე ახლა ვცდილობ, თქვენი ყურადღება იმ საკითხებს მივაპყრო, რომლებიც ამ წუთებშიც ვითარდება და კიდევ უფრო გვაშორებს იმ რეალობას, რომელსაც ფხიზელი თვალით შეხედვა სჭირდება.

ანტირუსული ისტერიკის გამღვივებლები, სამწუხაროდ, ერთეულები არ არიან. ისინი საკმაოდ მომრავლდნენ და აღწევენ კიდეც „შედეგს“, მაგრამ დღეს მხოლოდ ერთ გამორჩეულ პერსონაზე შევჩერდები, სხვებს კი შემდგომისთვის შემოვინახავ.

გიგა ბოკერია — პერსონაჟი, რომელიც, თითქმის 30 წელია, ქართულ პოლიტიკაშია — 1990-იანი წლებიდან დღემდე. ვერ ვიტყვით, რაიმე კონკრეტული გაკეთებული საქმით გამოეჩინოს თავი (იყო პარლამენტშიც, საგარეო საქმეთა სამინისტროშიც, უშიშროების საბჭოშიც) ან ვინმეს ახსოვდეს მის მიერ გადაწყვეტილი პრობლემა. სამაგიეროდ, დაგვამახსოვრა თავი ანტიზვიადისტური აქტიურობით, მართლმადიდებელი სასულიერო პირებისა თუ მრევლის მიმართ კრიტიკითა და რადიკალური ქმედებებით.

ასე იყო შევარდნაძის ხელისუფლების პერიოდში, ასეა ახლაც, ყველასა და ყველაფრის წინააღმდეგ. თუმცა ყოველთვის ისმოდა კითხვა: ვინ არის ბოკერია და ვისი მანდატით მოქმედებს? აღსანიშნავია, რომ მისთვის ასეთი უფლება არც ქართველ ხალხს მიუცია და არც ამომრჩეველს, რაც ნათლად დაადასტურა 2020 წლის არჩევნებმა, როდესაც დამოუკიდებლად იყარა კენჭი და ფოთის, სენაკისა და ხობის მოსახლეობის მხოლოდ 6-მა პროცენტმა დაუჭირა მხარი. მან მეორე ტურშიც ვერ შეძლო გადასვლა და აი, ახლა ეს, პრაქტიკულად, ნულოვანი მხარდამჭერის მქონე პირი, ყოველდღე მოძღვრავს ქართველ ხალხს ე.წ. ოპოზიციური ტელეეთერებიდან, ამუნათებს ოპოზიციას და, როგორც ამბობენ, მოლაპარაკებების მაგიდის აყირავებითა და რევოლუციით იმუქრება, თუკი არ დაინიშნება ახალი არჩევნები.

კი მაგრამ, **ვისი მანდატით მოქმედებს ბოკერია?** მრჩება შთაბეჭდილება, რომ მხოლოდ თავის ცოლის, **თამარ ჩერგოლეიშვილის** — ჟურნალ „ტაბულას“ რედაქტორის. თუმცა, როგორც ირკვევა, ჟურნალი „ტაბულა,“ კარგა ხანია, აღარ გამოდის.

**ვეკითხები იმ ტელეჟურნალისტებს, რომლებიც ამ ცოლ-ქმარს ასეთი სიხშირით იწვევენ გადაცემებში: არასდროს დაფიქრებულხართ, რომ მათი რიტორიკა მობეზრდა ქართველ ხალხს, ქართველ ამომრჩეველს (იხილეთ არჩევნების შედეგი)? ვეკითხები „ევროპული საქართველოს“ წევრებს: წინასაარჩევნოდ თქვენს ბანერებს სამი კაცის — ბოკერიას, უგულავასა და ბაქრაძის — ფოტოები ამშვენებდა. მართლა გგონიათ ისინი ისეთი ავტორიტეტები, რომ პარტიას ამომრჩეველთა ხმებს მოუტანდნენ და გამარჯვებისკენ წაიყვანდნენ?** როგორც ჩანს, ამ პარტიის დანარჩენი წევრები ზემოაღნიშნულ ტრიოზე უარესები არიან. ან როცა კიდევ დაინიშნება არჩევნები, გგონიათ, ბოკერია უკეთეს შედეგებს მიიღებს თავისთვის ან თქვენთვის?

ბოკერიასა და ყველას, ვინც ბოლო ოც წელზე მეტია, ქართულ პოლიტიკაში წყალს ნაყავს, უნდა ესმოდეთ, რომ მათი დრო დამთავრდა, მათი პოლიტიკური გზა მცდარია. ვიცი, იტყვიან, — რუსულ გზას „აწვებაო“. არა, ბატონებო, მხოლოდ რუსულ გზაზე არ არის საუბარი. როდესაც პოლიტიკურ არსენალში მხოლოდ ანტირუსული რიტორიკა გაქვს და სხვა არაფერი, სჯობს, წახვიდე და გზა სხვა თაობას დაუთმო. ისინი უკეთ გაერკვევიან, რა არის დღეს პრიორიტეტი საქართველოსთვის, მით უმეტეს, იმ ახალ გეოპოლიტიკურ რეალობაში, რომელიც არათუ 20 წლის განმავლობაში, ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთს განლაგებული ჰყავს 10 000 სამხედრო მოსამსახურე. დიახ, საქართველოში — აფხაზეთში განლაგებულია რუსეთის მე-7 სამხედრო ბაზა 5 000 კაცით; სამაჩაბლოში (ე.წ. სამხრეთ ოსეთში) კი — მე-4 ბაზა, ასევე 5 000 სამხედროთი. ამ წლების განმავლობაში რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ჩატარებული აქვს 130-ზე მეტი წვრთნა და ამ ბაზების მოდერნიზაციასა და სასაზღვრო პუნქტების გაძლიერებაზე დახარჯული აქვს 73.5 მლნ დოლარი აფხაზეთში, ხოლო 800 მლნ დოლარი — ცხინვალის რეგიონში.**

## ანტირუსული ისტერიკით შეპყრობილმა აგრესიულმა უმცირესობამ იმდენი მოახერხა, რომ დააშინა ობიექტურად მოაზროვნე საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი, ხოლო კონფორმისტული პოლიტიკოსების ის ნაწილი, რომელიც სულ ახლო წარსულში ჯერ კიდევ ცდილობდა, ხმა ამოეღო უაზრო ანტირუსული რიტორიკისა თუ სამაჩაბლოსთან (ანუ საკუთარი ქვეყნის საზღვართან) შარვლების ჩახდის სამარცხვინო აქციის წინააღმდეგ, ახლა უნისონში გაჰყვირის, — რუსეთი ოკუპანტიაო, და ხმას არავინ იღებს, საიდან იღებდა სათავეს ეს ოკუპაცია, როგორ ხდებოდა წაგებული ომის მოგებულად გამოცხადება და რა შედეგები შეიძლება მას მოჰყოლოდა

◀ არამედ ყოველდღიურად იცვლება ჩვენ თვალწინ.

და აი, ახალი თავზარდამცემი ცნობა — 2 იანვარს, ბედობის დღეს, რუსეთის პრეზიდენტმა გააძლიერა ოკუპირებული მიწების რკინის სალტეში მოქცევა, რათა ბოლო მოეღოს „მცოცავ ოკუპაციას“ და ქვეყნიდან ადამიანების გატაცებას (და არა საზღვრის დარღვევას). ჩვენ გვახსოვს, რომ საზღვრის დარღვევა სახელმწიფო ღალატად ითვლებოდა. ოკუპირებულ ბერლინში, სადაც საზღვრის ხშირი დარღვევის გამო გამყოფი კედელი აშენდა, კედელზე გადასვლის, ე. ი. საზღვრის დარღვევის მომენტში 870 კაცი დახვრიტეს, როგორც დემოკრატიული გერმანიის, ისე ფედერაციული გერმანიის მესაზღვრეებმა. ჩვენი „პატრიოტი“ ახალგაზრდები შარვლის ჩახდითა და უკანალის მიშვერით „აშინებენ“ ატომური იარაღის უზარმაზარი არსენალის მქონე ზემძლავრი სახელმწიფოს მესაზღვრეებს და ალბათ, ზღვარგადასული თავხედობის საპასუხოდ გადაწყვიტა რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოსთან სადემარკაციო ხაზის გავლება, რათა საზღვრის დარღვევა უმაღლესი სასჯელით იყოს შეფასებული. **აბა, ლიბერალებო, მალე დაიწყება საზღვრის დემარკაცია და მოამზადეთ უკანალები საზღვარზე მისაშვერად და იცოდეთ, რომ საზღვარი უფრო მოგვიახლოვდება არა როგორც „მცოცავი“, არამედ გამყარებული კონსტიტუციურად და სამართლებრივად.** აი, ეს არის თქვენი და თქვენი დასავლელი „მხსნელ-დამცველების“ 30-წლიანი მცდელობის შედეგი.

რაც შეეხება ჩვენს ახლო მეზობელს — აზერბეიჯანს, ყველამ დავინახეთ, რა სარგებელი მოუტანა მას დიდ სახელმწიფოსთან ადამიანურ ენაზე საუბარმა.

### საქართველო და ახალი გეოპოლიტიკური რეალობა

რა რჩება საქართველოსთვის მთავარ გამოწვევად მას შემდეგ, რაც თავისუფლება მოვიპოვეთ? რა თქმა უნდა, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება. რა გზები არსებობს ამისთვის? **ზემოხსენებულ პოლიტიკოსებისა და მათი თანამოაზრეების მიდგომა, ბოლო ორი ათეული წელია, ასეთია: გავწყვიტოთ დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთთან (ეს წარმატებით შევძელით). ყველა, ვინც ეცდება, ჩვენი ტერიტორიული პრობლემის მოგვარების საქმეში რუსეთის რაიმე როლზე სიტყვა დაძრას, მტრად გამოვაცხადოთ და მუდმივად ვუკიჟინოთ ქართველ ხალხს, რომ ჩვენი მშველელი და პატრონი მხოლოდ დასავლური სტრუქტურებია (მხედველობაში მაქვს ხან ნატო, ხან ევროკავშირი და ა. შ.).**

ვინც პოლიტიკაში ოდნავ მაინც ჩახედულია, იცის, რომ დასავლური სტრუქტურების მხარდაჭერა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტებია ამ დიდი პრობლემის მოგვარების საქმეში, მაგრამ მხოლოდ მათი მეშვეობით და თანაც ისე, რომ რუსეთს სულ წითელი ნაჭერი ვუფრიალოთ ცხვირწინ, **პუტინს** ხუილო ვეძახოთ და უშვერი სიტყვებით ვლანძღოთ, საქმე არ გამოვა. განა წლების განმავლობში სწორედ ჩვენი დასავლელი პარტნიორები არ გვახსენებენ, რომ საჭიროა(!) დავარეგულიროთ რუსეთთან ურთიერთობა?! მაგრამ რჩევა რჩევად რჩებოდა და პრაგმატული პოლიტიკის ნაცვლად ახალი რადიკალური მოწოდებები გვესმოდა. ახლა კი მათთვის, ვისაც ამ რჩევების არ სჯერა.

**რამდენიმე თვის წინათ დასრულდა წლების განმავლობაში გაჭიანურებული სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტი და დასრულდა იგი აზერბაიჯანის გამარჯვებით. მაინტერესებს, რა დასკვნები გამოიტანეს აქედან ქართველმა პოლიტიკოსებმა ან, საერთოდ, თუ უფიქრიათ 11 იანვარს გაფორმებულ იმ სამმხრივი (რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი) ხელშეკრულების შედეგებზე სამხრეთ კავკასიაში და რა გავლენა შეიძლება იქონიოს მან საქართველოზე?** ვეჭვობ, რომ ამ საკითხზე ჯერ არავის უფიქრია. ქართული პოლიტიკური ბომონდი და ქართული მედია „გაცილებით მნიშვნელოვანი“ საქმით არიან დაკავებულნი — შევა თუ არა პარლამენტში **ალექსანდრე ელისაშვილის** პარტიიდან ორი კაცი, ხოლო „გირჩის“ განაყოფიდან (ჯერ „გირჩი“ რა არის და მერე მისი განაყოფი?!) სამი კაცი და მერე რა მოხდება. რას შეცვლის ეს ქართულ პოლიტიკაში? ღირს კი ამდენი დროის დაკარგვა უაზრო ამბებზე? ან სატელევიზიო დროს რატომ ვკარგავთ, ან მაყურებლის ნერვებს რატომ არ ვუფრთხილდებით?

დავუბრუნდეთ ძირითად თემას — სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის დასრულების შედეგად, აზერბაიჯანმა დაიბრუნა დაკარგული ტერიტორიები (ამ ტერიტორიიდან მას 1 მლ.ნ-ზე მეტი დევნილი ჰყავდა), თურქეთმა საფუძველი ჩაუყარა შორსმიმავალ გეგმებს (ამაზე ქვემოთ ვისაუბრებ) და, რაც მთავარია, რუსეთმა სამხრეთ კავკასიაში სერიოზულად გაიძლიერა სამხედრო პოზიციები:

1. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შეიყვანა 2000 სამხედრო მოსამსახურე;

2. შეიყვანა უახლესი სამხედრო ტექნიკა;

3. დაიკავა და აკონტროლებს ყველა ძირითად კვანძს: 1 — ლაჩინის დერეფანს, 2 — ნახიჩევანისა და აზერბაიჯანის დამაკავშირებელ დერეფანს და ზოლს ირანის საზღვრის გასწვრივ (უახლოეს პერსპექტივაში).

დავუმატოთ ამას სომხეთის ტერიტორიაზე, გიუმრიში, განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზა 4000 სამხედრო მოსამსახურითა და 49-წლიანი ხელშეკრულებით, რომელსაც ვადა 2044 წელს ეწურება. ბაზა, რომელიც აღჭურვილია C-300 სარაკეტო კომპლექსებით, „მიგ-29“ გამანადგურებლებითა და არაერთი ვერტმფრენით.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში? საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთს განლაგებული ჰყავს 10 000 სამხედრო მოსამსახურე. დიახ, საქართველოში, აფხაზეთში, განლაგებულია რუსეთის მე-7 სამხედრო ბაზა 5 000 კაცით; სამაჩაბლოში (ე.წ. სამხრეთ ოსეთში) კი — მე-4 ბაზა, ასევე 5 000 სამხედროთი. ამ წლების განმავლობაში რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ჩატარებული აქვს 130-ზე მეტი წვრთნა და ამ ბაზების მოდერნიზაციასა და სასაზღვრო პუნქტების გაძლიერებაზე დახარჯული აქვს 73.5 მლნ დოლარი აფხაზეთში, ხოლო 800 მლნ დოლარი — ცხინვალის რეგიონში (რადიო „თავისუფლების“ 2020 წლის 13 ნოემბრის გადაცემის მონაცემები).

ახლა დავსვათ კითხვა — **რას უპირისპირებს ამას ქართული პოლიტიკური სპექტრი? იქნებ კარასინი-აბაშიძის ან პრაღის, ჟენევისა თუ განმუხურის შეხვედრებს, ან წლების განმავლობაში საქართველოში განთავსებული ეუთოს, მრავალმილიონიანი ბიუჯეტის მქონე სადამკვირვებლო მისიის დაკვირვების შედეგებს, რომლებიც წლიდან წლამდე იმით მთავრდება, რომ საზღვრები ხან ერთ ადგილზე გადმოიწევს, ხან — მეორეზე?**

ვიცი, მეტყვიან, ეს ფაქტორებიც რომ არ იყოს, სხვა რა გზა გვაქვსო? ასე იყო აზერბაიჯანის შემთხვევაშიც და იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ ეს წარმატება, რომელზეც ზემოთ ვილაპარაკე, მართლა თურქეთის ხარჯზე მოხდა. ყველაფერი, რაც ვერ გადაწყდა 30 წლის განმავლობაში, მოგვარდა მხოლოდ რუსეთისა და აზერბაიჯანის ჭკვიანი ხელისუფლების ერთობლივი ქმედებით — ინტერესთა თანხვედრითა და ურთიერთკომპრომისით (არც აზერბაიჯანს უნდა აძლევდეს ხელს რუსეთის ჯარი თავის ტერიტორიაზე, სულ ცოტა, ათი წლით, მაგრამ დიდი პოლიტიკა ისე არ კეთდება, ჩვენთან როგორც წარმოუდგენიათ).

**რა ეკონომიკური ცვლილებები შეიძლება მოჰყვეს ზემოხსენებულ ვითარებას?** თურქეთმა უკვე განაცხადა, რომ მიიყვანს რკინიგზას აქამდე არსებული ვიწრო დერეფნით ნახიჩევანის (ანუ აზერბაიჯანის) რაიონამდე. თურქეთთან დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდი, რომელიც 1992 წელს გაიხსნა, ახლა რკინიგზის ხიდითაც გაფართოვდება და ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა ტვირთების ნაკადის გადანაწილება შეიძლება მოხდეს ამ მიმართულებით (დავხედოთ რუკას). სწორედ ეს შეიძლება შეიქნეს ამჟამად საქართველოზე გამავალი ტვირთების შემცირების საფუძველიც, ხოლო სრულად რომ ამოქმედდება ყარსი-ახალქალაქის რკინიგზაც, ადვილი გამოსაცნობი არის, როგორ შეუმცირდება ტვირთბრუნვა ფოთისა და ბათუმის პორტებს. ეს ყველაფერი ჯერჯერობით ვარაუდია, მაგრამ ფაქტია, რომ დრო ჩვენს სასარგებლოდ არც ამ მხრივ მუშაობს. ამიტომ საკითხი, გაიხსნას თუ არა აფხაზეთთან რკინიგზა, ახალ რეალობაშია განსახილველი და ისეთი გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ, რომელიც არც ჩვენს სუვერენიტეტს დააზიანებს და არც ახალ რეალობას შეიყვანს ჩიხში.

(გაგძელება შემდეგ ნომერში)




## რამდენიმე თვის წინათ დასრულდა წლების განმავლობაში გაჭიანურებული სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტი და დასრულდა იგი აზერბაიჯანის გამარჯვებით. მაინტერესებს, რა დასკვნები გამოიტანეს აქედან ქართველმა პოლიტიკოსებმა ან, საერთოდ, თუ უფიქრიათ 11 იანვარს გაფორმებულ იმ სამმხრივი (რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი) ხელშეკრულების შედეგებზე სამხრეთ კავკასიაში და რა გავლენა შეიძლება იქონიოს მან საქართველოზე?






ყურადღება!

„ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონ გრიგოლ ონიანის წიგნ „სტალინის“ მე-6 ტომი, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის შესახებ.

ვაქცინაციის დილემა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**30 წელია, ვცდილობთ შევეტენოთ დასავლეთს და არ გვიტენის, იმიტომ, რომ რეალურად არ ვჭირდებით. მათ მხოლოდ ჩვენი ბიჭები სჭირდებათ მისიებისთვის „ბანანის რესპუბლიკებში"; ჩვენი ლიდერები სჭირდებათ, მაღალი ტრიბუნიდან რუსეთი რომ ლანძღონ, თორემ, როცა საქმე ერს, სიცოცხლის გადარჩენას ეხება, ყველა თავისთვის არის.**

# იმგვარი მიდგომით, როგორიც ვაქცინის მიმართ გვაქვს, დასავლეთში საქართველო ბანანის რესპუბლიკა ჰგონიათ

**მეორე სამამულო ომის პერიოდში ქმნიდნენ ე.წ. შტრაფ-ბატებს, ანუ საჯარიმო ბატალიონებს, რომლებსაც ფრონტის წინა ხაზზე საზარბაზნე ხორცად უშვებდნენ. ამ ბატალიონში ხვდებოდნენ საშიში დამნაშავეები, რეციდივისტები, დეზერტირები, ტყვედ აყვანილი მტრები, ისეთი ადამიანები, რომლებიც, გადარჩენის შემთხვევაში, უფრო დიდ ზიანს მოიტანდნენ. მსგავსი ბატალიონები ჰყავდათ გერმანელებსაც, ფრანგებსაც, ამერიკელებსაც, მოკლედ, ყველას, ვინც მეორე მსოფლიო ომში იყო ჩართული, ამ ომში კი ლამის მთელი მსოფლიო მონაწილეობდა.**

ახლაც ომია, ომი უჩინარ მტერთან, როგორც მას მსოფლიო ეძახის. კორონავირუსით გარდაცვლილთა რიცხვმა უკვე 2 მილიონს გადააჭარბა. სამწუხაროდ, სიკვდილიანობაა ჩვენთანაც — დაახლოებით 250 ათას ინფიცირებულზე 3000-მდე გარდაცვლილი მოდის. პროცენტულად ეს, შესაძლოა, მცირე რაოდენობაა, მაგრამ საქართველოსთვის, ასეთი პატარა ქვეყნისთვის, 3 ათასი გარდაცვლილი ძალიან ბევრია. მით უმეტეს, იმის ფონზე, რომ მილიარდნახევრიან ჩინეთს, რომლიდანაც ვირუსის გავრცელება დაიწყო, 90 ათასი ინფიცირებულიც არ ჰყავს და დღიური ინფიცირების მაჩვენებელი 150-ს არ სცდება.

როგორც მოსალოდნელი იყო, ვირუსის გამოჩენიდან რამდენიმე დღეში მეცნიერებმა ვაქცინაზე მუშაობა დაიწყეს. ზესახელმწიფოებმა საქმეში საუკეთესო სპეციალისტები ჩართეს და სწორედ მაშინ ითქვა, რომ ვაქცინას დააგვიანდებოდა რამდენიმე მიზეზის გამო. ერთ-ერთმა პროფესორმა, რომელიც შემდეგ რატომღაც განცხადებას აღარ აკეთებს, აღნიშნა, რომ ვაქცინის შემუშავებას, სულ ცოტა, 8 თვე დასჭირდებოდა, ხოლო შემდგომი ორი წელი — ცდებსა და ანალიზს, რა შედეგი შეიძლება მოიტანოს ამ ვაქცინამ. ეს იყო ყველაზე შემჭიდროვებული ვადები, ანუ რეალურად, ვაქცინა ხელთ სამი წლის შემდეგ უნდა გვქონოდა, სრულყოფილი ვაქცინა...

თუმცა, აგერ, **წელიწადზე ოდნავ მეტი გავიდა, ვაქცინა უკვე რამდენიმე ქვეყანას აქვს და მასობრივი აცრებიც დაწყებულია. როგორც ითქვა, თავიდან რისკჯგუფებში შემავალ ადამიანებს აცრიან, შემდეგ კი ეს ყველაფერი მასობრივ ხასიათს მიიღებს, რისკჯგუფებს კი, ძირითადად, ქრონიკული დაავადებების მქონენი და მოხუცები წარმოადგენენ. შესაბამისად, მათი აცრა დაიწყო და სიკვდილიანობამ იმატა. როგორც აღმოჩნდა, ვაქცინას (და არ აქვს მნიშვნელობა, რომელი ქვეყნის წარმოებულია) უკუჩვენებები აქვს, რომლებიც შემდეგ გამოვლინდა.** ვერ ჩატარდა შესაბამისი კვლევა უკუჩვენებებზე და ეს იმიტომ, რომ დრო არ ეყოთ მეცნიერებს. რა თქმა უნდა, ამ ვერაგი დაავადებისგან დასაცავად ვაქცინა აუცილებელია და ის უნდა შეიქმნას, მაგრამ არა ისეთი, ვირუსით ინფიცირებამდე რომ მოგკლავს. ცოცხალ ადამიანებზე ექსპერიმენტების ჩატარება ვერ უნდა იყოს მაინცდამაინც კარგი საქმე, მით უმეტეს მაშინ, როცა, პირველ რიგში, მოხუცთა თავშესაფრის ბინადრები აიცრნენ.

**ვაქცინის შემოტანას საქართველოც აპირებს და აქტიური მოლაპარაკებებიც მიმდინარეობს. ხან ჩინურ ვაქცინაზეა საუბარი, ხან — ბრიტანულსა თუ ამერიკულზე, მაგრამ ცოდვა გამხელილი სჯობს და, რამდენიც უნდა ამტკიცოს ხელისუფლებამ, ვაქცინა ჩვენ არც გაზაფხულზე გვექნება და არც ზაფხულში. ამის თქმის საფუძველს კი გვაძლევს ის, რომ ცალკე ვაქცინის მწარმოებელი ქვეყნები ამბობენ, ჯერ საკუთარი მოსახლეობა უნდა დავაკმაყოფილოთ, შემდეგ სხვაო და ცალკე ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია ადასტურებს, მესამე დონის ქვეყნებამდე ვაქცინა, სავარაუდოდ, შემოდგომისთვის მივაო.** სავარაუდოდო, ზუსტად კი არაო. რა გამოდის? რას გვთავაზობს ხელისუფლება? ვაქცინის ნაწილს, რომელიც რისკჯგუფებს, ანუ მოხუცებსა და ქრონიკული დაავადებების მქონეებს უნდა მოხმარდეს და, პირველ რიგში, სწორედ ისინი უნდა აიცრან, მაგრამ გარდაცვალების შემთხვევების მომატების ფონზე, **რამდენი ადამიანი გარისკავს, გაიკეთოს ვაქცინა, რომელმაც ევროპასა თუ ამერიკაში არა ერთი და ორი ადამიანი იმსხვერპლა?!** ისიც ითქვა, მოხუცებს ვცრით და სიკვდილიანობა მათი ასაკითაც არის გამოწვეულიო, ე.ი., ბუნებრივი სიკვდილითაც იხოცებიანო, მაგრამ მათი ძირითადი ნაწილი ვაქცინის მიღების შემდეგ რომ ხან სხეულის სხვადასხვა ადგილის შეშუპებას უჩივის, ხან მოულოდნელად განვითარებულ დისკომფორტსა და ტკივილს, იმას ნიშნავს, რომ ვაქცინა სხვადასხვა თანმდევ დაავადებებთან რეაქციაში შედის, ანუ სრულყოფილი არ არის და ვერც იქნება — გამოცდისთვის, უბრალოდ, დრო არ იყო. შესადარებლად გეტყვით, რომ **ჩვეულებრივი, თუნდაც ტკივილგამაყუჩებელი წამალი გამოცდას 2-დან 4 წლამდე გადის, სწავლობენ ყველა დადებით თუ უარყოფით მხარეს, შემდეგ კი გაიცემა ლიცენზია. ახლა კი გვაქვს რამდენიმე ვაქცინა და ყველამ იცის, რომ მათგან შესაბამისი გამოცდა არც ერთს არ გაუვლია. ამის მიუხედავად, ამ ვაქცინების გადანაწილება მიდის, ქვეყნები რიგში დგანან და...**



**ზესახელმწიფოები ექსპერიმენტებს ატარებენ მოხუცებზე, არ აძლევენ დანარჩენ სამყაროს ვაქცინას და მერე, როცა საკუთარ თავს უსაფრთხოდ დაიგულებენ, ჩვენც გავახსენდებით. რაც მთავარია, ამ ვაქცინას არავინ გვაჩუქებს, უზარმაზარი თანხა გვიჯდება და, რაც მთავარია, ვყიდულობთ იმას, რაც არ ვიცით, ვარგა თუ არა. ჩვენ კი არა, არავინ იცის, მაგრამ მაინც ვყიდულობთ**

ჯერ აიცრებიან იმ ქვეყნების მოქალაქეები, რომლებშიც ეს ვაქცინა იწარმოება, ანუ წამყვანი ქვეყნების მოსახლეობა, შემდეგ აიცრებიან ე.წ. მეორე რიგის ქვეყნების მოქალაქეები, შემდეგ მესამე რიგის ქვეყნების, ანუ ჩვენი ჯერი მოვა, ბოლოს კი — „ბანანის რესპუბლიკების". ახლა არ თქვათ, „ბანანის რესპუბლიკა" დისკრიმინაციულიაო. ამერიკის ყოფილმა პრეზიდენტმა **ჯორჯ ბუშ-უმცროსმა** თქვა გასულ კვირას: კაპიტოლიუმზე შეტევა იმას ნიშნავს, რომ ბანანის რესპუბლიკას ვემსგავსებითო. თუ ბუშს აქვს უფლება და ჩვენ — არა, დისკრიმინაცია სწორედ ესაა. სხვათა შორის, **იმგვარი მიდგომით, როგორიც ვაქცინის მიმართ არის, საქართველოც ბანანის რესპუბლიკა ჰგონიათ და ამაზე მეტი ლუსტრაცია, ალბათ, ვერც მოხდება.** ახლავე აგიხსნით, რასაც ვგულისხმობთ.

ხომ გვიმტკიცებენ ევროპული ქვეყნები და ამერიკა, თქვენ გვერდით ვართ, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები ხართო და ჩვენი იმედი გქონდეთო?! ჰოდა, ახლა, საქმე საქმეზე რომ მიდგა, თურმე სტრატეგიული პარტნიორები კი არა, მესამე რიგის ქვეყანა ვართ, რომელიც საჭირო ოდენობის ვაქცინას საუკეთესო შემთხვევაში შემოდგომაზე მიიღებს, მანამდე კი თავში ქვა გვიხლია. ეს იმიტომ, რომ საქმე მოქალაქეების სიცოცხლეს ეხება და დიდმა ქვეყნებმა კარგად იციან, რომ, თუ ვაქცინა საქართველოში წავა, ხოლო მათ არ შეხვდებათ, ხელისუფლებას ერთ დღეში დაკარგავენ. აი, როცა სხვადასხვა საომარ მისიაში ჩვენი ჯარისკაცები უნდა წავიდნენ და საკუთარი სიცოცხლე სწორედ იმ ზესახელმწიფოების საკეთილდღეოდ გაწირონ, მაშინ პირველ რიგში გვაყენებენ, საზეიმოდ გვაცილებენ, ტაშს გვიკრავენ.

ეს გასაკვირი არცაა. ახლა არ იყო, **იტალიას** რომ გაუჭირდა, ვირუსს რომ ველარ უმკლავდებოდა, ქვეყნის მასშტაბით კრემატორიუმები რომ ველარ ასწრებდნენ მიცვალებულების დაწვას, ხოლო ევროპა და ამერიკა ჩაიკეტნენ და მართლა სტრატეგიული პარტნიორი და მეკავშირე ბედის ანაბარა მიატოვეს?! შემდეგ იყო ათასობით გარდაცვლილი და ზესახელმწიფოების ლიდერთა ბოდიში. ჰო, მათ, უბრალოდ, ბოდიში მოიხადეს იმის გამო, რომ იტალიას ყურადღება ვერ მიაქციეს, ვერ დაეხმარნენ და ათასობით ადამიანის სიკვდილი დაუშვეს. და ამით დამთავრდა მაშინ ამბავი, პასუხი არც არავის მოუთხოვია და არც არავის უგია. ჰოდა, ზუსტად იგივე მეორდება ახლა — **ზესახელმწიფოები ექსპერიმენტებს ატარებენ მოხუცებზე, არ აძლევენ დანარჩენ სამყაროს ვაქცინას და მერე, როცა საკუთარ თავს უსაფრთხოდ დაიგულებენ, ჩვენც გავახსენდებით. რაც მთავარია, ამ ვაქცინას არავინ გვაჩუქებს, უზარმაზარი თანხა გვიჯდება და, რაც მთავარია, ვყიდულობთ იმას, რაც არ ვიცით, ვარგა თუ არა. ჩვენ კი არა, არავინ იცის, მაგრამ მაინც ვყიდულობთ.**

**ხომ გვიმტკიცებენ ევროპული ქვეყნები და ამერიკა, თქვენ გვერდით ვართ, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები ხართო და ჩვენი იმედი გქონდეთო?! ჰოდა, ახლა, საქმე საქმეზე რომ მიდგა, თურმე სტრატეგიული პარტნიორები კი არა, მესამე რიგის ქვეყანა ვართ, რომელიც საჭირო ოდენობის ვაქცინას, საუკეთესო შემთხვევაში, შემოდგომაზე მიიღებს, მანამდე კი თავში ქვა გვიხლია. აი, როცა სხვადასხვა საომარ მისიაში ჩვენი ჯარისკაცები უნდა წავიდნენ და საკუთარი სიცოცხლე სწორედ იმ ზესახელმწიფოების საკეთილდღეოდ გაწირონ, მაშინ, პირველ რიგში, გვაყენებენ, საზეიმოდ გვაცილებენ, ტაშს გვიკრავენ**

16 იანვარს მმართველი პარტიის თავმჯდომარედ ირაკლი კობახიძე აირჩიეს, რომელმაც აღნიშნა: მთავარი მიზანი ის არის, რომ 2024 წელს ოფიციალური განაცხადი გავაკეთოთ ევროკავშირის სრულუფლებიან წევრობაზეო. ეს მაშინ, როცა შარშანწინ ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთი გავიდა და, როგორც აღმოჩნდა, თავს უშველა; ეს მაშინ, როცა ევროკავშირის წევრი საბერძნეთი დეფოლტისთვის გაიმეტეს და საუკუნეები გავა, სანამ საბერძნეთი ვინმეზე დამოკიდებული არ იქნება და მილიარდობით ვალის გადახდა არ მოუწევს. **30 წელია, ვცდილობთ, შევეტენოთ დასავლეთს და არ გვიტენის, იმიტომ, რომ რეალურად არ ვჭირდებით. მათ მხოლოდ ჩვენი ბიჭები სჭირდებათ მისიებისთვის „ბანანის რესპუბლიკებში", ჩვენი ლიდერები სჭირდებათ, მაღალი ტრიბუნიდან რუსეთი რომ ლანძღონ, თორემ, როცა საქმე ერს, სიცოცხლის გადარჩენას ეხება, ყველა თავისთვის არის.** სხვათა შორის, ვაქცინაცია დაიწყო რუსეთშიც და იქ სიკვდილიანობის მაჩვენებელი პრაქტიკულად არ არის. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ვაქცინას მიაწვდის ყველას, ვინც ამას მოითხოვს, ხელისუფლება არც კი განიხილავს მეზობელი ქვეყნიდან ვაქცინის შემოტანას. ამ დროს რუსული ვაქცინა მოითხოვა და მიიღო, მაგალითად, ლათინური ამერიკის თითქმის ყველა ქვეყანამ — ბრაზილიამ, არგენტინამ და სხვებმა. სადღეისოდ უკვე მეორე პარტიებს ითხოვენ. ჩვენთვის რა არის მთავარი? მოსახლეობისთვის მთავარია, ვაქცინა ვარგისი იყოს, სარგებელი მოჰქონდეს და, ვისი ნაწარმოები იქნება, სულერთია.

**ბესო ბარბაქაძე**

**„ოპერაციის მიდამოებში ჩამოგდებულ იქნა მოწინააღმდეგის ალმოდებული თვითმფრინავი, რომელიც დატვირთული იყო საბრძოლო მასალით. ცეცხლის ჩაქრობის გარეშე იქმნებოდა M-30-ის ჭურვების აფეთქების საფრთხე. ხუნდაძე პირველი გავარდა ცეცხლის ჩასაქრობად და დანარჩენი მებრძოლებიც აიყოლია. ხანძრის ჩაქრობით მან უზრუნველყო უსაფრთხოება. ამხანაგი ხუნდაძე იმსახურებს სამთავრობო ჯილდოს — მედალს „მამაცობისათვის“.**

არავინ არის დავიწყებული
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვლადიმერ ხუნდაძე და ირაკლი გიკაშვილი — სიძე და ცოლისძმა, რომლებიც სამშობლოს შეეწირნენ

**როგორც იქნა, ვესტუმრე ქალბატონ ლია ხუნდაძეს — სტალინგრადში მებრძოლი ქართველი მეომრის, ვლადიმერ ხუნდაძის, ქალიშვილს. ქალბატონმა ლიამ გულთან ახლოს მიიტანა ჩვენი პროექტი „დიდი სამამულო“, რომელიც მომავალი თაობებისთვის პირველ ქართულენოვან ენციკლოპედიას ქმნის 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში საქართველოს წარმომადგენლების მონაწილეობის შესახებ. პროექტის ავტორებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, როდესაც მკითხველები თვითონვე გვიკავშირდებიან და გამოთქვამენ სურვილს, ჩვენი ელექტრონული არქივის რუბრიკაში სახელწოდებით „ჩემი მამაცი წინაპარი“ განთავსდეს ინფორმაციები და ფოტოსურათები მათი ოჯახებისა და მთელი ქვეყნისთვის ძვირფასი ადამიანების, ომში მონაწილე მათ წინაპართა შესახებ. სწორედ ასეთი ძვირფასი ადამიანია ვლადიმერ ივანეს ძე ხუნდაძე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქალბატონ ლიას მამა, რომელიც სტალინგრადში იბრძოდა. ქალბატონმა ლიამ გამოთქვა სურვილი, მამის სახელი და ფოტო განთავსდეს ჩვენს ელეტრონულ არქივში და ასევე გამოქვეყნდეს ჩვენს პარტნიორ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“.**


ვლადიმერ ხუნდაძე (მარცხნივ) და ირაკლი გიკაშვილი


ვლადიმერ ხუნდაძე მეუღლე ეთერ გიკაშვილითან ერთად

ძალიან ტრაგიკული და აღმაფრთოვანებელი აღმოჩნდა ჩოხატაურელი ვლადიმერ ხუნდაძის ხანმოკლე ბიოგრაფია. სანქტ-პეტერბურგში განათლებამიღებული მამის, რამდენიმე უცხო ენის მცოდნე **ივანე ხუნდაძის** ოჯახში 1916 წელს დაბადებული **ვლადიმერი,** განათლებით ისტორიკოსი, პედაგოგობას აპირებდა და მუშაობდა კიდეც ამ პროფილით. ქალიშვილი ლია 1939 წელს დაიბადა. ქალბატონ ლიას ახსოვს, როგორ ელოდებოდა ხოლმე საყვარელ მამას, „პაპკოიას“, ფანჯარასთან, სანამ იგი სამსახურიდან დაბრუნდებოდა. 1941 წელს ცოლ-ქმარ ხუნდაძეებს მეორე ქალიშვილი, ლუარა, შეეძინათ.

ვლადიმერ ხუნდაძე წითელ არმიაში 1942 წლის ზაფხულში გაიწვიეს და პირდაპირ ფრონტის ყველაზე ურთულეს მიმართულებაზე გაგზავნეს — სტალინგრადის დასაცავად. გვარდიის უფროსი სერჟანტი ხუნდაძე სტალინგრადისთვის წარმოებულ ბრძოლებში თითქმის დასაწყისიდან ბოლომდე მონაწილეობდა — 1942 წლის 21 აგვისტოდან 1943 წლის 2 თებერვლამდე. მიღებული აქვს მედალი „სტალინგრადის დაცვისთვის“ (დასტურდება რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური არქივის დოკუმენტით — ფონდი 12776, აღწერა 2, შენახვის ერთეული — 7).

ქალბატონი ლია ზუსტ თარიღს ვერ იხსენებს, მაგრამ, როგორც ჩანს, **სტალინგრადის ბრძოლების შემდეგ ვლადიმერ ხუნდაძე დაიჭრა. ხელმძღვანელობამ იგი შინ დააბრუნა და მას, როგორც პედაგოგს, შეეძლო მშვიდობიანი ცხოვრების გაგრძელება, მაგრამ თვითონ ვლადიმერმა არ ისურვა შინ დარჩენა. მეუღლისთვის უთქვამს: ვერ დავრჩები, ჩემი მეგობრები ფრონტზე არიანო, და მალე ისევ საომრად გაბრუნებულა, თავისივე ნებით. იბრძოდა ბრიანსკის ფრონტზე, შემდეგ — ვორონეჟის ფრონტზე. საუბედუროდ, ეს მისი ბოლო ბრძოლა აღმოჩნდა — 1943 წლის 12 აგვისტოს ვლადიმერ ხუნდაძე დაიღუპა უკრაინის სსრ ტერიტორიაზე. დაკრძალულია სუმის ოლქში, სოფელ ჩერნეტჩინაში.**

ასე დაქვრივდა ვლადიმერის 21 წლის მეუღლე, **ეთერ გიკაშვილი,** რომელიც თავისი გმირი მეუღლის დიდი სიყვარულით აღარ გათხოვილა.

შემონახულია „ჯილდოს ფურცელი“ („Наградной лист“), 536-ე გვარდიული ნაღმმტყორცნი დივიზიის მეთაურის, გვარდიის კაპიტან **კორობკოვის** ხელმოწერით, რომელშიც ვლადიმერ ხუნდაძის სიმამაცეა ასახული. დოკუმენტის დასკვნით ნაწილში ვკითხულობთ: „საბრძოლო ამოცანის შესრულებისას, სოფელ ზადუშნოეში (მდებარეობს ქალაქ მცენსკთან ახლოს, ორიოლის ოლქში) ამხანაგი ხუნდაძე საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად, მოწინააღმდეგის ნაღმების ქარიშხლისებრი ცეცხლის პირობებში, მუშაობდა ნაღმების... (ერთი სიტყვა ხელნაწერ ტექსტში გაურკვეველია). **ოპერაციის მიდამოებში ჩამოგდებულ იქნა მოწინააღმდეგის ალმოდებული თვითმფრინავი, რომელიც დატვირთული იყო საბრძოლო მასალით. ცეცხლის ჩაქრობის გარეშე იქმნებოდა M-30-ის ჭურვების აფეთქების საფრთხე. ხუნდაძე პირველი გავარდა ცეცხლის ჩასაქრობად და დანარჩენი მებრძოლებიც აიყოლია. ხანძრის ჩაქრობით მან უზრუნველყო უსაფრთხოება. ამხანაგი ხუნდაძე იმსახურებს სამთავრობო ჯილდოს — მედალს „მამაცობისათვის“.**

**ვლადიმერ ხუნდაძე წითელ არმიაში 1942 წლის ზაფხულში გაიწვიეს და პირდაპირ ფრონტის ყველაზე ურთულეს მიმართულებაზე გაგზავნეს — სტალინგრადის დასაცავად. გვარდიის უფროსი სერჟანტი ხუნდაძე სტალინგრადისთვის წარმოებულ ბრძოლებში თითქმის დასაწყისიდან ბოლომდე მონაწილეობდა — 1942 წლის 21 აგვისტოდან 1943 წლის 2 თებერვლამდე. მიღებული აქვს მედალი «სტალინგრადის დაცვისთვის»**


ლია ხუნდაძე

ტრაგიკული აღმოჩნდა ქალბატონ ლიას ბიძის, 1917 წელს დაბადებული **ირაკლი გიორგის ძე გიკაშვილის,** ბედიც. ასევე პედაგოგი, ირაკლი გიკაშვილი განაწილებული იყო ჯავის სკოლაში. ფრონტზე თბილისის საქალაქო სამხედრო კომისარიატიდან გაიწვიეს 1943 წელს. 49-ე გვარდიული სატანკო ბრიგადის ტანკის ეკიპაჟის მეთაური, ლეიტენანტი გიკაშვილი 1945 წლის 20 თებერვალს დაიღუპა გერმანიაში. ჰყავდა ერთი ქალიშვილი, 1940 წელს დაბადებული, რომელიც შარშან გარდაიცვალა.

შვილიშვილებისა და შვილთაშვილების პატრონი, ქალბატონი ლია ხუნდაძე მიიჩნევს, რომ აუცილებელია, სწორი ინფორმაცია გადავცეთ მომავალ თაობებს დიდი სამამულო ომის შესახებ. ამ მხრივ მან თავისი ვალი მოიხადა. თავის დროზე ქალბატონი ლია ვოლგოგრადშიც ჩადიოდა, ეცნობოდა არქივებს, რეალურ ისტორიას ასწავლიდა თავის შვილიშვილებს, ახალგაზრდა თაობებს... აღარ არის დღეს ის საოცარი დრო, მაგრამ ერის ისტორიულ მეხსიერებაში ეს ყველაფერი სამუდამოდ უნდა დარჩეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ერს გადარჩენა არ უწერია!

**გულბაათ რცხილაძე**
didisamamulo.ge

**სტალინგრადის ბრძოლების შემდეგ ვლადიმერ ხუნდაძე დაიჭრა. ხელმძღვანელობამ იგი შინ დააბრუნა და მას, როგორც პედაგოგს, შეეძლო მშვიდობიანი ცხოვრება გაეგრძელებინა, მაგრამ თვითონ ვლადიმერმა არ ისურვა შინ დარჩენა. მეუღლისთვის უთქვამს: ვერ დავრჩები, ჩემი მეგობრები ფრონტზე არიანო, და მალე ისევ საომრად გაბრუნებულა თავისივე ნებით. იბრძოდა ბრიანსკის ფრონტზე, შემდეგ — ვორონეჟის ფრონტზე. საუბედუროდ, ეს მისი ბოლო ბრძოლა აღმოჩნდა — 1943 წლის 12 აგვისტოს ვლადიმერ ხუნდაძე დაიღუპა უკრაინის სსრ ტერიტორიაზე. დაკრძალულია სუმის ოლქში, სოფელ ჩერნეტჩინაში**


მამის მიერ ფრონტიდან გამოგზავნილი და სათუთად შენახული წერილები

გლობალიზმი და ანტიგლობალიზმი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კლასიკური პოლიტოლოგიის თვალსაზრისით, აშშ-ში იყო კონსერვატიული რევოლუციის მოწყობის მცდელობა, მაგრამ ვერ შედგა. შემდეგ დაიწყო აბსურდის თეატრი, სწორედ ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს ისეთი პარადოქსები, როგორიც არის დემოკრატიული დიქტატურა, ტოტალიტარული დემოკრატია, კონსერვატიული რევოლუცია და ლიბერალური რეაქცია.**

# კაპიტოლიუმში შეჭრა და ამერიკის ელიტის პოსტსტრესული სინდრომი

## იქნება თუ არა სახიფათი აშშ, როგორც საკუთარი თავისთვის, ისე სრულიად მსოფლიოსთვის

**ამერიკულ ისტებლიშმენტს საფრთხე კაპიტოლიუმში ადამიანების შეჭრამდე დაემუქრა, მაშინ, როდესაც აშშ-ის ხელისუფლების სათავეში ტრამპი მოვიდა — როგორც გაირკვა, პარტიული ფილტრების მიუხედავად, არასისტემურ მოთამაშესაც შეძლებია სისტემის მწვერვალის დაპყრობა ყველა წესის დაცვით და ამ სისტემის დაზიანება.**

ახლა ამერიკელი დემოკრატების ამოცანა ქვეყნის პოლიტიკური სისტემის შეკეთებაა ისეთი მიმართულებით, რომ ყველა იდეური და პროგრამული საფუძვლების შენარჩუნებით შეიცვალოს ხელისუფლების რეკონსტრუქციის წესები და საზოგადოების პოლიტიკური ქცევის ნორმები.

**ამერიკელ საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის წინააღმდეგობა შენარჩუნდება და გაძლიერდება კიდეც, მაგრამ ამერიკის ელიტა თავის ამოცანას ხედავს არა იმაში, რომ ეს წინააღმდეგობა დაძლიოს, არამედ იმაში, რომ არ დაუშვან ძალაუფლების შენარჩუნების მექანიზმების გადაფორმატება.**

კრამოლა, რომელმაც შეაღწია საზოგადოების ცნობიერებაში და განამტკიცა მისი იმედები ტრამპის სახით, უნდა ჩაიხშოს და ამ თვალსაზრისით ამერიკული კონტრრევოლუცია არ განსხვავდება ისტორიაში ცნობილი სხვა კონტრრევოლუციებისგან.

ამერიკელ საზოგადოებაში რევოლუციური ვითარება გამოწვეულია მისი დაყოფით **ინდუსტრიულ** და **პოსტინდუსტრიულ** სეგმენტებად. ინდუსტრიული წარმავალი წყობილებაა, თუმცა ის ობიექტურად აუცილებელია და მის გარეშე ეკონომიკა წარმოუდგენელია. პოსტინდუსტრიული — ეს არის წყობილება, რომელიც აღმავალია და ამიტომ გლობალისტური.

ამ წყობილებაზე ლაპარაკი იყო **მარქსისა** და **ლენინის** პერიოდში, ისინი მას უწოდებდნენ კაპიტალიზმის სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტურ სტადიას, იმპერიალიზმს, როცა დაიწყებოდა კაპიტალის ექსპორტი. ზემოაღნიშნულის ორივე წყობილება იძულებული იყო, ერთმანეთის გვერდით ეარსება კიდევ ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის განმავლობაში, შეენარჩუნებინათ ყველა წინააღმდეგობა დესტრუქციული კრიზისების სტადიამდე.

იმპერიალიზმი გლობალიზმია და ის ყოველთვის გაუწევს კონკურენციას ნაციონალურ სამრეწველო კაპიტალს, რომელიც ეყრდნობა დაქირავებულთა შრომას და ქვეყნის გარეთ წარმოების გატანის შემთხვევაში უმუშევრობა კრიზისს უქმნის. **გლობალისტურ წყობილებას კი ყოველთვის ემსახურება ფინანსური სექტორი, რადგან თავისუფალი კაპიტალი ეძებს ახალ ნიშას და მიილტვის იქით, უწინდელ სამრეწველო წყობას კი ძალიან ბევრი დანახარჯი და განვითარების მცირე შესაძლებლობები აქვს, განსაკუთრებით მონოპოლიზაციის ტენდენციების გათვალისწინებით.**

ამიტომ ნებისმიერი ტექნოლოგიური სიახლე გლობალურია და წარმოადგენს იმ ბანკების ინტერესის სფეროს, რომელთა უკანაც დგას მსხვილი კაპიტალის მფლობელთა კლასი. კაპიტალისტურ საზოგადოებაში სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს ყოველთვის მოჰყვება ხოლმე კლასობრივი ომები და ანტაგონისტური დაპირისპირებები.

**კაპიტალიზმის კრიზისი უდევს საფუძვლად ამჟამინდელ მემარცხენე რენესანსს აშშ-ში, როცა გლობალისტური სექტორის ლიბერალური ფრთა მარცხნივ იხრება, ხოლო მემარჯვენე-კონსერვატიული ფრთა ცენტრისკენ ინაცვლებს.**

თუმცა ლიბერალების მემარცხენეობა მახინჯი ფორმით ვლინდება — კლასობრივი პრობლემებიდან აქცენტი გადააქვთ რასობრივ და გენდერულ პრობლემებზე, ამით ცდილობენ, სასურველ კალაპოტში მიმართონ სოციალური პროტესტი, რაც, მათი აზრით, საშუალებას მისცემთ, დაამარცხონ კონსერვატორები.

**მემარცხენე ლიბერალების თემებია: რეპრესიული პოლიტკორექტულობა, „საოფისე მონობისა“ და „ხარბი კაპიტალიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლა, იუვენალური იუსტიცია, ლგბტ, კლონირება, ყველანაირი თავისუფლება, ტრადიციების წინააღმდეგ, როგორც ცრურწმენებისადმი, ბრძოლა; საკელდობრ, ისინი არიან გლობალიზმის, როგორც რელიგიის იდეის მქონენი და ახალი დიქტატების შემქმნელები.**

მემარცხენე კონსერვატიზმი მრავალფეროვანი სოციალდემოკრატიის სახით წარსულს ბარდება, ისევე, როგორც მემარჯვენე კონსერვატიზმი, რომლის გამორჩეული წარმომადგენელიც არის **დონალდ ტრამპი.**

„გადავაქციოთ ამერიკა კვლავ დიად ქვეყნად!“ — ეს ძველი ლოზუნგის — „ჩემი სახლი ჩემი ციხესიმაგრეა!“-ს ერთ-ერთი სახეობაა. პურიტანული მორალი, ინდივიდუალიზმი იარაღის ტარების უფლებით, კერძო საკუთრება, ოჯახი, რელიგია, დაბალი გადასახადები და სუვერენული სახელმწიფო.

ამ ყველაფერს კი მემარცხენე ლიბერალები მიიჩნევენ პროვინციალიზმად, ჩამორჩენილობად და ობსკურანტიზმად.

ლიბერალურ-კონსერვატიული ალიანსი ნეოკონების ჯგუფის სახით შეიქმნა, როგორც კონსენსუსის დამცველი მსოფლიოში აშშ-ის ბატონობის შენარჩუნების მეთოდებზე. **მსოფლიოში აშშ-ის ბატონობას ტრამპმა თავისი იზოლაციონიზმითა და ეკონომიკური ეგოიზმით დაარტყა. ამ დარტყმის შედეგების გამოსწორებას ორი საპრეზიდენტო ვადა დასჭირდება, ე.ი., სულ ცოტა, 8 წელიწადი. თანაც არ არსებობს გარანტია, რომ ეს წარმატებით დასრულდება.** ამ მეთოდებში გლობალიზმი განიხილება, როგორც აუცილებელი პირობა მსოფლიოზე ბატონობის შესანარჩუნებლად — ჰეგემონიის შენარჩუნების ერთადერთ მართებულ და რაციონალურ ტექნოლოგიად.




**გლობალიზმსა და ანტიგლობალიზმს შორის დაპირისპირება მანამ გაგრძელდება, სანამ ახალი ტექნოლოგიური წყობილება არ მოაგვარებს ყველა პრობლემას სიღარიბიდან ეკოლოგიამდე. და, რადგან ამისთვის, სულ ცოტა, ასწლეულია საჭირო, ჩვენ გველოდება დემოკრატიის ტოტალიტარიზაციის ხუთწლედი და ყველა იდეოლოგიის კრიზისის ათწლედი**



**XX საუკუნის მეორე ნახევარში ლიბერალურ-გლობალისტურმა პროექტმა აშშ-ს ტექნოლოგიების სფეროში ლიდერობა მოაპოვებინა და ყველანაირ მცდელობას „ამერიკა ვაქციოთ კვლავ დიად ქვეყნად“ ამერიკელი პოლიტიკური კლასი არქაიზმში გადაყვანად მიიჩნევს. ამიტომ ეს კლასი ტრამპს აღიქვამს არა პატრიოტად, არამედ გიჟად, რომელიც ქვეყანას წარსულში მიათრევს. და ეს, მათი აზრით, სახიფათოა. ტრამპის მიდგომები ქმნის ილუზიებს და ამერიკას ართმევს გლობალურ სიძლიერეს.**

კლასიკური პოლიტოლოგიის თვალსაზრისით, აშშ-ში იყო კონსერვატიული რევოლუციის მოწყობის მცდელობა, მაგრამ ვერ შედგა. შემდეგ დაიწყო აბსურდის თეატრი, სწორედ ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს ისეთი პარადოქსები, როგორიც არის დემოკრატიული დიქტატურა, ტოტალიტარული დემოკრატია, კონსერვატიული რევოლუცია და ლიბერალური რეაქცია.

**კაპიტოლიუმის დაპყრობა კონსერვატორების მხრიდან პრინციპების შენარჩუნების ბოლო მცდელობა იყო. მათი ისტორიული მარცხი კონსერვატიზის, როგორც იდეოლოგიის, მარგინალიზაციისა და ლიბერალიზმის დიქტატურას გამოიწვევს, მაგრამ ლიბერალური ფრთა ინარჩუნებს მემარჯვენე და მემარცხენე ფრაქციებს, რომელთა დაჯახებაც გარდაუვალია ლიბერალების მიერ ხელისუფლების საკითხის გადაწყვეტის შემდეგ.** რესპუბლიკური პარტიის კრიზისი დაიძლევა, რადგან მისი ელექტორატი ძალიან მრავალრიცხოვანია და მას სრულად ვერ დათრგუნავენ.

რესპუბლიკელების აღორძინება მოხდება პარტიიდან ტრამპიზმის ნარჩენების განდევნის შემთხვევაში, ამის შემდეგ დიდი კაპიტალის მფლობელები სიღრმისეული სახელმწიფოსგან მოითხოვენ ორპარტიული სისტემის დაბრუნებას იმ გარანტიით, რომ არასოდეს დაუშვებენ პარტიაში კონსერვატორ რევოლუციონერებს, რომლებიც ეჭვქვეშ დააყენებენ გლობალიზმის დოგმებს და მათ საფუძველზე ამერიკის ლიდერობას.

**ის, რომ აშშ-ის მმართველი კლასი სტრესს განიცდის ბუნტის ჩახშობის შემდეგ, მიუთითებს იმაზე, რომ შიში დიდი იყო და დიდხანს გრძელდებოდა. გლობალიზმი ოთხი წლის განმავლობაში ბეწვზე ეკიდა.** ცხადი იყო, რომ ტრამპი ვერ გაიმარჯვებდა აშშ-ში, მაგრამ მისი მმართველობის პერიოდში მსოფლიოში დაიწყო შეუქცევადი პროცესები. **აშშ-ის დასუსტების პერიოდი მსოფლიოს ძალების ცენტრებმა გავლენის სფეროების გადასანაწილებლად და წესების შესაცვლელად გამოიყენეს. ახლა აშშ იძულებული იქნება, დაედევნოს წასულ მატარებელს და მემანქანის კაბინაში შესაღწევად ბანდიტური მეთოდები გამოიყენოს.** ამას მოჰყვება საპასუხო რეაქცია, რომლის დასათრგუნავად აშშ-ს შეიძლება ძალა არ ეყოს. სწორედ ამიტომ ცდილობს ბაიდენი, ძალების კოოპერაციასა და კონსოლიდაციას, მაგრამ ამას შესუსტებული პოზიციიდან აკეთებს. ვასალები თავს ჭირვეულობის უფლებას აძლევენ, მათი სათანადოდ დასჯა კი უკვე შეუძლებელია. მომხდარი მიუთითებს, რომ რეაქციას შეუძლია ჩაახშოს რევოლუცია, მაგრამ უძლეურია, გაანადგუროს მისი წინაპირობები. ეს ახალ რევოლუციას გამოიწვევს, რომლის თარიღიც ჯერჯერობით უცნობია. **ეს რევოლუცია კონსერვატიული იქნება. ის განვითარდება კაპიტალიზმის, როგორც სისტემის, ჩარჩოებში და მას კითხვის ნიშნის ქვეშ არ დააყენებს, მაგრამ კაპიტალიზმის გლობალური ლიბერალური ვერსია საკამათო იქნება.**

ჯერჯერობით ნათელია მხოლოდ ის, რომ აშშ რაღაც შუალედურ სახელმწიფოდ იქცა ბელარუსსა და უკრაინას შორის. ამ ქვეყნებში სამართლებრივ ჩარჩოებში არანაირი ცვლილება მოსალოდნელი არ არის და ამიტომ ცვლილებების ერთადერთი მეთოდი, რომლის იმედიც აქვთ გლობალიზმის შემოქმედთ, მაიდანია.

**გლობალიზმსა და ანტიგლობალიზმს შორის დაპირისპირება მანამ გაგრძელდება, სანამ ახალი ტექნოლოგიური წყობილება არ მოაგვარებს ყველა პრობლემას სიღარიბიდან ეკოლოგიამდე. და, რადგან ამისთვის, სულ ცოტა, ასწლეულია საჭირო, ჩვენ გველოდება დემოკრატიის ტოტალიტარიზაციის ხუთწლედი და ყველა იდეოლოგიის კრიზისის ათწლედი.**

აშშ-ის ელიტები ძალიან არიან შეშინებულნი, შიში კი აგრესიის მთავარი წყაროა. კაპიტოლიუმის დაპყრობამ წარმოაჩინა ამერიკული პოლიტიკური სისტემის სუსტი ადგილები და ამერიკის გავლენის შესაძლებლობები შეამცირა, ამით მყისვე ისარგებლებენ მისი „პარტნიორები“. აშშ-ის საშინაო პოლიტიკის მკაცრი იდეოლოგიზაცია — ეს არის გვიანდელი საბჭოთა კავშირის შეცდომის გამეორება. ამერიკის ელიტის შიში იმით არის გამოწვეული, რომ მას არ შეუძლია, ხელი შეუშალოს საზოგადოებაში დისიდენტური განწყობების გავრცელებას.

ამ სისუსტის საომარი რიტორიკით, აქტიური საგარეო პოლიტიკითა და რეპრესიული პრაქტიკით შენიღბვის მცდელობა კი მხოლოდ აჩქარებს გლობალიზმის სისტემურ კრიზისს და ამიტომ ამერიკის მმართველი კლასი მომავალს შიშით უმზერს. **როგორც რუსი ფიზიოლოგი ივანე პავლოვი ამბობდა, „შიში მუხრუჭია“. შიშისგან დამახინჯებულმა რეაქციებმა კი შეიძლება გამოუსწორებელი შეცდომები გამოიწვიოს და ამიტომ აშშ განსაკუთრებით სახიფათო იქნება, როგორც საკუთარი თავისთვის, ისე სრულიად მსოფლიოსთვის.**

**ალექსანდრე ხალდეი**
Regnum.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**გიორგი ბაჩიჩილაძე**

**ამერიკელი საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც გულუბრყვილოდ სჯეროდა ჯო ბაიდენის დიადი მისიის, შოკში ჩავარდა. ახალი ამბების ზოგიერთი ამერიკული ვებგვერდის ვერსიით, ჰანტერ ბაიდენის სექსუალური სცენების ამსახველი ფოტოების გამოქვეყნების შემდეგ საძიებო სისტემებში მკვეთრად მოიმატა ძიების რაოდენობამ შემდეგი შეკითხვით: „შემიძლია თუ არა ხმის შეცვლა არჩევნებზე?“**

პოლიტიკა ამერიკულად

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამერიკული მედია ჰანტერ ბაიდენის რეპუტაციის გათეთრებას ცდილობს


ჰანტერ ბაიდენი: ნარკომანობიდან მხატვრობამდე

**2020 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი მოვლენა მოხდა — ქვეყნის პრეზიდენტის არჩევნები. დონალდ ტრამპისა და ჯო ბაიდენის დაპირისპირება საზოგადოებრიობას შოკისმომგვრელი „სიურპრიზებით“ დაამახსოვრდა, კერძოდ, 2020 წლის ოქტომბერში გამოქვეყნებული კომპრომატებით აშშ-ის ახლა უკვე არჩეული პირველი პირის უმცროს ვაჟზე — ჰანტერ ბაიდენზე.**


ჰანტერ ბაიდენი

დემოკრატიული პარტიის რეპუტაციას მტკივნეულად დაარტყეს, რასაც შემდეგ დიდი სკანდალი მოჰყვა. თუმცა, ტრამპის მოწინააღმდეგეების შიშის მიუხედავად, მას არჩევნების შედეგებზე დიდი გავლენა არ მოუხდენია — ბაიდენმა გაიმარჯვა. ახლა კი, ბაიდენის მომხრეთა აზრით, დადგა მისი შელახული რეპუტაციის გათეთრების დრო. რეპუტაციის გათეთრება კი ჯო ბაიდენის თავის ტკივილით, ჰანტერით, დაიწყეს. ამისთვის დემოკრატებმა ის მედიასაშუალებები გამოიყენეს, რომლებსაც აკონტროლებენ.

## რაში ადანაშაულებენ ჰანტერ ბაიდენს?

2019 წლის აპრილში კომპიუტერების შეკეთებელი ერთ-ერთი სახელოსნოს თანამშრომელმა დაიწყო იმ კომპიუტერის შეკეთება, რომელზეც მიწებებული იყო საქველმოქმედო ფონდ Beau Biden Foundation-ის ლოგო. ამ ფონდს სახელი ჰანტერის გარდაცვლილი ძმის, **ბო ბაიდენის,** პატივსაცემად ეწოდა. **როცა შეკეთებული კომპიუტერი არავინ წაიღო, ხელოსანმა ე.წ. მყარი დისკოს შესწავლა გადაწყვიტა. დისკოზე შენახულმა ინფორმაციამ, როგორც ჩანს, ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა სახელოსნოს მფლობელზე, რომ მან ნაპოვნის შესახებ გამოძიების ფედერალურ ბიუროს აცნობა, შემდეგ კი — ტრამპის პირად ადვოკატს.**

**დისკოზე აღმოჩნდა თითქმის 25 ათასი ფოტო, მათ შორის ისეთები, რომლებზეც სექსუალური სცენები იყო აღბეჭდილი, აგრეთვე, ელექტრონული ფოსტის 11 ათასი გზავნილი, რომლებსაც პირდაპირი კავშირი აქვს ბაიდენი-უმცროსის მუშაობასთან უკრაინის ენერგეტიკულ კომპანია Burisma-სა და ჩინურ კორპორაცია CEFC China Energy Co-ში.**

არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, 2020 წლის 14 ოქტომბერს, გამოცემა New York Post-მა გამოაქვეყნა მიმოწერის ნაწილი, რომელიც მოწმობს ბაიდენების კორუფციულ საქმიანობას უკრაინაში.

**მოგვიანებით, 24 ოქტომბერს, უცნობმა პირებმა ინტერნეტში გაავრცელეს ინტიმური სცენების ფოტოები და ვიდეოები. რამდენიმე კადრზე ასახულია, როგორ მოიხმარს ნარკოტიკს ბაიდენ-უმცროსის მსგავსი მამაკაცი და დაკავებულია სექსით ჰანტერ ბაიდენის 14 წლის ძმისშვილის მსგავს გოგონასთან.**

ამასთანავე, ჩრდილი მიადგა ობამების ოჯახსაც. საზოგადოებამ ფოტოებზე გამოსახულ ერთ-ერთ გოგონაში ბარაკ ობამას შვილი, **მალია ობამა,** ამოიცნო.

**ამერიკელი საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც გულუბრყვილოდ სჯეროდა ჯო ბაიდენის დიადი მისიის, შოკში ჩავარდა. ახალი ამბების ზოგიერთი ამერიკული ვებგვერდის ვერსიით, ჰანტერ ბაიდენის სექსუალური სცენების ამსახველი ფოტოების გამოქვეყნების შემდეგ საძიებო სისტემებში მკვეთრად მოიმატა ძიების რაოდენობამ შემდეგი შეკითხვით: „შემიძლია თუ არა ხმის შეცვლა არჩევნებზე?“**

ახლა, არჩევნებში ჯო ბაიდენის გამარჯვების შემდეგ, როცა ჰანტერის გარშემო ხმაური ჩაცხრა, დემოკრატებმა გადაწყვიტეს, გამოიყენონ თავიანთი გავლენა და ჩართონ მედიაც, რათა დაიწყონ ფრთხილი კამპანია ახალარჩეული პრეზიდენტის პრობლემური შვილის რეპუტაციის გადასარჩენად.

გადაწყვიტეს, ორიენტირად გამოეყენებინათ The New York Times-ში გამოქვეყნებული სტატია. მასში მოთხრობილია, როგორ ცდილობს ჰანტერი მავნე ჩვეულებებისგან გათავისუფლებას ხელოვნების დახმარებით და როგორ უშლიან ამაში ხელს ბოროტი რესპუბლიკელები, რომლებიც კვლავ მოითხოვენ უკრაინაში მისი მოღვაწეობის გამოძიებას. და NYT-მაც მყისვე აუწყა მკითხველებს, რომ „უკრაინაში ბაიდენების კორუფციული საქმიანობის არანაირი ხელშესახები მტკიცებულება არ არსებობს“.

2020 წლის დეკემბერში გამოცემა Vanity Fair-ის ჟურნალისტმა გაიმეორა The New York Times-ის გამოცდილება და გამოაქვეყნა მსგავსი სტატია ჰანტერ ბაიდენზე.

სტატიის ავტორი ჰანტერ ბაიდენს ტანჯული სულის მქონე რომანტიკოსად წარმოაჩენს, რომელიც „ხელოვნების სასარგებლოდ უარს ამბობს მატერიალურ კეთილდღეობაზე“.

„ვენჩურული კაპიტალისტი, რომელიც მხატვარი გახდა და რომლის სტუდია ჰოლივუდის ბორცვზე მდებარე სახლში მდებარეობს, თავის ნამუშევრებს ლითონის მილაკებით ქმნის. ამ მილაკებით ის სპირტზე დამზადებულ ფერად მელნებს ისრუტავს, შემდეგ გადააქვს იაპონურ ქაღალდზე და ქმნის აბსტრაქტულ ფიგურებს“.

თვითონ ჰანტერ ბაიდენი კი თავს იმართლებს იმით, რომ ეს საქმიანობა „ავსებს ენერგიითა და რაღაც პოზიტიურით, ხელს უშლის მას, იყოს იმ ადამიანებთან და იმ ადგილებში, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს“.

„ერთადერთი, რაც დამრჩა, ჩემი ხელოვნებაა. ეს არის ის, რასაც ვერ წამართმევენ“.

2021 წლის იანვარში იძულებულნი იყვნენ, ბაიდენის რეპუტაციის გათეთრების საქმე გადაედოთ. 6 იანვარს ამერიკის კონგრესთან განვითარებული მოვლენების გამო, დემოკრატებისა და მათი მოკავშირეების ძალები, ინტერნეტგიგანტებისა და პრესის სახით, დონალდ ტრამპის წინააღმდეგ გადაისროლეს, მაგრამ იმ მხარდაჭერის გათვალისწინებით, რომელსაც ჯო ბაიდენის მიმართ იჩენენ ამერიკული ტელეარხები და ბეჭდური მედიასაშუალებები, სამომავლოდ მისი შვილის რეპუტაციის გათეთრების მცდელობა კიდევ ბევრი იქნება.

**riafan.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**


ჰანტერ ბაიდენი მცირეწლოვან გოგონასთან


ჯო ბაიდენი

# ბრეჟნევი და მისი პოლიტბიუროს წევრები ბიჭბუჭები იყვნენ აშშ-ის ამჟამინდელ «ელიტასთან» შედარებით

**1980-იანი წლების დასაწყისში უცხოელი ჟურნალისტები ხშირად ქილიკობდნენ საბჭოთა კავშირის ლიდერებზე. ლეონიდ ბრეჟნევს, კონსტანტინე ჩერნენკოს, იური ანდროპოვსა და სხვებს „მარაზმატიკებსა“ და მიხრწნილ ბებრებს უწოდებდნენ.**


ნენსი პელოსი

ბრეჟნევი 76 წლის იყო, როცა გარდაიცვალა, იური ანდროპოვი — 70 წლის, კონსტანტინე ჩერნენკო — 74 წლის. თუმცა, თუ გადავხედავთ ჯო ბაიდენისა და მისი გარემოცვის წარმომადგენელთა წლოვანებას, დავინახავთ, რომ ბრეჟნევი და მისი პოლიტბიუროს წევრები ბიჭბუჭები იყვნენ აშშ-ის ამჟამინდელ „ელიტასთან“ შედარებით:

* აშშ-ის პრეზიდენტი **ჯო ბაიდენი** 78 წლისაა;
* აშშ-ის სენატის პრეზიდენტი **ჩაკ გრასლი** — 88 წლის;
* აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის სპიკერი **ნენსი პელოსი** — 81 წლის;
* აშშ-ის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი კლიმატის საკითხებში **ჯონ კერი** — 77 წლის;
* სოფლის მეურნეობის მინისტრი **ტომ ვილსაკი** — 70 წლის;
* აშშ-ის ელჩი გაეროში **ლინდა ტომას გრინფილდი** — 69 წლის;
* აშშ-ის თავდაცვის მინისტრი **ლოიდ ოსტინი** — 67 წლის.

**ru-an.info-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**


ჩაკ გრასლი

ეკონომიკა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მთავრობის ანტიკრიზისული პროგრამების ეფექტი მაღალი აღმოჩნდა, ამ ღონისძიებებმა, სულ ცოტა, გაანახევრა შეზღუდვებით გამოწვეული დარტყმა, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს უმნიშვნელოვანესი გარემოება: ანტიკრიზისული ღონისძიებები გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მსგავსია და უსასრულოდ ვერ გაგრძელდება. ასეთი ღონისძიების ეფექტი მხოლოდ „აქ და ახლა“ ჩანს და მათი შემდგომი გაგრძელების პერსპექტივა ნულოვანია.**

# როგორ გვაზარალა პანდემიამ

## სიმულაციური ანალიზის მიხედვით

**კორონავირუსის პანდემიამ ქვეყნის ეკონომიკასა და სოციალურ ვითარებაზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა, უწინარესად, მოქალაქეთა შრომით დასაქმებასა და მათ შემოსავლებზე. მთავრობის ანტიკრიზისული პროგრამა ეფექტიანი აღმოჩნდა. სულ ცოტა, გაანახევრა შეზღუდვებით გამოწვეული დარტყმა, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ანტიკრიზისული ღონისძიებები გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მსგავსია და უსასრულოდ ვერ გაგრძელდება. ასეთი ღონისძიების ეფექტი მხოლოდ „აქ და ახლა“ ჩანს და მათი გაგრძელების პერსპექტივა ნულოვანია. ანტიპანდემიური შეზღუდვების გავლენით გამოწვეულ პრობლემებზე გვესაუბრება ანალიტიკოსი ნოდარ კაპანაძე.**



ნოდარ კაპანაძე

— ეს პრობლემა შეისწავლა საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის (რონდელის) ფონდმა ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით. ხელმძღვანელი იყო **მერაბ კაკულია,** ხოლო მე გახლდით მთავარი მკვლევარი.

თქვენი გაზეთის ერთგული მკითხველისთვის პანდემიური აჟიოტაჟის მიმართ ჩემი სკეპტიკური დამოკიდებულება, წესით, ცნობილი უნდა იყოს. ეს დამოკიდებულება არც ახლა შემიცვლია.

**პანდემიის საფანელით შემოღებული შეზღუდვები რეალური მოვლენაა და მათი სოციალური და ეკონომიკური შედეგები ხელშესახებია. ჩატარებული კვლევა სწორედ მოსახლეობის დასაქმებაზე, შემოსავლებსა და სიღარიბეზე ანტიპანდემიური შეზღუდვების ზეგავლენის შეფასებას შეეხება.**

რადგან მთავრობამ შეზღუდვების დაწესებასთან ერთად ანტიკრიზიული ღონისძიებების მთელი პაკეტი წარმოადგინა, რომლის მთავარი ამოცანა შეზღუდვების შედეგად გამოწვეული კრიზისული დარტყმის შერბილება იყო, ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად მთავრობის ანტიკრიზისული პროგრამის სავარაუდო ეფექტის მოდელირებაც მოვნიშნეთ.

**— ამ კვლევის შედეგები მოცემულია შემაჯამებელ დოკუმენტში, რომელშიც მნიშვნელოვან თავისებურებად დასახელებულია „სიმულაციური ანალიზის მეთოდი“. რას ნიშნავს ეს?**

— სიმულაციური ანალიზი უკვე არსებული ინფორმაციული მასივების გამოყენებით მოვლენების ზეგავლენის სიმულაციაში მდგომარეობს.

განვმარტავ: არსებული მდგომარეობის ამსახველი მონაცემები მაკრო დონეზე დღეისთვის არ გვაქვს, მიკრო დონეზე კი მხოლოდ 2021 წლის ივნისში იქნება ხელმისაწვდომი. შეზღუდვები კი „აქ და ახლა“ გვაქვს და მათ მოსალოდნელ შედეგებზე პასუხი სწორედ „აქ და ახლაა“ აქტუალური. ამიტომ სიმულაციური ანალიზის გზით შევეცადეთ, პასუხი გაგვეცა კითხვებზე: **რა მოხდებოდა, პანდემია რომ 2019 წელს მოხდარიყო, ანუ როგორი იქნებოდა ანტიპანდემიური შეზღუდვების გავლენა შინამეურნეობების შემოსავლებზე, დასაქმებასა და სიღარიბეზე? რა შედეგს მოიტანდა შინამეურნეობებში მთავრობის მიერ 2020 წელს გატარებული ანტიკრიზისული ღონისძიებები, 2019 წელს რომ განხორციელებულიყო?**

**— სიღარიბისა და უმუშევრობის პრობლემების დამძიმება რეალურად ეკონომიკის რომელ სფეროებში გამოიკვეთა უფრო მეტად?**

— ყველაზე მეტად დაზარალდებოდა სასტუმროებისა და რესტორნების სექტორი, რომელშიც დასაქმება 61 პროცენტით შემცირდებოდა, თუმცა სახელმწიფო ანტიკრიზისული პროგრამებით კლების ტემპი 36 პროცენტამდე შენელდებოდა. მნიშვნელოვნად დაზარალდებოდა ხელოვნება, გართობა-დასვენების სექტორი, დასაქმება აქ 47 პროცენტით შემცირდებოდა, თუმცა სახელმწიფო ანტიკრიზისული პროგრამების მეშვეობით კლების ტემპი 27 პროცენტამდე მცირდება.

ეს მაჩვენებლები სექტორებში დასაქმების ცვლილების მოსალოდნელ მასშტაბს გვიჩვენებს. ამდენად, შესაბამის სექტორში შექმნილი მშპ-ს ცვლილება შეიძლება განსხვავდებოდეს დასაქმების ცვლილებისგან მოცულობით, მაგრამ მიმართულება ისეთივე იქნება.

**ახლახან სტატისტიკის სამსახურის ვებგვერდზე გამოქვეყნდა მთლიანი შიდა პროდუქტის მე-3 კვარტლის მონაცემები, რომლებიც გვიჩვენებს, რომ ანტიპანდემიური შეზღუდვებით გამოწვეული კრიზისი სწორედ იმ სექტორებზე აისახა, რომლებიც სიმულაციური ანალიზის მიხედვით გამოიკვეთა.**

აქვე ისიც უნდა აღვნიშნო, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლებში დასაქმების ცვლილება მყისიერად და ზუსტად იმავე პროპორციით არ აისახება. მაგალითად, **ელექტროენერგიითა და ბუნებრივი აირით მომარაგების სექტორში დასაქმება შეიძლება არ შეიცვალოს, მაგრამ შემცირებული მსყიდველუნარიანობის პირობებში მოსახლეობამ ნაკლები ელექტროენერგია და ბუნებრივი აირი მოიხმაროს. ლოკდაუნის პირობებში გაჩერებული სამეწარმეო სექტორი, ბუნებრივია, შეამცირებდა მოხმარებას. დასაქმების უცვლელობის პირობებში სექტორში შექმნილი მშპ შემცირდებოდა.**

**დღეს არსებული სოციალური ვითარება ნამდვილად არ არის საუკეთესო, მაგრამ აქედან «გოლოდომორამდე» ძალიან შორია. მაგ დონემდე ჩასვლა თითქმის გამორიცხულია, თუმცა წელს დაწყებული ეკონომიკური დაცემა მომავალ წელსაც, დიდი ალბათობით, ვერ ანაზღაურდება, რაც კარგი ნამდვილად არაა, მაგრამ არც იმაზე უარესია, რაც თეორიულად შეიძლება ყოფილიყო**

ეროვნული ანგარიშების მაჩვენებლები, უპირველეს ყოვლისა, გვიდასტურებს, რომ სიმულაციური ანალიზით მიღებული შეფასებები სწორი მიმართულებისაა. ყველაზე მეტად დაზარალებული სექტორების პირველი სამეული — **სასტუმროები და რესტორნები; ხელოვნება, გართობა და დასვენება; ტრანსპორტი და დასაწყობება** — როგორც სიმულაციური ანალიზის, ისე ეროვნული ანგარიშების მონაცემებით, აბსოლუტურად იდენტურია.

ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ **ეკონომიკის პრიორიტეტულ მიმართულებად ტურიზმის გამოცხადება სტრატეგიულად მცდარი გადაწყვეტილებაა, რომელიც თვალნათლივ გამოიკვეთა 2020 წელს განვითარებული მოვლენების დროს. ანტიპანდემიური ისტერიკის პირველი მსხვერპლი სწორედ ტურისტული ინდუსტრია გახდა.**

**— შექმნილ მდგომარეობაზე იქონია თუ არა გავლენა სავალუტო აჟიოტაჟმა, რომელიც ეროვნული ვალუტის გაიაფებამ გამოიწვია? რა იყო ამის ჭეშმარიტი მიზეზი?**

— ამ კითხვაზე პირდაპირი და მარტივი პასუხის გაცემა არ ივარგებს. ჩემი აზრით, აქ ჯერ თვით შეკითხვის შინაარსია გასარკვევი — რა არის მიზეზი და რა არის შედეგი; სავალუტო აჟიოტაჟი არის კრიზისის მიზეზი თუ სავალუტო აჟიოტაჟი არის კრიზისის შედეგი? კორონაისტერიკა ცოტა ხნით დავივიწყოთ.

**ქართული ლარის აშშ დოლართან გაცვლითი კურსი მეზობელი სომხეთისა და აზერბაიჯანის ეროვნული ვალუტების გაცვლით კურსთან შედარებით არასტაბილურია. აზერბაიჯანული მანათის აშშ დოლართან გაცვლითი კურსი 2020 წლის განმავლობაში რეგიონში ყველაზე სტაბილური იყო. ასევე სტაბილური იყო სომხური დრამის გაცვლითი კურსიც, თუმცა, ნოემბერ-დეკემბერში გამოიკვეთა გაუფასურების გარკვეული ტენდენცია.**



**საერთო ჯამში, მთავრობის ანტიკრიზისულმა ღონისძიებებმა არსებითად შეარბილა კრიზისის დარტყმა შინამეურნეობების შემოსავლების შეცირების კუთხით**

არასტაბილურობის მხრივ ქართული ვალუტის კურსი ნაკლებად სტაბილურია, ვიდრე დრამი და მანათი, მაგრამ უფრო სტაბილურია, ვიდრე ლირა და რუბლი.

ქართული ლარის გაცვლით კურსთან თურქეთისა და რუსეთის ეროვნული ვალუტების გაცვლითი კურსის მჭიდრო კავშირს საქართვე- ▶

ეკონომიკა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# თუ დასაქმებულებს 272.1 ათას „დროებით უმუშევარს" გამოვაკლებთ და მივუმატებთ სოფლის მეურნეობაში დამატებულ 32.7 ათას თვითდასაქმებულსა და 2020 წლის მე-2 კვარტალში აღრიცხულ 235.9 ათას უმუშევარს, მივიღებთ, რომ უმუშევრობის დონე 28,2 პროცენტია.

◀ ლოს საგარეო ვაჭრობაში ამ ორი ქვეყნის წამყვანი პოზიცია განაპირობებს. თურქეთი და რუსეთი საქართველოს წამყვანი სავაჭრო პარტნიორების პირველი ხუთეულის მუდმივი წევრები არიან ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში.

**— ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის სურსათით მომარაგებაში პერმანენტული შოკი რამ გამოიწვია?**

— სანამ ამ კითხვას ვუპასუხებ, უპრიანი იქნებოდა, დაგვეზუსტებინა: იყო კი შოკი სურსათით ქვეყნის მომარაგებაში? მარტის ბოლოს, როდესაც ლოკდაუნის გამოცხადების პერსპექტივა რეალური გახდა, რაღაც პანიკის მსგავსი მოვლენები დაიწყო, მაგრამ ეს „პანიკა" ერთ კვირასაც არ გაგრძელებულა. ამ მოვლენას შეიძლება ვუწოდოთ პირველადი მოხმარების საქონელზე აჟიოტაჟური მოთხოვნა, რომელიც მარაგების შექმნას ისახავდა მიზნად. თუმცა ერთ კვირაში ეს აჟიოტაჟი მიწყნარდა და განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ამ თვალსაზრისით არც 2021 წელი იქნება განსაკუთრებული საფრთხით აღსავსე. თუ თვითონ არ ვიქნებით „განსაცდელისტები" და „ვაი-ვიშისტები", სურსათით მომარაგების თვალსაზრისით განსაკუთრებული არაფერია მოსალოდნელი.

სხვა საქმეა სურსათზე ფასების მატება, რომელიც 2020 წელს ინფლაციის საშუალო დონეს რამდენიმეჯერ აღემატებოდა. **სასურსათო ინფლაციის თითქმის 15-პროცენტიანი დონის მიზეზი მხოლოდ ერთი არ ყოფილა. სურსათზე ფასების მატება გამოიწვია რამდენიმე გარემოებამ, რომლებიც ერთმანეთს დაემთხვა.** საზღვრების ჩაკეტვამ განაპირობა მიწოდების მოკლევადიანი გართულება, რომელსაც დაემთხვა რეგიონებს შორის გადაადგილების შეზღუდვის გამო შექმნილი ე.წ. ლოჯისტიკური პრობლემები, რომლებმაც, თავის მხრივ, ასევე გაართულა რეგიონებიდან გასაღების ბაზრებზე სასურსათო პროდუქტების მიწოდება. გარდა ამისა, არავის გაუუქმებია გაჭირვების დროს ხელის მოთბობის „წმიდათაწმიდა" ჩვევა, რომელიც ნებისმიერი კრიზისის განუყრელი თანამგზავრია.

**სურსათის გაძვირება, შემოსავლების შემცირებით დაწეული მსყიდველუნარიანობის ფონზე გარკვეულწილად შეცვლის მოსახლეობის სამომხმარებლო ქცევებს, მაგრამ ეს სურსათით მომარაგებაში არსებული პრობლემებით არ იქნება განპირობებული.**

**— შეზღუდვების ნაწილის გაუქმებამ შეუწყო თუ არა ხელი საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებას (საბანკო გადასახადების გაუქმება, გაზრდილი საგრანტო პროგრამები და ა.შ.), ანუ „მოქალაქეებზე ზრუნვის" და „ბიზნესზე ზრუნვის" ანტიკრიზისულმა პაკეტებმა გამოიღო თუ არა სასურველი შედეგი?**

— კვლევის ფარგლებში შეფასებისთვის ავიღეთ სახელმწიფო ანტიკრიზისული პროგრამები და სიმულაციური ანალიზის მეთოდით გავიანგარიშეთ, თუ რა ეფექტი ექნებოდა ამ დახმარებებსა და შეღავათებს, **2019 წელს რომ ყოფილიყო. აღმოჩნდა, რომ მოცულობით ყველაზე მეტი კრედიტების გადავადების პროგრამაა, რომელიც შინაარსით შემოსავალი არ არის, მაგრამ ოჯახებს აუცილებელი გადასახდელებისგან ათავისუფლებს.** ანალოგიური შინაარსისაა კომუნალური ხარჯების ანაზღაურებაც, რომლებიც ასევე არაა შემოსავალი, მაგრამ ხარჯებისგან გათავისუფლებაა.

**საერთო ჯამში, მთავრობის ანტიკრიზისულმა ღონისძიებებმა არსებითად შეარბილა კრიზისის დარტყმა შინამეურნეობების შემოსავლების შემცირების კუთხით.**

აქვე აუცილებლად უნდა აღვნიშნო ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: 2020 წლის მეორე და მესამე კვარტალებში სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გამოაქვეყნა უმუშევრობის დონის მაჩვენებლები, რომლებიც იმავე სამუშაო ძალის გამოკვლევის მონაცემთა ბაზიდან არის დათვლილი, რომელიც სიმულაციური ანალიზისთვის გამოვიყენეთ. ამ მონაცემების თანახმად, **უმუშევრობის დონე 2020 წლის მე-2 კვარტალში 12,3 პროცენტი იყო, ხოლო მე-3 კვარტალში — 11,9 პროცენტი. ამ მონაცემებმა საკმაო გაუგებრობა გამოიწვია, რომელიც სრულიად ბუნებრივია, მაგრამ პრობლემა აქაც იმავე შინაარსისაა და ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში უცვლელია. ესაა სიღრმისეული ანალიზის პრობლემა.**

ინფორმაციის მომხმარებელთა უმრავლესობა მაჩვენებლის გაგებისთანავე იწყებს დამნაშავის ძებნას და არა ანალიზის მეორე, მესამე და ასე შემდეგ დონეზე გადასვლას.




**ეკონომიკის პრიორიტეტულ მიმართულებად ტურიზმის გამოცხადება სტრატეგიულად მცდარი გადაწყვეტილებაა. ეს თვალნათლივ აჩვენა 2020 წელს განვითარებულმა მოვლენებმა. ანტიპანდემიური ისტერიკის პირველი მსხვერპლი სწორედ ტურისტული ინდუსტრია გახდა**



სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული 2019 და 2020 წლების პირველი და მეორე კვარტალური გამოკვლევის მონაცემთა ბაზების ანალიზით გაირკვა, რომ **2019 წლისა და 2020 წლის მე-2 კვარტალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 6,4-ჯერ გაიზარდა იმ დასაქმებულების რაოდენობა, რომლებმაც განაცხადეს, რომ გამოკითხვის ბოლო შვიდი დღის განმავლობაში ჰქონდათ სამუშაო, რომელსაც დროებით ვერ ასრულებდნენ.** ასეთი დასაქმებულების ხვედრითი წონა მთლიანი დასაქმების 19 პროცენტი იყო, რაც მხოლოდ და მხოლოდ კორონომიკური კრიზისის ზეგავლენით შეიძლება აიხსნას. იმავე ჯგუფის ხვედრითი წონა 2019 წლის მე-2 კვარტალში მხოლოდ 3 პროცენტი იყო.

ასეთი ტიპის დასაქმებულების რაოდენობამ 2020 წლის პირველ კვარტალშიც მოიმატა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, თუმცა ისე, როგორც მე-2 კვარტალში. როგორც ჩანს, შეზღუდვების შემოღების დაწყებამ და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამ მარტში ერთობ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ეკონომიკურ აქტივობაზე და, შესაბამისად, დასაქმებაზე. ამასთანავე, საყურადღებოა, რომ ისეთი დასაქმებულების რაოდენობა, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო დროებით ვერ ასრულებდნენ სამუშაოს, 2019 წლის პირველ კვარტალში უფრო მეტი იყო ვიდრე მეორეში. დიდი ალბათობით, ეს კანონზომიერება სხვა წლებშიც აღინიშნებოდა.

დასაქმებული მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც დროებით ვერ ასრულებდა სამუშაოს კალენდარული წლის პირველ კვარტალში, მეორე კვარტალთან შედარებით ბუნებრივად უფრო მეტი იქნება. აქედან გამომდინარე, ასეთი დასაქმებულების რაოდენობის წლიური მატება 50 ათასიდან 322 ათასამდე 2020 წლის მეორე კვარტალში მხოლოდ კორონომიკული კრიზისით შეიძლება აიხსნას.

**საერთო ჯამში, რა შეიძლება ითქვას 2020 წლის მე-2 კვარტლის უმუშევრობის მაჩვენებელზე, რომელი მაჩვენებელია სწორი — 12,3 პროცენტი თუ 28,2 პროცენტი? ორივე მართალია და განსხვავება მხოლოდ ანალიზის სიღრმესა და დეფინიციის შინაარსის სწორად გაგებაშია.**

ძალიან მნიშვნელოვანია კრიზისიდან გამოსავლის რეალური სტრატეგიის შემუშავება, მისი ისევე ზუსტად და ეფექტიანად შესრულება, როგორც ანტიკრიზისული ღონისძიებების ფარგლებში მოხდა. ამისთვის აუცილებელია, რომ პოსტკრიზისული სტრატეგია იყოს ძალიან მაღალი დეტალიზაციის; მიმღებთა წრე მაქსიმალურად ზუსტად განისაზღვროს; აუცილებელია პოსტკრიზისულ საქმიანობაში სახელმწიფოს მაღალი ჩართულობა და მაღალი პასუხისმგებლობა.

დასასრულ, იმედია, რომ პოსტკრიზისული სტრატეგიის ქვაკუთხედი არ იქნება ტურიზმი, რომელიც ყველაზე უფრო მოწყვლადი სექტორია.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

* * *

**რედაქციისაგან: ბატონი ნოდარ კაპანაძე დაგვპირდა, რომ ანალიტიკურ წერილს კორონაპანდემიით ქვეყნისთვის მიყენებული ზარალის შესახებ რამდენიმე დღეში მოგვაწვდის.**



**ძალიან მნიშვნელოვანია კრიზისიდან გამოსავლის რეალური სტრატეგიის შემუშავება, მისი ისევე ზუსტად და ეფექტიანად შესრულება, როგორც ანტიკრიზისული ღონისძიებების ფარგლებში მოხდა. ამისთვის აუცილებელია, რომ პოსტკრიზისული სტრატეგია იყოს ძალიან მაღალი დეტალიზაციის; მიმღებთა წრე მაქსიმალურად ზუსტად განისაზღვროს; აუცილებელია პოსტკრიზისულ საქმიანობაში სახელმწიფოს მაღალი ჩართულობა და მაღალი პასუხისმგებლობა**

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენი საზოგადოება ჯერ კარგა მანძილზე უკანა დგას დაწინაურებულ ერთა საზოგადოებაზე და იმიტომ შეუძლიან, იქ ყოველგვარმა რეგვენმა აზრმა, რეგვენმა კაცმა ინავარდოს“.**

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

# ივანიშვილი მართლა წავიდა თუ «მშვიდობით არა, ნახვამდის...»?

**„ჭეშმარიტი ღირსება საქმითა თვისითა ჰღაღადებს მხოლოდ და არა ყვირილითა და დაფა-ზურნითა“, — ხალხის წიაღში აღმოცენებული და ილიას მიერ გაჟღერებული ეს სიბრძნე დღეს რამ გამახსენა, ძნელი მისახვედრი არ არის, თუმცა ჩვენ გარშემო ისეთი ადამიანებიც მრავლად მოიძებნებიან, რომლებიც ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლასა და ქველმოქმედების მიზნით საკუთარი მილიონების დათმობას ღირსეულ საქციელად არ მიიჩნევენ და, საქილიკოდ და სალანძღავად შემართულებს, ნაკლებად აინტერესებთ, რამდენად წაადგება მათ საცოდავ ქვეყანას ივანიშვილის მილიონები, მაშინ, როცა თვითონ პოლიტიკური ქულების დასაწერად მშიერი და ნაგვის ურნებში გადაყუდებული ადამიანების ცოდვით ვითომდა გული აქვთ დათუთქული. ეს, რა თქმა უნდა, ულირსი საქციელია, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთია ჩვენი „სახელმწიფოებრივად მოაზროვნე“ და „პასუხისმგებლობის მქონე“ „გაერთიანებული ოპოზიცია“.**

ილიას პუბლიცისტური წერილების მიმოხილვასა და თანამედროვეობასთან მათ დაკავშირებას ჩვენ არა ერთი და ორი წერილი მივუძღვენით, მაგრამ ილიას გაკვეთილებს შედეგი მხოლოდ ბეჯითი მოსწავლეების შემთხვევაში შეიძლება მოჰყოლოდა და არა მათ ხელში, ვინც უდიერად ეპყრობა ეროვნულ განათლების სისტემას და ნაკლებად ფიქრობს მის სრულყოფასა და დახვეწაზე. ამ თემას უფრო დაწვრილებით მომდევნო პუბლიკაციებში შევეხებით. ამჯერად კი ვაჟა-ფშაველას მოვუსმინოთ:

* „კაცის საქმე თავის ქვეყნის რგებაა; თუ თავის ქვეყანას არგებ, მაშინ კაცობრიობისთვისაც სასარგებლო იქნები, თუ არა და, სულ ტყუილია, ვინც კაცობრიობის ერთგულია, ის მუდამ ერთგულია თავის ქვეყნისა, — იგი მუდამ სცდილობს, თავის ქვეყანაც იმ განათლების ზომაზე დააყენოს, რა ზომაზედაც სხვა განათლებული ქვეყნებია, რომ სხვებთან იმის ქვეყანასაც შეეძლოს ისარგებლოს იმ მადლითა, რასაც ბუნება აძლევს“ *(„წერილები მეგობართან“).*

*** „აზრსაც იმის მიხედვით აქვს ბაზარი და გასავალი, რამდენადაც მტკიცენი და შეუპოვარნი არიან მისი მტვირთველნი, რამდენიც მეტი წამებული ჰყავს. ყველა ჯურის აზრი, სოციალურია თუ სარწმუნოებრივი, იმის მიხედვით იმარჯვებს, თუ რამდენად ნიადაგი აქვს განხორციელებისა და რამდენად თავგამოდებულნი მომხრენი ჰყავანან“** ***(„წერილები მეგობართან“).***

*** „კერძო კაცი და საზოგადოება, ერთხელ რა მსჯელობას დაჩვეულა, იმას მისდევს, თუნდა უხეირო, უვარგისი იყოს ეს მსჯელობა; მისდევს იქამდის, ვიდრე სხვაგვარს მსჯელობას არ შეეჩვევა...“** ***(„წერილები მეგობართან“).***

* „ერს დააბერებს მხოლოდ მონობა, ისეთი ცხოვრების პირობები, როცა მას საკუთარი ნების, ძალ-ღონის გამოჩენის საშუალება მოესპობა“ *(„ზოგი რამ ფიქრებიდან“).*

დღეს **სად არის ზღვარი კერძო და საზოგადო ინტერესს შორის?**

**დღეს უტიფრობაა პოლიტიკური ბრძოლის ინსტრუმენტი, რომელსაც** მავანი საზოგადოებრივ აზრზე ფსიქოლოგიური შტურმისთვის იყენებს.

„საფრთხე საბოლოოდ განეიტრალებულია და შემიძლია, მშვიდად გავეცალო პოლიტიკას“, — ბრძანა ივანიშვილმა, მაგრამ ასე არ ფიქრობს ხალხი, რადგან ამ ქვეყანაში ქართველ ხალხს მშვიდად ცხოვრების პირობები არ აქვს! არ აქვს თუნდაც იმიტომ, რომ უმუშევრობასა და სიღატაკეს დაემატა ლარის ინფლაცია, კორონაპანდემია და მისგან გამოწვეული მთელი რიგი პრობლემებისა; ქვეყანაში მძვინვარებს სიცრუესა და ტყუილზე დაფუძნებული პროპაგანდა.

მიუხედავად იმისა, რომ ფეიკნიუსების პრობლემა მთელ ცივილიზებულ სამყაროს აწუხებს, საქართველოში მან წარმოუდგენელ მასშტაბს მიაღწია. ფაქტებით მანიპულაცია, ტყუილი და ცილისწამება ზოგიერთი მედიასაშუალების სარედაქციო პოლიტიკის ამოსავალ წერტილად გადაიქცაო, — ასე ფიქრობს ივანიშვილი და შეუძლებელია, არ დაეთანხმო. მაგრამ ის, რომ მან თავისი მისია შეასრულა და მის მიერ დაკომპლექტებული გუნდია სწორედ ის ძალა, რომელიც „მოსწმენდს ერსა ტანჯვის ცრემლსა“, ცოტა არ იყოს, ძნელი დასაჯერებელია, რადგან ძლიერ პოლიტიკურ გუნდს, რომელსაც ყველა პრობლემასთან შეჭიდება შეუძლია, არავინ დატოვებს. ხალხს ისიც კარგად ახსოვს, მის მიერ ხელისუფლებაში მოყვანილმა არა ერთმა პოლიტიკოსმა მასაც და ამომრჩეველსაც როგორ გაუცრუა იმედი. ასე რომ, არა გვგონია, ბელადი „ამაყი და გამარჯვებული“ წავიდა...

წავიდა თუ „მშვიდობით არა, ნახვამდის...“?

თუ მართლა ძლიერი პოლიტიკური გუნდი დატოვა, მისთვის საჭირო არც კია ბელადი. აი რას წერს ამის თაობაზე დიდი ვაჟა-ფშაველა:

**„როგორც ჯარს ღონეს აძლევს ის გარემოება, როცა თითოეულს მეომარს ესმის, რისთვისაც იბრძვის, როცა თითოეული ჯარისკაცი შეგნებულია, თავაზიანი, ისე ცხოვრება ერისა უკეთესად წავა მაშინ, როცა ბრმად კი არ მისდევს მოწინავე წოდებას ერი, არამედ ესმის, რისთვისაც მისდევს და სადაც მიდის, რისთვისაც ჰხარჯავს ძალ-ღონესა და ხშირად სისხლსაცა ჰღვრის. ყოჩაღის, შეგნებულის ჯარისკაცისაგან შემდგარის მხედრობისათვის მაგრერიგად საჭირო არც კია ბელადი;** ყველა იმათგანი ბელადია; მოკლულის ადგილას სხვა დგება ბელადად. ამისთანა მხედრობა ან გაწყდება და ან გაიმარჯვებს“

(„წერილები მეგობართან“). ამისთვის კი ერთი რამაა საჭირო: „ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება“(გურამ დოჩანაშვილს დავესესხები) და მთელი ხმით ყველას გასაგონად ვიყვირებ ფშაველი მგოსნის ამ სიტყვებს:

**„ღმერთო, შეაყვარე ქართველს ქართველი და საქართველო, რადგან ამ უკანასკნელს არა დაუშავებია რა“.**



## «ჭეშმარიტი ღირსება საქმითა თვისითა ჰღაღადებს მხოლოდ და არა ყვირილითა და დაფა-ზურნითა»

მართლაცდა, რა დააშავა საქართველომ, ამ ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტოვანმა ქვეყანამ, რომ ვერა და ვერ ეღირსა სიმშვიდე, ნორმალური ცხოვრება, ღირსეული ადგილი სხვა სახელმწიფოების გვერდით... ვინ უნდა იზრუნოს ამაზე თუ არა ქართველმა? არადა, უნდა ამას სერიოზულად დაფიქრება, ასჯერ გაზომვა და ერთხელ გაჭრა, რადგან, „სამართლით რომ ვსთქვათ, ენა უფრო ცოდვიანია ფიქრზე: ფიქრს რა ცოდვა აქვს, მანამ საქმედ არ გადაიქცევა? არაფერი. შემწყვდეული ერთს ძვლის კოლოფში, ფიქრი ფიქრობს თავისთვის, ჩუმად. **კაცის ფიქრი, რასაკვირველია, კოწიწობს, რაღაც კოშკებს აშენებს, მერმე ისევ არღვევს, მაგრამ არც ასაშენებელი მასალის ჩქამი-ჩქუმი ისმინა შესვენების დროს და არც დარღვევის ჩხრიალ-გრიალი** *(ვაჟა-ფშაველა, „ფიქრიანი“).* ჰოდა, სახელმწიფო საქმეების კეთება ჩვენც სწორედ ამ ჩამი-ჩუმისა და ჩხრიალ-გრიალის გარეშე უნდა ვისწავლოთ, მაგრამ **„ჩვენი საზოგადოება ჯერ კარგა მანძილზე უკანა დგას დაწინაურებულ ერთა საზოგადოებაზე და იმიტომ შეუძლიან იქ ყოველგვარმა რეგვენმა აზრმა, რეგვენმა კაცმა ინავარდოს“.**

## ცოტა რამ ჩვენი ცხოვრების ავ-კარგისა

### (ზოგადი შენიშვნები)

**აზრის წარმოთქმა რომელიმე საგანზე თვით საგნის შეუსწავლელად და შეუგნებლად მხოლოდ რეგვენს ადამიანს შეუძლიან**. რეგვენი, უმეცარი ადამიანი მსჯელობაში მუდამ თამამია, გაბედული. იმას, თუ ცოტა ოდნად აქვს ძალ-ღონე მსჯელობისა, ოდნავ მაინც ამოძრავებს გონებას და რაიმე აზრმა გაურბინა თავში, მაშინვე თავის თავი წარმოუდგება თვალწინ და თამამად იტყვის: ჰა, ვიპოვე, ნამდვილია! სწორედ ასეა. მაშ რად მომივიდა თავში ეს ფიქრი, თუ კი ნამდვილი არაა?! „მომივიდა ფიქრად“ იმისთვის სრულიად საკმაოა სიმართლის, სინათლის სათქმელად და დასამკვიდრებლად.

**დიაღ, „მომივიდა ფიქრად“-ო, ამან ძალიან განზე გაშალა ჩვენში ფეხები: მოუვიდა ერთს ფიქრად, პოეტი უნდა ვიყოვო და გახდა კიდეც; მოუვიდა მეორეს ფიქრად გაისტორიკება, გაისტორიკდა. მოუვიდა მესამეს ფიქრად, უნდა საქართველოს საქმეთა მოთავედ გავხდეო, გახდა. მაშასადამე, „ფიქრად მოსვლას“ ძალ-ღონე ჰქონია? აქვს და მაგრე!**

ფიქრად მოსვლა შეიცავს წადილს, ნდომას; **თუ კაცმა არ მოინდომა, ვერაფერს გააკეთებს;** ეს ცხადია: კოლუმბს, რომ ფიქრად არ მოსვლოდა კიდევ სხვა ქვეყანა უნდა არსებობდესო გარდა იმ ქვეყნებისა, რაც იმ დროის კაცობრიობამ იცოდა, ხომ არ ამოაჩენდა ამერიკას? ჰო, ეს მართალია, მაგრამ ის კოლუმბი იყო და ჩვენებური კოლუმბები სხვა ჯურის კოლუმბებია, **ფიქრად არა კმარა მარტო, ფიქრს უნარიც უნდა შესწევდეს. ამას ესენი არ დაგიდევენ, რადგან მარტო „ფიქრად მოსვლაა“ საჭირო და სხვა არა-რა. რადა? მადა, რომ უკაცრავად თუ არ ვიქნები ამ სიტყვაზედ, ჩვენი საზოგადოება ჯერ კარგა მანძილზე უკანა დგას დაწინაურებულ ერთა საზოგადოებაზე და იმიტომ შეუძლიან იქ ყოველგვარმა რეგვენმა აზრმა, რეგვენმა კაცმა ინავარდოს.**

**როცა საზოგადოებას მართალი სასწორ-საზომი არ უჭირავს ხელში და, ნუ, უკეთ რომ ვსთქვათ, სრულიადაც არ მოეპოვება ისინი, რა თქმა უნდა იმისთანა საზოგადოებისაგან ფულისა და გულის მოგება ადვილია:** გირვანქა შეგიძლიან ათ გირვანქად ამუშავო, გოჯი – ადლად.

ეს „ფიქრად მოსვლა“ კიდევ რაც არის – არის, ჯანდაბას იმისი თავი და ტანი, უბედურება ისაა, ხანდახან მის ადგილს იჭერს **ფიქრის ჩაძახება**. ჩასძახებ და ამოგძახებს ქვევრივით. ნუთუ ეს კი ცუდი თვისებაა კაცის გონებისა, რომ სხვის ფიქრი მიიღოს, გაიზიაროს?! ესეც ისევ კაცზეა დამოკიდებული: იმ ჯურის ადამიანთათვის, რომელიც ზევით მოვიხსენიეთ, მეტად საშიშად მიგვაჩნია: **ამ გვარს ხელს შეიძლება მადლიანმა კაცმა მრავალი მადლი ჩაადენინოს, მაგრამ უმადურმა და უმადლომ კი მრავალი ცოდვა, ბევრი სამავნეო; ამგვარი კაცნი სხვის ხელში იარაღად ხდებიან, მუშაობს იმათის საშუალებით. სხვა, ერთი, ან ორი ადამიანი სჩარხავს თავის საქმეს, ბევრს შემთხვევაში, უკუღმართს, ქვეყნისთვის საზარალო, საზიანოს. ისინი მაინც საიმედონი არ არიან, არ არიან იმიტომ, რომ დღეს აგებულს ციხეს ხვალ წიხლსა ჰკრენ და დაშლიან. გუშინ ვისაც „ვაშა“-ს მიუძღვნიდენ, დღეს იმაზე „ჯვარს აცვითო“ იძახიან. რატომ? მიტომ, რომ დღეს სხვამ სხვა ფიქრი ჩასძახა.**

**ნუ გგონიათ ეს „ფიქრმოსული“ და ეს „ფიქრჩაძახებული“, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, ბრბო იყოს უსწავლელი, უმეცარი. არა, ისინი თავიანთ თავს „ინტელიგენციას“ ეძახიან. ეხლა თქვენ იფიქრეთ, თქვენ თითონ ივარაუდეთ, რა აზრს შეიმუშავებს ამგვარი ინტელიგენცია თავის ქვეყნის შესახებ, ან რა გზას აირჩევს სავალად? იმათ ვერ მოვთხოვთ ვერაფერს პროგრამას მოქმედებისას, გარკვეულს შეთანხმებულს ჩვენის ცხოვრების საჭიროებასთან. ვერ მოვთხოვთ იმათ აგრეთვე აზრს, იდეას მართლა ჩვენის ქვეყნის სასარგებლოს და გამოსადეგს,** რადგანაც, თუ რამ უსწავლიათ, უფრო სხვა ერთა ცხოვრებისა, ისტორიისა, ვიდრე თავისა.

რა აზრი მოეთხოვება ამგვარს ინტელიგენციას, როდესაც მან არ იცის წარსული თავის ერისა, არ იცის თვისება, ლტოლვილება იმის სულისა და გულისა, — არ იცნობს მის გონებრივს აგებულობას, არ იცის, საზოგადოდ რომ ვსთქვათ, მისი სოციალ- ▶

**«ის, რომ მან თავისი მისია შეასრულა და მის მიერ დაკომპლექტებული გუნდია სწორედ ის ძალა, რომელიც „მოსწმენდს ერსა ტანჯვის ცრემლსა», ცოტა არ იყოს, ძნელი დასაჯერებელია, რადგან ძლიერ პოლიტიკურ გუნდს, რომელსაც ყველა პრობლემასთან შეჭიდება შეუძლია, არავინ დატოვებს. ხალხს ისიც კარგად ახსოვს, მის მიერ ხელისუფლებაში მოყვანილმა არა ერთმა პოლიტიკოსმა მასაც და ამომრჩეველსაც როგორ გაუცრუა იმედი. ასე რომ, არ გვგონია, ბელადი «ამაყი და გამარჯვებული» წავიდა...**

„როცა საზოგადოებას მართალი სასწორ-საზომი არ უჭირავს ხელში და, ნუ, უკეთ რომ ვსთქვათ, სრულიადაც არ მოეპოვება ისინი, რა თქმა უნდა იმისთანა საზოგადოებისაგან ფულისა და გულის მოგება ადვილია: გირვანქა შეგიძლიან ათ გირვანქად ამუშავო, გოჯი – ადლად“.

მწვანე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ამ ვაჟბატონებმა ჯერ ის უნდა იცოდენ, რომ ერი შაერთებულად გენიოსია»






## «ისინი თავიანთ თავს «ინტელიგენციას» ეძახიან. ეხლა თქვენ იფიქრეთ, თქვენ თითონ ივარაუდეთ, რა აზრს შეიმუშავებს ამგვარი ინტელიგენცია თავის ქვეყნის შესახებ, ან რა გზას აირჩევს სავალად? იმათ ვერ მოვთხოვთ ვერაფერს პროგრამას მოქმედებისას, გარკვეულს შეთანხმებულს ჩვენის ცხოვრების საჭიროებასთან. ვერ მოვთხოვთ იმათ აგრეთვე აზრს, იდეას მართლა ჩვენის ქვეყნის სასარგებლოს და გამოსადეგს»

◀ური ყოფა-მდგომარეობა?! ამიტომ უცხო ერთა ცხოვრებაზე დაწერილის აზრს, მაშასადამე, ჩაძახებულს ფიქრს იმეორებს, აზრებშიც გარჩევა როდი იციან: საპირადო, საოჯახო, კერძო აზრი საერო, საქვეყნო აზრად მიაჩნიათ. ქაიხოსროს მეცხვარე სჭირდებაო და უსათუოდ, მთელო საქართველოვ, უნდა თავსამტვრევად გაიხადო ეს საგანი — სესია ურჩევნია ქაიხოსროს მწყემსად თუ ბესია?! სხვა აზრი, სხვა ფიქრი რაღა საჭიროა ქვეყნისათვის. ამ საგანს უნდა მიაპყროს მთელი ძალა სულისა და გულისა. **თუ ქვეყნისთვის ჰზრუნავ, თუ გინდა, საქვეყნო საქმე აკეთო, შე კაი კაცო, უნდა თვით საგანი იყოს საქვეყნო; ქაიხოსრო ქვეყანა არ არის და არც სესია, ბესია წარმოადგენს საზოგადოებას; არც მწყემსობაა ისეთი შესანიშნავი და საძნელო რამ, მთელმა ქვეყანამ იმაზე იფიქროს. სულ სხვა საქმეა, პრეზიდენტად რომელი აჯობებს, სესია თუ ბესია. პრეზიდენტობა საქვეყნო საქმეა და საქვეყნო საქმის მმართველად ვინა გინდა არ გამოდგება, იმას ქვეყანა სთხოვს თანხას გონებრივს და ზნეობრივს; თუ ერთი ამათგანი აკლია, მაშინ უნდა თავისთვის იჯდეს კერაზე და არ ეჩხირებოდეს საქვეყნო საქმეში.** ან კი ვინ ჩასჩხირავს? ვინ დააყენებს იმას ქვეყნის საქმეთა მმართველად და მესვეურად? თუ დააყენებენ, ისევ ფიქრმოსულნი, ფიქრჩაძახებულნი და არა საკუთარს ჭკუით მომქმედი ხალხის კრებული.

ამავე ფიქრმოსულმა „ინტელიგენციამ“ მოიგონა ვითომდა ახალი აზრი: მეზობელ ერთან კეთილი განწყობილება ვიქონიოთო. ერთი ჰკითხეთ, როდის არა ჰქონია საქართველოს კეთილი განწყობილება ამ მეზობელ ერთან? ან როდის და ვის უფიქრია იმათი გაძევება საქართველოდამ ან გაჟლეტა?! ჯერ ურიები, დევნილნი მთელს ევროპაში, თავშესაფარს მხოლოდ საქართველოში პოულობდენ და ეს მეზობელი ერი ხომ დიდი ხანია, რაც ჩვენი მეზობელია და ჩვენ იმისი. ხოლო მეზობლობის წესს რომელიც დაარღვევს, იმას კი განსამართლება, განსჯა უნდა და არა ყვირილი: „მეზობლები ვართ, მეზობლებიო!“ ვერაფერი ერის აღმზრდელი აზრი გახლავთ. ეს, იცით, რასა ჰგავს? კაცსა სცემდე და იმას უყვიროდე, ხელი არ გაიქნიო, ხელი არ გასძრა, ხუმრობა საქმე არ არის, მაღლიდამ ღმერთი ჰხედავს მტყუანსა და მართალსა!.. ამგვარი აზრების ქადაგებას არა უშავდა რა კიდევ, რომ ისეთის სხივით არა ჰმოსავდენ, თითქოს ქვეყნის წყლულთა წამალი მხოლოდ ეს არის და სხვა არარა, რომ მთელი ქვეყნის ფიქრს არ აშორებდენ უმთავრესი აზრიდამ, საგნიდამ და არ აცდენდენ ამ ასკუპდი-გადასკუპდის ცქერაში. **ამ ვაჟბატონებმა ჯერ ის უნდა იცოდენ, რომ ერი შაერთებულად გენიოსია, იმას შაიძლება გარკვევით არ ესმოდეს თავისი მდგომარეობა, მაგრამ უეჭველია, რომ გრძნობს კი. ან ეს რა ლოღიკაა: შეაძულო ან შეაყვარო რომელიმე ერი ან ცალკე პირი წერით ან ქადაგებით? ეს მხოლოდ მაშინ შაიძლება, როცა თვით ერს არა აქვს იმ ერთან ან იმ ცალკე პირთან დამოკიდებულება; შესთხზა ფაქტები დიდებისა და ძაგებისა და ამით ჩაჰრგო ერის გულში ის გრძნობა, რომელსაც შენ ელტვი, მაგრამ იქ კი, სადაც ერი თავის თვალითა ჰხედავს და მთელის თავის სხეულითა ჰგრძნობს, განძრახ „აზრების“ თესა ამაოდ დროს დაკარგვაა.** ნუთუ

## «თუ ქვეყნისთვის ჰზრუნავ, თუ გინდა, საქვეყნო საქმე აკეთო, შე კაი კაცო, უნდა თვით საგანი იყოს საქვეყნო»

იმათ არა ჰსმენიათ ჯერ ხალხური ლექსი, თვით ერის სიმღერა – „სიყვარული არ იქნება ძალითა“, რომელიც შაიძლება ასე შევცვალოთ „სიმძულვარეც არ იქნება ძალითა!“. ერთის სიტყვით რომ ვსთქვათ, ამ „ფიქრ მოსულთა“ ყოფა-ქცევა სწორედ ცხოველთა დამცველ საზოგადოების მისწრაფებას მაგონებს. იქნება მკითხველს არც კი უფიქრია როდისმე, რა დაფარული აზრი აქვს ამ საზოგადოებას, ცხოველთა შემბრალეს, მცველს და მფარველს? აი რა: კაცთა საზოგადოება ყოველი მხრიდამ დაფარული და დაზღვეულია, იქ ბედნიერება სდუღს და გადმოდის, მხოლოდ შთენილან უმწეოდ, უპატრონოდ პირ-უტყვნი, რომელთაც უნდა ვექმნედ მცველად და პატრონადო.

მეტიღა იქნება ქვეყნისთვის თვალების ახვევა?

ზოგი ჭირი მარგებელიაო, ნათქვამია. ეს ანდაზა სწორედ ჩვენს დამოკიდებულებას შაეფერება ამ მეზობელ ერთან. ქართველი ერი იმ თავიდამ მხვნელ-მთესველი ერია, მისი ძალ-ღონე დამოკიდებული იყო პურ-ღვინოზე და მათ მასაზრდოებელს დედამიწაზე. მართლაც, **დედა-მიწა დიდი საუნჯეა ერისათვის, უტერიტორიოდ ერი ვერაფერი ერია, მის სიცოცხლეს მუდამ საფრთხე მოელის, საეჭვოა მისი მომავალი. როგორც უწყლოდ თევზი ვერ გასძლებს, ისე უტერიტორიოდ ერი. ჩვენი ძლიერება სწორედ ამაშია, დღეს კიდევ ამით უნდა მოგვწონდეს თავი, რომ მიწა-წყალი შევინარჩუნეთ.** ერთის მხრივ თუ მამული გვეტყვის მადლობას ამისთვის, არ მომიძულეო, და არ დაიქსაქსენითო: მეორეს მხრით იმასვე უნდა ერთი ათად დაუბრუნოთ ეს მადლობა: ჩვენც დიდად გმადლობთ, რომ თავი შეგვაყვარე, ვერ გაგიმეტეთ დაგვეტოვებინე, დავქსაქსულიყვენით აქეთ-იქით.

მაგრამ მაგარი ის არის, ამ ბოლო დროს ფულმა ყელი მოიღერა, გათამამდა, ფულის პატრონნი თითონ დაგვიდგინეს ნიხრი მიწის ნაწარმოებისა. ამ ამბავს ჩვენმა ხალხმა კარგა ხანს ყური უგდო, ყური უგდო და ბოლოს გულიც მოუვიდა. ფული ძალა ყოფილაო იფიქრა, მერე ისეთი ძალა, რომელიც თავის ქეიფზე ათამაშებს მიწის მუშას და იმის ნაწარმოებს. მაშასადამე, ჩვენც უნდა ვეცადნეთ ეს ძალა შევიძინოთ, რომ სხვას არ გავეთელინოთ, არ გავესრესინოთო. ესენი „ფიქრ მოსულნი“ კი არა, უკვე ფიქრიანი ხალხია. დაარსდა ამ აზრით ღვინის მოვაჭრეთა საზოგადოება და არსდება კიდევ სხვა საკომერციო საზოგადოებანიც. ხომ აშკარაა ყველასთვის, რომ ეს კეთილი საქმეა, სახელიანიც და სახრავიანიც. თითქმის დღეს ყველა შაგნებული ქართველი ამას იძახის: უნდა გავმდიდრდეთ, უნდა სიმდიდრე შევიძინოთ, უამისოდ ფონს ვერ გავალთ, ხსნა არ არის! ეს ნამდვილია, მოსაწონი, მაგრამ არ იქნება თუ არ ვსთქვი: **ვეცადნეთ ფულის შეძენას მხოლოდ ისე კი, რომ ჩვენი ეროვნული იდეალი არ წავწყმიდოთ, სახსარი, ანუ საშუალება მიზნად არ გავიხადოთ და ის აზრი, რომელიც ჩვენმა ერმა უნდა განახორციელოს, მისი წადილი „ჩოთქზე“ არ ჩამოვარჩოთ.**

ჩვეში ამასაც ხომ ამბობენ, მაგრამ ზოგები იმასაც გაიძახიან გაზეთის პირით, რომ: „სიმდიდრეს უფრო ბევრი ადამიანი დაუღუპია, ვიდრე სიღარიბესო“. ეს რომ ნამდვილი არ იყოს და მართლა სიღარიბე სჯობდეს სიმდიდრეს, ხომ კაცობრიობა სიმდიდრისთვის თავს აღარ აიტკივებდა. პროგრესი სიმდიდრემ დაბადა და პროგრესმა ხომ წინ წამოაყენა იდეა სათნოებისა, ძმობისა, ერთობისა, ერთხმობისა და სიყვარულისა, რაიც არ ძალუძს სიღარიბეს. სიღარიბე განხორციელებული უძლურებაა, გოდებაა, მომასწავებელი ყოველ გვარის უბედურებისა: მონებისა, გინა ავაზაკობისა და სხვა გვარის ბეჩაობისა. **ღარიბი ქონებით ერი, უნდა ვიცოდეთ დაჭეშმარიტებით, რომ ყველაფრით ღარიბია და ამიტომ არც არის რაშიმე საიმედო და ხელსაყრელი.**

საუბარმა მიგვიყვანა იქამდის, რომ არ შაიძლება ცოტა რამ განათლებაზედაც არა ვსთქვათ, ჩვენის ახალთაობის აღზრდაზედ. მომავალი ქვეყნისა იმათზეა დამოკიდებული. როგორიც შვილები ექმნებიან ჩვენს ქვეყანას, ისე წავა იმის საქმეც: უხეირონი იქნებიან — ქვეყნის ბედიც უხეიროდ ივლის და ხეირიანები იქნებიან, რა თქმა უნდა, ხეირიანად წაჰმართავენ ქვეყნის საქმეს.

## «რეგვენი, უმეცარი ადამიანი მსაჯულობაში მუდამ თამამია, გაბედული»

დღეს აქამომდე ასე იყო და კიდევაც არის, თუმცა კი ამ აზრს შეგნებულის საზოგადოების გონებაში საძირკველი შაერყა, რომ შვილს იმიტომ ასწავლიან მშობლები, „მოხელე“ გამოვიდეს. რაც უფრო დიდ ჯამაგირიან ადგილს იშოვის იმათი შვილი, მით მშობლებიც და შვილიც მომეტებულად ბედნიერია. რაკი სწავლას ასეთი კომერციულის თვალით უცქერიან, რა თქმა უნდა, იმას ამისთანა ხალხის თვალში საკუთარი ძალა და ღირსება დაკარგული აქვს: ოღონდ ჯამაგირი აიღე „ჩინონიკი“ გერქვას და თუნდ ინჩიც არ იცოდე, არაფერი უშავსო. აქ ისიც იგულისხმება: მხოლოდ თავის თავს კი არგე, ჯანდაბას ქვეყანაც და მისი სატკივარიო. იგულისხმება იმიტომ, რომ **რის მაქნისია უსწავლელი, უბირი ადამიანი? რას არგებს ის ქვეყანას? როგორ შაიტყობს იგი ქვეყნის წყლულს, ქვეყნის საჭიროებას, თუ კი თვალები ახვეული ექნება?**

ამ გვარად შვილების გაბედნიერებას, ვიმეორებ, ამ ოცი და ოცდაათის წლის წინად უფრო დიდი ბაზარი, ფართო მოედანი ჰქონდა სანავარდოდ. დროებაც იმისთანა იყო, მშობლებსაც მეტი არ მოეთხოვებოდათ. დღეს კი ბევრი იმათგანი დარწმუნდა, რომ „ჩინონიკობა“ ვერც მაგრე რიგად ამდიდრებს კაცსა და არც ისეთი საპატიო ხელობა ყოფილა, როგორც იმათ ეგონათ და ამიტომ დღეს ესენივე რომელიმე მოშაირის გახეხილს „სერთუკს“ უფრო თვალებს აშტერებენ, ვიდრე გენერლის „მუნდირს“.

**ვაჟა-ფშაველა**

მისი უდიდებულესობა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მას შემდეგ, რაც დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, ჩვენს ქალაქებში საკომუნიკაციო ქსელების რემონტი არ ჩატარებულა. ამის გამო გვქონდა შემთხვევები, როცა გრუნტსა და რკინაბეტონის ფილას შორის 50-60 სანტიმეტრის სიცარიელეები, კავერები, ღრმულები გაჩენილა მიწისქვეშა წყლების ზემოქმედებით.**

„არც უწიგნურობა ვარგა და არც მარტო წიგნიერებიდან გამოხედვა“.

*ილია ჭავჭავაძე*

# ცოტაც და თავზე დაგვემხობოდა, ანუ საშობაო ამბავი

**თბილისში, ფიქრის გორაზე, იქ, სადაც იაკობ ნიკოლაძის ქუჩას სოფიკო ჭიაურელის ქუჩა უერთდება, დგას ექვსსადარბაზოიანი, 110-ბინიანი სახლი №5-ა, რომელშიც იმდენი მოქალაქე ცხოვრობს, რამდენსაც რადიკალური ოპოზიცია თავის მრავალათასიან მიტინგებზე ვერ აგროვებს.**

შენობის აგება 1975 წელს დასრულებულა, ანუ საქართველოს დამოუკიდებლობამდე საკმაო ხნით ადრე. მალევე გარკვეულა, რომ კატასტროფულად ავარიული იყო და არავინ უწყოდა, როდის დაემხობოდა თავზე აქ მცხოვრებ ადამიანებს. იცოდა ყველამ, მაგრამ არავინ აქცევდა ყურადღებას, და ისიც ყალიბდებოდა, როგორც ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის არაადეკვატურობის საჩვენებელი მაგალითი, რომელსაც, როგორც გაკვეთილს, არ ითვალისწინებდა ახალი დემოკრატიული სოფლის მშენებელი ელიტა.

და სანამ ახალგაზრდა დემოკრატები დაბერებული თიმსალ მაკოს მონდომებით წყლის ზედაპირზე ფიწლით გვიხატავდნენ აყვავებული ქვეყნის მომავალს;

**სანამ** ე.წ. პოლიტიკოსები ამომრჩევლებს ამისტებად და იმისტებად თავიანთ სახანოებში ინაწილებდნენ, ხოლო „სრტინგერი“ ტელეჟურნალისტები მშობლიურ ენას პირდაპირ (ღია, თავისუფალ და ნაყიდ) ეთერებში ორლობის უნივერსიტეტებში ნასწავლი ქართულით ათანამედროვებდნენ;

**სანამ** კორუფცირებულთა ერთ „კლასტერს“, მეორე ენაცვლებოდა — „უფრო დიდი და ჩახჩახა“;

**სანამ** კოვიდ-19-ის ვირუსი გახდებოდა ჩვენი დარჩენაამოწყვეტის კონსტიტუცია;

თრიალეთის ქედის განშტოებათა კალთებიდან წამოსული გრუნტის წყლის წყაროები, ნაკადულები, ღელეები და წვიმით ადიდებული მიწისქვეშა მდინარეები ამ სახლის საძირკველს ისე რეცხავდნენ, როგორც ბაზრობების „ბრენდული“ საქონლით მოვაჭრე დახლიდარები ჩვენს საოჯახო ბიუჯეტებს;

ეს სახლი ჰაერში გამოკიდებული რჩებოდა, როგორც ანტიგრავიტაციული ძალების ანომალიური მოვლენა დედამიწაზე, ხოლო საზოგადოებრივ გონს ნეგატივიზმზე აწყობილი „აქტუალური პრობლემები“ ღრღნიდა და ბურღავდა.

**ახლა კი ალეგორიების ამ „ტანცპლაშჩადკას“ ავარიული სახლის გადარჩენის სამუშაოების მწარმოებელი სამშენებლო ფირმა „არქიტრავის“ (მთავარ კოჭს ნიშნავს) ხელმძღვანელი ირაკლი ახალაძე გასაგები ქართულით გაგვიშიფრავს:**



ირაკლი ახალაძე

— ჩვენ ვმუშაობთ ავარიული კორპუსების გამაგრება-გაძლიერებაზე, მათი ექსპლუატაციის გახანგრძლივებაზე.

ამ სახლის მცხოვრებთა ამხანაგობამ დახმარებისთვის მიმართა დედაქალაქის მერიას, რომლის სპეციალიზებულმა ლაბორატორიამ შეისწავლა შექმნილი ვითარება. შენობას ავარიულობის ხარისხი მიენიჭა, დაგვიკვეთეს პროექტის მომზადება და სამუშაოს შესრულება, გავიარეთ ექსპერტიზა და საქმეს შევუდექით.

**მაგრამ, როგორც ყოველთვის, გამაგრებითი სამუშაოების შესრულების პროცესში დამატებითმა სიძნელეებმა იჩინა თავი: რკინაბეტონის ფილა, რომელზეც შენობა არის დასაძირკვლებული, გარკვეულ ფრაგმენტებში სრულად აბსორბირებული, არმატურაამოყრილი იყო, რაც გამოყენების მიზეზით ხდება ხოლმე. სამუშაოს მოცულობა ამიტომაც გაიზარდა და შესრულების ვადაც გაიწელა.**

— ეს პრობლემა თბილისში იშვიათი არ არის. შენობის ბალიანობის გაზრდა არსებული ნორმატივით ჩვენ არ გვევალება. ეს სახლი 8-ბალიან მიწისძვრაზე არის გათვლილი, მაგრამ ამ დონეზე მისი გაყვანა ამჯერად არარენტაბელურია: მოსახლეობას დისკომფორტი უნდა შეუქმნა, დროებით, მაგრამ მაინც უნდა გაასახლო (რაც ფული ღირს); გამაგრებისთვის საჭირო ხარჯი, სულ ცოტა, ორჯერ გაიზრდება. **თუნდაც ერთი ბალით შენობის მდგრადობის გაძლიერება ძალიან დიდ თანხასთან არის დაკავშირებული.**

**მას შემდეგ, რაც დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, ჩვენს ქალაქებში საკომუნიკაციო ქსელების რემონტი არ ჩატარებულა. ამის გამო გვქონდა შემთხვევები, როცა გრუნტსა და რკინაბეტონის ფილას შორის 50-60 სანტიმეტრის სიცარიელეები, კავერები, ღრმულები გაჩენილა მიწისქვეშა წყლების ზემოქმედებით.** იაკობ ნიკოლაძის ქუჩაზეც იგივე დაგვხვდა, ამიტომ ამოსავსებად მოგვიწია მაღალი წნევით ქვიშაცემენტის ხსნარის ჩაჭირხვნა, გადაბურღვა დაგვჭირდა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში 9000 მეტრი, ანუ ცხრა კილომეტრი გავბურღეთ.

**— ეს სამუშაოები მერიამ დააფინანსა?**

— დიახ, სახელმწიფომ გადაიხადა. ისიც უნდა გითხრათ, რომ პროექტში თითოეული ცვლილების შეტანა მხოლოდ მუნიციპალური ლაბორატორიის შემოწმებითა და მასთან შეთანხმებით ხდება. ამოწმებენ ჩვენი მასალის ხარისხს, ბეტონის ხარისხს და მხოლოდ შემდეგ გვაძლევენ სამუშაოს შესრულებისა და გამოყოფილი სახსრების დახარჯვის უფლებას. უმკაცრესი კონტროლია დაწესებული.

**ბატონმა ირაკლი ახალაძემ მორიდებით ილაპარაკა სარემონტო სამუშაოების შესრულების წინააღმდეგ ზოგიერთი მოსახლის გააქტიურებაზე.**



ფიქრის გორა, იაკობ ნიკოლაძის ქუჩა, სახლი №5-ა

**შრომობს მისი აღმატებულება მუშათა კლასი. «უკუეთუ მარილი იგი განქარდეს, რაითამე დაიმარილოს? არღარა შემძლებელ არნ მერმე, არამედ განგდებად გარე და დათრგუნვად კაცთა მიერ»**

(მათე, 5, 13; ქართული ოთხთავის (გელათის) გიორგი მთაწმინდელისეული რედაქცია)

ძნელიაო მოსახლეობასთან ურთიერთობა, მაგრამ ჩვენ ყველას ვჭირდებით, მათ შორის, ჭირვეულებსაც, რომლებიც ხან იმას გვიჩივიან, რომ ხმაურობთო, ხან — მტვერში გვაცხოვრებთო. ჭრელია ხალხი.

ერთ ამბავს მოგიყვებით.

**ვერაზე პეტრიაშვილის 11-ის ფასადი უნდა გაგვეწმინდა და გაგვესუფთავებინა. ერთმა მოსახლემ, ჩვენი თხოვნის მიუხედავად, თავისი მანქანა არ გადააყენა. ბუნებრივია, მტვერი დაეყარა. ფული მოითხოვა — 20 ლარი მანქანის გასარეცხად. შევთავაზეთ, რომ ჩვენ გავურეცხავდით. არ დაგვეთანხმა. გამოიძახა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი, „შეგვაშინა“... ჩვენი დაპირისპირება დამთავრდა იმით, რომ გამომიგზავნა ამ ქალბატონმა თავისი საბანკო ანგარიშის ნომერი. ჩავურიცხე 20 ლარი. წაიყვანა მანქანა, გაარეცხინა და თავისი ფულიც დაზოგა.**

**— პრინციპული ამხანაგი ყოფილა. ვერელი არ იქნებოდა.**

— არა, მაგრამ თბილისელი გახლდათ.

## ტერორისტების ნაკვალევის წაშლა

— კარგია ახალი სახლის აშენება, მაგრამ ამ საქმეს დიდი დაფინანსება სჭირდება. დღეს, ვინც ფული იშოვა, ყველა მშენებელი გახდა — ექიმიც, ბანკირიც, პროვიზორიც (ეღიმება ირაკლი ახალაძეს). ჩვენს ფირმაში მხოლოდ პროფესიონალი მშენებლები მუშაობენ, რომლებთან ერთადაც, წლებია, მოვდივართ, ამიტომ სპეციფიკური დავალებების შესრულებაც გვიხდება განსაკუთრებულ შემთხვევებში.

**— რას გულისხმობთ?**

— ჩვენს კოლექტივს, როგორც მაღალკვალიფიციური მშენებლების „სპეცრაზმს“, ორჯერ დაგვავალეს აფეთქებით დაზიანებული შენობების ოპერატიულად აღდგენა-გამაგრება. პირველად — შარშან, ნოემბრის დასაწყისში, გურამიშვილის ქუჩის 30-ე ნომერში (ბუნებრივი აირი აფეთქდა); 8-10 დღის შემდეგ კი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე, ტერორისტების ლიკვიდაციის ოპერაციის შემდეგ შენობის ძირითადი კონსტრუქციების აღდგენაც ჩვენმა კომპანიამ განახორციელა.

გვენდობიან და იმიტომ.



ალექსანდრე დუნდუა

## მოდის ახალგაზრდობა

სამუშაოთა მწარმოებელმა ინჟინერმა **ალექსანდრე დუნდუამ** ორი ახალგაზრდა გამაცნო.

**— აკაკი დარსალია, ზვიადის ძე,** — მამის სახელის ხაზგასმით წარმომიდგა ერთი.

**— მუხრან ქალდანი,** — ხელი ჩამომართვა მეორემ.

ზვიადი, მუხრანი — ოჯახების პრიორიტეტების საინტერესო შეხამებაა.

პირველმა — ჩხოროწყუს რაიონიდან ვარ წარმოშობითო. ნამყოფი ვარ, მაგრამ იქ გაზრდილი არაო. მეგრული მეტ-ნაკლებად სცოდნია.

შეკითხვაზე — ამ მშენებლებთან როგორ აღმოჩნდა, აკაკი დარსალიამ დახვეწილი ქართულით მიპასუხა:

— ჩვენ, მე და მუხრანი, ნათესავები ვართ. ბიძაჩემმა, **არკადი კვიციანმა,** მომიყვანა ამ ორგანიზაციაში. ახლა ერთად ვართ მე და მუხრანი.

**— რაზე მუშაობთ?**

ორ ხმაში მიპასუხეს:

— გალესვა, არმირება, შეღებვა. პირველ ორ სადარბაზოში სამუშაო დავამთავრეთ. ახლა მესამის ხარაჩოებიც უნდა ჩამოვხსნათ.

დამლიან სპეციალიზებულ ბრიგადასთან ერთად. მანამდე სადარბაზოს კედლების შელესვასაც მორჩებიან.

სკოლა ორივეს დამთავრებული აქვს. თვითონაც დაოჯახდნენ. ფინანსებით ძირითადად მამები უზრუნველყოფენ. თვითონაც შეაქვთ, რა თქმა უნდა, ერთის მამა ცემენტის ქარხნის ოპერატორია. ამჟამად დროებით შეფერხება აქვსო ქარხანას, მეორის მამა — ინკასატორი.

— იცი, რა არის ინკასატორი? — მეკითხება შვილი.

აღმოჩნდება, რომ ვიცი. ესიამოვნება. დედებიც მუშაობენ.

მოკლედ, როგორც საბჭოთა პერიოდში იტყოდნენ, აგრძელებენ ეს ბიჭები ოჯახების შრომით ტრადიციებს.

ერთი რუსთავში ცხოვრობს.

— ბოსტანქალაქში სამუშაო არ არის?

— მაღაზიაში თუ წახვალ, კი, იშოვი.

მეორე გრიგოლეთში სახლობს:

— ჩვენთან, სოფელში, სამუშაო, ძირითადად, შემოდგომაზეა. ისე კი, სამუშაოდ გასვლა და ყოველდღიურად შინ თანხის შეტანა ძალიან ჭირს, ამიტომ ჩამოგაკითხეთ თბილისში, — სარკაზმგარეულ რეპლიკას მესვრის.

— აქაური ხელფასები გყოფნით? — იმავ ტონალობაში ვუბრუნებ.

— ხელმძღვანელობას არ ვემდურით, — მიპასუხებს სერიოზულად, — მეტ-ნაკლებად ნორმალურია. მაქსიმალურად შესაძლებელი, — აზუსტებს, — ჩვენც მაქსიმალურად ვმუშაობთ.

ვადასტურებ: მართალს ამბობს. **ლამის კომენდანტის საათის დაწყებამდე შრომობენ: სამუშაო დამთავრებისკენ რომ მიდის, საქმე განსაკუთრებულ აჩქარებას მოითხოვს, ჩაგეჭიდება და შენს ნებაზე არ გაგიშვებს. დრო კი ისე სწრაფად იწურება, როგორც რკინის საწოლის დიდ საცერზე დაყრილი ქვიშა, რომელსაც ბიჭები (ცემენტთან შერეულს) კედლების შესალესი ხსნარის დასამზადებლად იყენებენ...**

მოვაცდინე, დრო დავაკარგვინე. საკმაოდ: სანამ ჩვენ აქ მათ შრომით კარიერაზე ვსაუბრობდით, მისი უდიდებულესობის ავანგარდი საქმეს იყო შეჭიდებული — მლესავები, შემდუღებლები. მემონტაჟეები ცხრასართულიან ამ სიმახინჯეს ნალვენთებით დანაოჭებულ და ჩაშავებულ ღაწვებს „ოქროს ძაფე- ▶

ლამის კომენდანტის საათის დაწყებამდე შრომობენ: სამუშაო დამთავრებისკენ რომ მიდის, საქმე განსაკუთრებულ აჩქარებას მოითხოვს, ჩაგეჭიდება და შენს ნებაზე არ გაგიშვებს. დრო კი ისე სწრაფად იწურება, როგორც რკინის საწოლის დიდ საცერზე დაყრილი ქვიშა, რომელსაც ბიჭები (ცემენტთან შერეულს) კედლების შესალესი ხსნარის დასამზადებლად იყენებენ...

მისი უდიდებულესობა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**«ვერაზე, პეტრიაშვილის 11-ის ფასადი უნდა გაგვეწმინდა და გაგვესუფთავებინა. ერთმა მოსახლემ, ჩვენი თხოვნის მიუხედავად, თავისი მანქანა არ გადააყენა. ბუნებრივია, მტვერი დაეყარა. ფული მოითხოვა — 20 ლარი მანქანის გასარეცხად. შევთავაზეთ, რომ ჩვენ გავურეცხავდით. არ დაგვეთანხმა. გამოიძახა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი, «შეგვაშინა»... ჩვენი დაპირისპირება დამთავრდა იმით, რომ გამომიგზავნა ამ ქალბატონმა თავისი საბანკო ანგარიშის ნომერი. ჩავურიცხე 20 ლარი. წაიყვანა მანქანა, გაარეცხინა და თავისი ფულიც დაზოგა»**









◀ბით" უჭიმავდნენ უშბის შვეულ კედელზე დაკიდებული ალპინისტების ქამარ-სარტყლებითა და ბაგირთოკებით დაზღვეულები.

სხვები, მეტრომშენებლებივით რისკიანები, მიწისქვეშ, ძლიერი ჭავლით მიწოდებული ბეტონის უმაღლესი მარკის ხსნარით მზიდ კონსტრუქციებს უმაგრებდნენ ხანგადასულ სიკეკლუცეს.

## თუ პროფესიონალი ხარ, ასეთი უნდა იყო

დრო იყო, დავლაპარაკებოდი სამუშაოთა მწარმოებელ **ალექსანდრე დუნდუას,** რომელიც (შემდეგ გავარკვიე) წიგნის მოყვარული კაცი ყოფილა. ახალგაზრდობაში ცოლოურს გურიაში რომ ჩასულა, სიდედრ-სიმამრის სახლში და მათ მეზობლებში ყველა წიგნი ხომ წაუკითხავს და ნაბეჭდი პროდუქცა რომ გამოლეულა, ლენინის რომელიღაც ტომი თავიდან ბოლომდე დაუმუშავებია.

წიგნიერი პიროვნება მესაუბრება:

— ერთ-ერთი რთული და დამაფიქრებელი ასპექტი ჩვენი სამუშაოსი არის უსაფრთხოების დაცვა ისეთ პირობებში, როცა გასამაგრებელ სახლში ხალხი ცხოვრობს. ნებისმიერ არასწორად გადაწყვეტილ დეტალს, ყველა ნიუანსს შეიძლება მოჰყვეს გამოუსწორებელი შედეგი, თუ კარგად არ იქნა გათვლილი და შესრულებული. რისკები მინიმუმის მინიმუმამდე უნდა დაიყვანო. საქმეს ართულებს ისიც, რომ ძველის დემონტაჟი უნდა მოახდინო, ახალი შენვე უნდა მოამზადო და უვარგისს ჩაანაცვლო.

**— იუველირის სამუშაოა.**

— დიახ, ასეა. მაგრამ, თუ ოქრომჭედელი სტერილურ გარემოში საქმიანობს, ჩვენს გარჯას მოჰყვება მტვერი, ნამსხვრევები, რაღაც ნარჩენები, მართალია, შენობა ბადეშია გახვეული, გარემო რომ არ დაბინძურდეს, მაგრამ ეს მექანიკური დაცვა კოვიდის პანდემიის პირობებში ასპროცენტიან ეფექტს არ იძლევა.

**— დაგიავადდათ ვინმე?**

— მადლობა ღმერთს, არა! ამაზე იმიტომ ვლაპარაკობ, რომ რისკის ქვეშ გვიწევს მუშაობა, რამდენიმე მიმართულებით ყურადღების მაქსიმალური გაძლიერებით. უსაფრთხოებას ვიცავთ, მაგრამ ზოგიერთი მობინადრე მაინც უკმაყოფილო რჩება. აბა, რა ვქნათ, ბეტონს და, ვთქვათ, არმატურის დასამზადებელ მასალას ვერტმფრენით ვერ მოვზიდავთ. ამ პრობლემაზე ფირმის ხელმძვანელი უკვე გელაპარაკათ.

**— დიახ.**

— ამას ემატება სარდაფების კედლების თავიდან ამოშენების პრობლემა, რომელიც დავის საგანი არაერთხელ გამხდარა. აქაც ბევრი „წვრილმანია", რომლის შესრულება აუცილებელია, რადგან სხვაგვარად უწყვეტი ფილის დაგება, რომელსაც სახლი უნდა დაეყრდნოს, შეუძლებელია. ჩვენც ისე შევასრულეთ ეს სამუშაო, როგორც ტექნოლოგიით არის გათვალისწინებული...

**— რამაც ტრადიციული „ჭირვეული მეზობლების" სინდრომის რეინკარნაცია მოახდინა.**

— სამწუხაროდ.

დელიკატურად თავი ავარიდეთ ამ საკითხის გარჩევას. მით უფრო, რომ სარდაფებს შორის ვიწრო გასასვლელში კიდევ ერთი ახალგაზრდა მუშაობდა, რომელთან გასაუბრებაც გაცილებით საინტერესო უნდა ყოფილიყო.

**მერაბ კუდაძე** ქართლელი გახლავთ, ხაშურელი:

— იქ დავიბადე, იქ გავიზარდე.

**— აქ როგორ მოხვედი?**

— პანდემიის გამო უმუშევარი აღმოვჩნდი, ჩაიკეტა ყველაფერი, ტრანსპორტიც აღარ მოძრაობდა. დავიწყე სამუშაოს ძებნა — ახლობლებს დავუკავშირდი. მათ აქ მოსვლა მირჩიეს და მოვედი კიდეც. პანდემიამდე, გვირაბს რომ აშენებენ ჩინელები ხაშურთან, იქ ვმუშაობდი.

**— რაღაც გამოსვლები იყო ადგილობრივი მოსახლეობის. უკმაყოფილოები იყვნენ თითქოს.**

— ზოგიერთი უკმაყოფილო იყო, უმეტესობა — არა.

— ამ სივიწროვეში თუ გაგიჭირდათ მუშაობა?

— ფიზიკურად მუშაობა ძნელია, მაგრამ, ხელობას თუ ფლობ, ხუთიანზე შეასრულებ.

სკოლის დამთავრების შემდეგ ჯარში წასულა.

— სამხედროში შვიდი წელიწადი გავატარე, კონტრაქტით. მიზეზების გამო ჯარიდან წამოვედი. ერთი პერიოდი უმუშევარი ვიყავი, მაგრამ ახალგაზრდა ბიჭი ვარ და უსაქმურად ვერ დავრჩებოდი. ჩემი შემოსავალი უნდა მქონოდა და დავიწყე მუშაობა. ოჯახში სამნი ვართ. დაახლოებით ერთი წელია, რაც დედაჩემი და მამაჩემიც მუშაობენ.

წარმატება ვუსურვე...

დიდ-პატარა სარდაფების ლაბირინთიდან გამოსვლა მეტად გამიჭირდა — „ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავთ...". წარმოსადგენია, რა ძნელი იყო ამ კატაკომბებში მუშაობა.

მაგრამ მუშაობენ.

მხოლოდ სამშენებლო ნაგავი ას მანქანაზე მეტი გაიტანეს. 20-ზე მეტი კუბური მეტრი წყალხსნარი დასჭირდათ იმ სიცარიელეების შესავსებად, სახლის საყრდენ ფილასა და გრუნტს შორის რომ იყო გამორეცხილი. ყოველ ჯერზე ამ ხსნარს რომ ასხამდნენ, წყალს მიჰქონდა. ამიტომ ალეკო დუნდუას სპეციალური წინაღობის დამონტაჟება დასჭირდა დანაკარგის ნაკადის შესაჩერებლად. მიწას რომ ბურღავდნენ, 5-6 მეტრის სიღრმეშიც აღმოჩნდა სიცარიელეები და იმათი შევსებაც გახდა საჭირო.

ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან არის წარმოდგენილი: საერთო-რესპუბლიკური მშენებლობაა. ზოგი — ოჯახით, როგორც, მაგალითად, მამა-შვილი **ბეზდენიძეები — ვახტანგი** და **ჯაბა,** სვანეთიდან არიან; საბურღი სამუშაოების ხელმძღვანელი **მანუჩარ გოგოხია** — სამეგრელოდან და ა.შ.

შრომობს მისი აღმატებულება მუშათა კლასი. „უკუეთუ მარილი იგი განქარდეს, რაითამე დაიმარილოს? არღარა შემძლებელ არნ მერმე, არამედ განგდებად გარე და დათრგუნვად კაცთა მიერ" *(მათე, 5, 13; ქართული ოთხთავის (გელათის) გიორგი მთაწმინდელისეული რედაქცია).*

თუ მარილმა გემო დაკარგა, რიღათი დამარილდესო?!

„არც მიწისთვის გამოდგება, არც ნაკელისთვის, ამიტომ შორს გადაყრიან. ვისაც ყურები აქვს სასმენად, ისმინოს!" *(ლუკა. 14, 34-35).*

**არმაზ სანებლიძე**

# საახალწლო ანეკდოტები

კოვიდ 19-ით გამოწვეული შეზღუდვების გამო 2020 წელს ამერიკელებმა სახელმწიფო გადატრიალება თავისთან მოაწყვეს.

* * *

აშშ-ის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ბაიდენი ურეკავს ობამას:

— მომილოცე! მე ამირჩიეს რუსეთის პრეზიდენტად.

— არა, ჯო, შენ აგირჩიეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად.

— ჯო ვინ არის?!

* * *

2020 ზუსტად ვირთხის წელიწადი იყო: ვისხედით სოროებში, საკვებს შინ მივაცუნცულებდით — იქ ვახრამუნებდით, ადამიანს თვალს რომ მოვკრავდით, უცებ ვიმალებოდით, ვავრცელებდით ინფექციას.

* * *

2020 წელი: — სახეზე ნიღაბი რომ გიკეთიათ, ვერ გცნობთ.

2021 წელი: — უნიღბოს ვერ გცნობთ.

* * *

მთელი წელიწადი წელზე ფეხს ვიდგამდი და ფულს შვებულებისთვის ვაგროვებდი. თურმე კარანტინისთვის გამომიდევს თავი.

* * *

სასწავლო წელიწადი დამთავრდა. მშობლებმა თავიანთი ნიშნები გაიგეს.

* * *

2021 წელს ექვსთვიანი შვებულება დამჭირდება. წელიწადში — ორჯერ.

* * *

ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა ინსტრუქცია: „როგორ ვიმყოფინოთ შავი დღისთვის გადადებული ფული მთელი წლის განმავლობაში".

* * *

თუ გსურთ, საახალწლოდ დაზოგოთ ფული, ბავშვებს უნდა მოუყვეთ, რომ თოვლის ბაბუა კორონავირუსისგან გარდაიცვალა.

* * *

— გულწრფელად მსურს, რომ ჩემი სიდედრი „სნეგუროჩკად" იქცეს!

მაშინ წელიწადში მხოლოდ ერთხელ და ისიც ცოტა ხნით ვნახავდი.

* * *

ორი პატარა ბიჭი საუბრობს:

— რამდენი წლისაა შენი ძმა?

— მალე ერთი წლის გახდება.

— უცნაურია! ჩემი ლეკვიც ერთი წლის არის, მაგრამ შენს ძმაზე ორჯერ უკეთ დადის.

— რა გიკვირს, შენს ლეკვს ორჯერ მეტი ფეხი აქვს.

* * *

მანდარინებისთვის ახალი წელი ტოტალურ გენოციდთან ასოცირდება.

* * *

2021-ში ვირუსთან დაკავშირებულ ამ გაწამაწიას ღიმილით გაიხსენებთ... თუმცა ყველანი — არა.

* * *

ჩვენი ტელევიზიების საახალწლო პროგრამების მოკლე შინაარსი: ძროხების ცეკვა, კატების სიმღერები, ვირების შაყირი.

* * *

ადამიანები, როგორც ყოველთვის, მთელ კვირას ელოდებიან პარასკევ დღეს, მთელ თვეს — დღესასწაულს, მთელ წელიწადს — ზაფხულის დადგომას და მთელი ცხოვრების განმავლობაში — ბედნიერებას.

# 300 მაფიოზი განსასჯელის სკამზე



**საუკუნის პროცესი — ასე უწოდა იტალიურმა მედიამ მაფიის სასამართლო პროცესს, რომელიც 13 იანვარს დაიწყო კალაბრიაში. სხდომები მიმდინარეობს უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომებით 3 ათასი კვ.მ ფართობის სპეციალურად მოწყობილ ბუნკერში. განსასჯელის სკამზეა 300-ზე მეტი ადამიანი, მათ შორის არიან იტალიის სამხრეთში მოქმედი მძლავრი დანაშაულებრივი ორგანიზაცია „ნდრანგეტას“ ბოსები.**

მაფიის ბოსები კარცერშიც კი ბოსებად რჩებიან — ეს არის კრიმინალთა კლუბის მთავარი წესი. კანონები, რომელთა მიხედვითაც ცხოვრობს „ნდრანგეტა“, პოლიციისთვისაც ცნობილია. ბუნკერი, რომელსაც უსაფრთხოების ორი პერიმეტრი აქვს, სპეციალურად ამ პროცესისთვის მოაწყვეს. აქ ათეულობით საკანია, რადგან საქმეში 323 ადამიანი ფიგურირებს — კლანების წევრები, პოლიტიკოსები, პოლიციელები, ყოფილი დეპუტატები, მერები. მთავარი ბრალმდებელია ლეგენდარული პროკურორი **გრატერი,** რომელსაც, წლებია, სახელმწიფო იცავს.

გამოძალვა, კორუფცია — ეს არის ყველაზე რთულად დასადგენი მიმართულებები. „ნდრანგეტას“ თავისი ხალხი ყველგან ჰყავს. **მანკუზოს** მძლავრმა ოჯახმა (განსასჯელის სკამზე ზის ბოსი მეტსახელად **ძია ლუიჯი**) ისწავლა ფულის კეთება უძრავ ქონებასა და იჯარაზე. მიზნის მისაღწევად იყენებდნენ არა მხოლოდ უხეშ ძალას, არამედ პოლიტიკურ კავშირებსაც. მაფია დაკავებული იყო არა მხოლოდ ნარკოტიკებით, არამედ უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვით და მონაწილეობდა დიდ კომერციულ პროექტებში. ეს ყველაფერი მიუთითებს „ნდრანგეტას“ სიძლიერეზე. ეს ორგანიზაცია ძლიერია იმიტომ, რომ დგას ნათესაურ კავშირებზე. ექსპერტთა აზრით, ასეთი დისციპლინა არ არის არც „კოზა ნოსტრასა“ და არც ნეაპოლურ „კამორაში“. სწორედ ამიტომ პროცესის მთავარ სენსაციად იქცა კლანის მეთაურის ძმისშვილის, **ემანუელეს,** ჩვენება. „ნდრანგეტას“ ისტორიაში პირველად, კლანის წევრი დათანხმდა გამოძიებასთან თანამშრომლობას. ამის გამო მისი 2 წლის გოგონას სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრა — ბავშვი მაფიოზებმა მძევლად აიყვანეს, დედამ კი უარი განაცხადა სახელმწიფოს დაცვაზე და გამოძიებასთან თანამშრომლობას კლანის წევრობა ამჯობინა.

„ნდრანგეტა“ დღეს ყველაზე სახიფათოა მაფიებს შორის. მან მსოფლიოში გაიდგა ფესვები. ეს ყველაზე მდიდარი მაფიაა, იმიტომ, რომ ევროპაში კოკაინის შეტანის მონოპოლისტია“, — ამბობს პროკურორი ნიკოლა გრატერი. „ნდრანგეტა“ იზრდებოდა და ძლიერდებოდა, სანამ მსოფლიო „კოზა ნოსტრაზე“ გადაღებულ სერიალებს უყურებდა. პირველად ის 2007 წელს ახსენეს, როცა კალაბრიელმა ქილერმა გერმანიაში 6 ადამიანი ისე მოკლა, რომ სამხილები არ დაუტოვებია. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეს იყო სისხლიანი შურისძიება. სხვათა შორის, განსასჯელთა ნაწილი სწორედ გერმანიაში დააპატიმრეს. პროცესი, რომელსაც 600 ადვოკატი მოემსახურება, ექსპერტების ვარაუდით, წლების განმავლობაში გაგრძელდება.

**Smotrim.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**




# «უკრაინა ნახევარკოლონიაა»

**„უკრაინის ხელისუფლება რეგულარულად წარმოაჩენს თავის უუნარობას დონბასის კონფლიქტის მოგვარების საქმეში და ყოველთვის დამოკიდებულია იმაზე, რას იტყვიან აშშ-ში, ამიტომ რუსეთისთვის უფრო მარტივი იქნება, პირდაპირ დაელაპარაკოს ვაშინგტონს, ვიდრე დაელოდოს უკრაინის პრეზიდენტ ვლადიმერ ზელენსკის პასუხს“, — განაცხადა ტელეარხ NewsOne-ს ეთერში უკრაინის უზენაესი რადის (პარლამენტის) დეპუტატმა, უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოფილმა სპიკერმა ოლეგ ვოლოშინმა.**

„რა უნდა ელაპარაკო კიევის ხელისუფლებას, თუკი აქ ბოლო პერიოდში სულ იმას გაიძახიან, — დაველოდოთ, სანამ ბაიდენი პრეზიდენტის სავარძელში ჩაჯდებაო. გამოდის, ჩვენ უკვე ისეთი გაუგებარი ნახევარკოლონია ვართ, საჯაროდ ამბობენ: რა საჭიროა ზელენსკისთან მოლაპარაკება, დაველოდოთ, რას იტყვის ბაიდენიო. თუ ასეა, რუსებისთვის უფრო მარტივი იქნება ბაიდენთან დალაპარაკება“.

**politnavigator.net-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**




# «სწორი» რასიზმი აშშ-ში: ახალი კუ-კლუქს-კლანი, ოღონდ ახლა შავი ჩაჩებით

**ჯო ბაიდენმა მინესოტას შტატის მოქალაქეთა უფლებების განყოფილების ხელმძღვანელის პოსტზე დანიშნა კრისტენ კლარკი — ქალი, რომელიც მხარს უჭერს შავკანიანთა უპირატესობის დამკვიდრებას ქვეყანაში.**

„მეცნიერთა აზრით, თეთრკანიანთა უმრავლესობას არ აქვს მელანინის გამომუშავების უნარი. აი თეთრკანიანებსა და შავკანიანებს შორის კულტურული განსხვავების ქიმიური დასაბუთება. მელანინი შავკანიანებს ანიჭებს უპირატესობას გონებრივი, ფიზიკური და სულიერი უნარების მიხედვით, რომლის გაზომვაც შეუძლებელია ევროცენტრისტული სტანდარტებით“, — ამბობს კლარკი

ესეც ახალი კუ-კლუქს-კლანი, ოღონდ ახლა შავი ჩაჩებით.

**ru-an.info-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძე**

# «ახლა რუსები გვასწავლიან სიტყვის თავისუფლებას»

## ტრამპის ვაჟმა ილონ მასკს «ტვიტერის» ალტერნატივის შექმნა სთხოვა

**დონალდ ტრამპ-უმცროსმა მილიარდერ ილონ მასკს მიმართა თხოვნით, შექმნას ახალი სოციალური ქსელი, რომელიც აჯობებს „ტვიტერს“, — წერს The Independente. დონალდ ტრამპის ვაჟის აზრით, „ტვიტერი“ და სხვა სოციალური ქსელები „მიკერძოებულები არიან და ცალმხრივი ცენზურა აქვთ დაწესებული“.**



მას შემდეგ, რაც „ტვიტერმა“ სამუდამოდ დაბლოკა პრეზიდენტ დონალდ ტრამპის აკაუნტი, უმცროსმა დონალდ ტრამპმა კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაახვია სოციალური ქსელები, რომლებიც „მიკერძოებულობასა“ და „ცალმხრივი ცენზურის“ დაწესებაში დაადანაშაულა. შემდეგ მან თხოვნით მიმართა მილიარდერ ილონ მასკს, შექმნას ახალი სოციალური ქსელი, რომელიც „ნეიტრალური არბიტრების“ აზრის პლატფორმ იქნება. ტრამპი-უმცროსის აზრით, ილონ მასკი შესაფერისი კანდიდატურაა „ტვიტერთან“ დასაპირისპირებლად, რადგან მან გააკრიტიკა „აშშ-ის დასავლეთის ტექნოლოგიური კორპორაციები“, რომლებიც „თავისუფალი სიტყვის ფაქტობრივ არბიტრად იქცნენ“. უმცროსი დონალდ ტრამპის აზრით, ახალმა სოციალურმა ქსელმა არ უნდა დაუშვას სიძულვილის გაღვივება და ძალადობის პროპაგანდა, თუმცა, ამასთანავე, ნეიტრალურ კომენტატორებსაც უნდა დაუთმოს სივრცე. მან, აგრეთვე, აღნიშნა, რომ ახალი სოციალური ქსელი უნდა იყოს არა კონსერვატიული ჩაკეტილი წრე, არამედ ადგილი, სადაც იმსჯელებენ იდეებზე“.

„ახლა რუსები გვასწავლიან ამერიკელებს სიტყვის თავისუფლებას. აი სადამდე მივიდა ვითარება“, — განაცხადა უმცროსმა დონალდ ტრამპმა, რომელსაც მხედველობაში ჰქონდა რუსეთის ოპოზიციური ლიდერების ბოლოდროინდელი განცხადებები აშშ-ში ცენზურის შესახებ.

**russian.rt.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**

# დღის ანეკდოტი



კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გამო ამ წელს საკუთარ ქვეყანაში მოგვიწია სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა.

# საჩუქარი ქართველი მკითხველისთვის

## — ჰეგელის «ლექციები რელიგიის ფილოსოფიაზე»

გერმანულიდან ქართულად ითარგმნა, დაისტამბა და უკვე იყიდება უდიდესი გერმანელი ფილოსოფოსის — გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელის „ლექციები რელიგიის ფილოსოფიაზე“. ეს საჩუქარი ქართველ მკითხველს რელიგიის დაუღალავმა მკვლევარმა, გერმანული ენიდან არაერთი ფილოსოფიური ნაშრომის მთარგმნელმა ვიქტორ რცხილაძემ და გამომცემლობა Carpe Diem-მა (დირექტორი ალექსანდრე ალადაშვილი) გერმანული „გოეთეს ინსტიტუტის“ დახმარებით გაუკეთეს.




წიგნი იყიდება თბილისში, მაღაზია „ლატერნაში“ (ცოტნე დადიანის № 7, სავაჭრო ცენტრი „ქარვასლა“, მე-2 სართული) და რუსთაველის № 16-ში.

საქართველო და მსოფლიო
თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894